ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 14 მაისი 2002 №85 (1607) | ფასი 50 თეთრი


**კორეა-იაპონია 2002 მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 17 დღე**




ინგლისის ნაკრები კორეა-იაპონიის გზას საამიროთა გავლით დაადგა, კირონ დაიერი კი ვერ იახლა. ნიუკასლელი პრემიერლიგის ბოლო ტურში მძიმედ დაშავდა. არადა, ბობი რობსონს გული უგრძნობდა...

მშვიდობით, ცოლო და შვილო, უთხრეს თურქმა ფეხბურთელებმა თავიანთ ოჯახებს და ერთი გულიანად მოილხინეს, ვიდეოზეც გადაიღეს, მაგრამ შუალედში ვარჯიშისას ოპერატორები ახლოს არ გაიკარეს.

„მილანი" და იტალია რამ გაყოო, თქვეს ეკვადორელებმა და კახა კალაძის გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრნენ. მერე კი, ნეტავ, „სკუადრა აძურაც" ასე დაგვამარცხებინაო. ეკვადორი და იტალია მუნდიალზე თანაჯგუფელები არიან.

# ბოლო მოსახვევში პირველი ტორპედო შევიდა
## შეიძლება ოქროს მატჩიც ვნახოთ

ვერგატანილი პენალტით ბურდულმა კიდევ უფრო აბურდა მეცამეტე ეროვნული — ჩემპიონს ალბათ მხოლოდ ბოლო ტური ან თანაბარქულიან პირველ-მეორეადგილოსანთა ოქროს მატჩი თუ გამოავლენს, რადგან „ლოკომოტივ" — „დინამომ" მხოლოდ ის შეძლო, რომ ლიდერობა „ტორპედომ" დაიბრუნა.

ხორვატიულად ნაწრთობი „დინამო" ბევრს უტევდა, ხოლო რკინიგზული გუნდი შპალივით იყო აკრული საკუთარ საჯარიმოსა და კარს. ეროვნული ნაკრების თავკაცისგან უყურადღებო გიორგი ლომაია კი პანტა-პუნტით დაშენილ ბურთებს მარჯვედ უსწორდებოდა.

ქუთაისელებმა ბოლოდროინდელი წარუმატებლობებისგან მოწოლილი ჯავრი ოთარ გაბელიას უპატრონო „მერანზე" იყარეს...

აჭარაში მსაჯებს გამოუდგნენ. თანამსაჯზე იერიში ბათუმელებისა იყო, არბიტრზე კი ფოთელებისა. ხოლო შედეგი „კოლხეთს" უნდა ეამოს — სოსო ფილიას გუნდის საინტერტოტო ოცნებამ ფრთები ლონივრად დაიქნია.

მსაჯზე აუგი ზესტაფონელებსაც დასცდათ. „მეტალურგის" პრეზიდენტი ნუგზარ მდივანი საკლუბო კრების მოწვევას აპირებს, პროტესტის ნიშნად მეცამეტე ეროვნული ჩავამთავროთ თუ არაო.

მართლაც და ტევადი იყო ბოლო ორი დღე საშინაო ქართული ფეხბურთისთვის — ხუთწლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში კახური გუნდიც ითამაშებს, ოღონდ იტალიური სახელით.

იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდები



დინამოელი მიხეილ ბობოხიძე ლოკომოტიველებმა კარისკენ არც გაახედეს

# ბასკო ფინალშია
## და მლის: დინამო თუ სტუ?



„ბასკოს" ამერიკელი ნიკ დილონი ქართულ ფინალს ითამაშებს

ვერ გამოდგა „აზოტი" ისეთი კერკეტი, როგორიც პლეი ოფის ნახევარფინალური სერიის პირველ ბათუმურ მატჩში ჩანდა. მაშინ რუსთაველები ბოლო წუთამდე უგებდნენ საქართველოს ორგზის ჩემპიონ „ბასკოს" და თავზე მეტად იღბალს უნდა დააბრალონ, ის შეხვედრა რომ წააგეს. იქიდან მოყოლებული ზურაბ ტომარაძე ბევრს ეცადა, მაგრამ მომდევნო მატჩებში თავისი გუნდი იმ პირველი შემართებით ვერასგზით განაწყო. „აზოტი" ჯერ 9 მაისს ბათუმშივე უსახურად დამარცხდა, გუშინ კი თბილისში მესამე შეხვედრაშიც თეთრი დროშაააფრიალა, რამაც პაველ გოოგეს ოთხი ზანგით შეფერადებული აჭარული გუნდი უპრობლემოდ გაიყვანა ფინალში. „ბასკოს" სამწლიან ისტორიაში ეს ამ გუნდის მესამე ფინალი იქნება. წინა ორში ბათუმელებმა ჯერ საქართველოს ჩემპიონატში ანდაშლილი თბილისის „ვითას" შვიდწლიანი ბატონობა დაამხეს, შემდეგ კი სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს მიუჩინეს მეორე ადგილი. ხლვისპირელთა განცხადებით, წინ მესამე ფინალი და მესამე ჩემპიონობაა. ამ აზრის წინააღმდეგ სტუ-სა და „დინამოს" შორის მეორე საპლეიოფო წყვილში გამარჯვებული ფინალში გაილაშქრებს. ამათ სერიაში ჯერ 1:1-ია.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



გუშინ ზაპოროჟიეს ექსტრემალური მედიცინის რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა ვალერი ლობანოვსკი.

საბჭოთა და უკრაინული ფეხბურთის ამაგდარ მწვრთნელს 7 მაისს, ზაპოროჟიეს „მეტალურგისა“ და კიევის „დინამოს“ მატჩისას გულმა უმტყუნა და ზემოთ ხსენებულ კლინიკაშიც ამიტომ მოათავსეს...

63 წლის ლობანოვსკის ექიმებმა ვერაფერი უშველეს.

## ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი
B ჯგუფი. II ტური
სპარტა 1:0 ექსელსიორი

## რუსეთი

პრემიერლიგა. XII ტური
ლოკომოტივი 3:0 როტორი
შინიკი 2:1 ტორპედო
კრილია სოვეტოვი 4:0 ანჟი
სპარტაკი 2:1 სოკოლი
ალანია 1:2 დინამო
სატურნი 1:3 ტორპედო ზილ

## შვედეთი

VII ტური
აიკ 1:2 მალმიო
ელფსბორგი 0:1 ჰელსინგბორგი
იორებრო 1:0 ნორჩიოპინგი

## ფინეთი

VI ტური
ალიანსი 2:3 მიუპა
ჰაამენლინა 0:1 ჰაკა
კუოპიო 2:2 იარო
ლაჰტი 0:1 ჰიკ
ტამპერე 0:0 ჯაზი
ვაასა 2:2 ინტერი

## ჩეხეთი

თასის ფინალი
სპარტა 1:2 სლავია

**საფეხბურთო კლუბი „პრემა“ აცხადებს**

1984-1985 წლებში დაბადებული ფეხბურთელების მიღებას
(რეგიონული ლიგა)
ფეხბურთელების შერჩევა მოხდება ტესტირების მეთოდით.
განცხადებების მიღება იწარმოებს 15 მაისიდან ყოველდღე (კვირის გარდა) 12⁰⁰-14⁰⁰ და 15⁰⁰-17⁰⁰ ამ.წ. 16 ივნისამდე.
ტესტების ჩაბარება ფიზიკურ მომზადებაში დაიწყება ყოველ კვირა დღეს დილის 10 სთ-ზე. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №49ა, მძლეოსნობის მანეჟი, მე-2 სართული, ოთახი 6 (ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონის უკან).

*საფეხბურთო კლუბ „პრემას“ ადმინისტრაცია*

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
13
**8 ტური**

### I–VI ადგილები

# ლოკოს ახალი მოტივი დინამომ ვერ დაუკრა

## შუშაკის სოლო გამოსვლას მასპინძელთა დუეტმა უგანა

თბილისი. ლოკომოტივი. 12 მაისი. 17.30 საათი. 3 500 (ტევადობა 25 000)

**ლოკომოტივი 0:0 დინამო**

ბურდულმა ვერ გამოიყენა პენალტი (13, აცილა)

**ლოკომოტივი:** გ. ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, ლ. სალუქვაძე, ონიანი, ზ. ლაცაბიძე, გელა ქორიძე, ჭიჭვეიშვილი (სირაძე 65), კ. გოგიჩაიშვილი, ზ. ჯანაშია, რუსია
სათადარიგონი: ივარდავა; დავითნიძე, მორჩილაძე, დათვაძე, დავითაშვილი, ბერელიძე
**მწვრთნელები:** ს. კოტრიკაძე, გ. ჯიშკარიანი

**დინამო:** ზოიძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, ა. სახვაძე, ამისულაშვილი, კარლოსი, ბურდული, დარასელია, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, გ. ვ. მიქაძე (მ. ბობოხიძე 55)
სათადარიგონი: გვარამაძე; მაზიაშვილი, შავგულიძე, შალამბერიძე, მანჯავა, ხიზანეიშვილი
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**მსაჯები:** ა. მუშკოვი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ჯარიმა: 10-12; კუთხური: 1-13; კარისკენ დარტყმა: 6-12; კარში დარტყმა: 3-11; თამაშგარე: 4-1



დინამოელი არჩილ სახვაძე (№6) კახა გოგიჩაიშვილს ჩამორჩა

**ვაჟა ხუციშვილი**

**პოსტცხადადებული** „ლოკომოტივი“ „დინამოსთვის“ აულებელ ნოტად იქცა. ორჯერ თასის ნახევარფინალში, მესამედ კი ტურის მატჩში სცადეს რელსებიდან „ლოკოს“ ამოგდება. არ გამოვიდა. ახალ მწვრთნელებს საიმედო შლაგბაუმი დაუყენებიათ. აშკარაა და დაუფარავი — „ლოკომოტივი“ დაცვის მქადაგებელი გახდა, რამაც საბოლოოდ გუნდი შედეგზე გაიყვანა. სხვა საკითხია, რამდენ სიამოვნებს თვალს მსგავსი ფეხბურთის ხილვა, თუმც ფული დახარჯულია, შემკვეთი შედეგს ითხოვს.

სათასო მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად „დინამომ“ გამარჯვებას თვალებში ჩახედა. შეხვედრის დაწყებისთანავე სტუმრებმა მეტოქის ნახევრის ათვისება დაიწყეს. მასპინძლები საჯარიმოს მისადგომებთან სჭარბობდნენ, ამიტომ მიქაძე-დარასელიასკენ გაგზავნილი პასები მცველთა ფეხებში იკარგებოდა. ბურთის ამომტანნი უმალ ჯანაშიას ეძებდნენ, მაგრამ მარტო კაცს მეურვეებთან ჭიდილი უჭირდა.

მეცამეტე წუთზე ბურთმა მიქაძემდე მიაღწია. იგი ერთ მცველს გასცდა და მეორესაც იგივეს უპირვებდა, როცა საჯარიმოში წააქციეს. მეშკოვმა გვერდით მსაჯს გახედა, ხელი კი თერთმეტმეტრიანისკენ გაიშვირა. როინ ონიანმა კინალამ სამივე მსაჯთან მოასწრო გაპროტესტება, თუმცა რა იცოდა, რომ ბურდული დარტყმას გააცუდებდა. დინამოელმა იჩქარა, მძლავრადაც დაჰკრა და ოდნავ ააცილა ფოტორეპორტიორს.

შუშაკის გუნდმა ბრუნვებს უმატა, მეტოქე კი კვლავაც ვერაფრით პასუხობდა.

ჯერ დარასელიამ მოიხელთა წამი და ოდნავ არაზუსტად გაისროლა, მერე გოგობერიშვილს ლომაიამ აუღო.

ტაიმის შუაწელში სახვაძემ ბალაშვილის პოზიციური შეცდომა ვერ შეირგო. მის წინ ტრიალი მინდორი და კარი დარჩა. შეეძლო დარასელიასთვის პასი გაეკეთებინა, მაგრამ თვითონ არჩია შეტევის დასრულება, რაც არ გამოუვიდა.

შეხვედრის დაწყებიდან სადღაც ნახევარი საათი იყო გასული, ჭიჭვეიშვილმა „დინამოს“ კარში მეკარის ყოფნა-არყოფნა რომ შეამოწმა, ზოიძე ადგილზე აღმოჩნდა.

მასპინძლებმა აქამდე ორჯერ გაშიფრული „დინამოს“ შეტევებს ალღო აულეს თუ არა, მეტად მოიცალეს და გოგიჩაიშვილს მართებდა კიდეც ტაიმის მილეულს გატანა. მცველიც კოხტად ჩამოიშორა, კარიც იქვე იყო, მაგრამ...

მეორე ნახევარი ივო შუშაკის გუნდისა იყო. „დინამომ“ როგორც დაიწყო, თუ არ მოუმატებია, არც დაუგდია ტემპი, ისე დაასრულა თამაში. ფეხბურთი კი ისეთი გაჩაღდა, მაყურებლისგან მოწონებული.

შეიძლება ითქვას, რომ გამოუყენებელმა, ასპროცენტიანმა მომენტმა მეორე ტაიმის დასაწყისში, დარასელიაზე ორმხრივად იმოქმედა. უფრო მეტი ჟინით მოინდომა, მაგრამ კიდევ მეტს სცოდავდა. პირველი საგოლე, რომელიც მას ანჩაბაძის გამოზომილი პასის შემდეგ შეექმნა, მხოლოდ კარში ზუსტ დარტყმას ითხოვდა. დარასელია სალუქვაძის ზურგს უკან გაიპარა და ლომაიასთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი მეკარეს ჩააბარა.

მერე თვითონ ანჩაბაძემ გაინავარდა მეტოქის საჯარიმოში, თან მზაკვრულად, მოჭრილი დაარტყა. ლომაიამ თითებით კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან დარასელიამ პირდაპირ კარში ჩაახვია — ისევ ლომაიამ იყოჩაღა.

„დინამომ“ მარწუხებს მოუჭირა, შუშაკმა კი მიქაძე ბობოხიძით შეცვალა.

მასპინძლები იშვიათად ახერხებდნენ ზოიძის კართან ვითარების გამწვავებას. გოგიჩაიშვილის საჯარიმო დარტყმული „დინამოელთა“ მეკარემ უკუაგდო, ჭიჭვეიშვილმა კი დამატებაზე ვერ ივარგა.

ბურთი მოედნის ცენტრში საერთოდ არ ჩერდებოდა. ტემპმა იმატა, ფეხბურთელებსაც არაქათი ეცლებოდათ. ამიტომ ხშირად ჩნდებოდა თავისუფალი ზონები. განსაკუთრებით „ლოკომოტივის“ ფლანგები მოირღვა. მარცხნივ სახვაძემ გაილალა, მარჯვნიდან კი კარლოსმა შეუტია.

ისევ ანჩაბაძე და ისევ ლომაია. თითქოს ყველაფერი მეორდება. კუთხური კვლავ დარასელიამ ჩააწოდა, თან პირდაპირ კარში — მეკარემ იყოჩაღა. კიდევ ერთი კუთხური ამჯერად ანჩაბაძემ შეასრულა. საჯარიმოში ჩავარდნილი ბურთი ბურდულმა დარასელიას დაუგორა, მისი დარტყმული მცველს მოხვდა.

მცირე ხანში დარასელიამ საჯარიმოს გარედან სცადა გასროლა, ისევ მცველები აღუდგნენ წინ. თვითონვე ჩააწოდა კუთხური შორეულ ძელთან. „ლოკოს“ ფეხბურთელებს ბურთი გადასული ეგონათ, ამისულაშვილმა რომ თავით საჯარიმოში შეაბრუნა. ბურდულმა დაჰკრა, მაგრამ კარის ხაზზე ატუზულმა მცველმა გამოიტანა.

კარლოსის ქროლვამ ვითარება მაშინ გაამწვავა, როცა ბრაზილიელი ქორიძის ფეხს გადაეყარა. ცნობილი წყვილი ერთხელ კიდევ (კარგი იქნება თუ საბოლოოდ) წაკინკლავდა. დინამოელს მეტოქის ხელი ყანყრატოში მოხვდა და კინალამ გაიგუდა კიდეც.

უწყვეტ შეტევათა ნაკადში მასპინძლებმა ერთხელ ჩხვლეტა მაინც მოახერხეს. ჯანაშიამ ქორიძეს დაუგდო და უძლიერესად მოქნეულ-დარტყმული ხარიხას გადაევლო.

მასპინძელთა დაცვის შინაგანაწესი დაღლილობისგან უფრო ხშირად ირღვეოდა. ანჩაბაძემ ბობოხიძეს ორჯერ შეაყოლა ბურთი საჯარიმოში, მაგრამ ფორვარდმა შემობრუნება ვერ მოახერხა.

შეხვედრის დრო იწურებოდა, დარასელია არ ცხრებოდა და რამდენჯერმე კიდევ სცადა გატანა, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს კი კარლოსმა მთელი ჯიგარი ჩააქსოვა თავის მარჯვენა ფეხს. დაახლოებით 35 მეტრიდან ზალპით გაუშვა ბურთი. ლომაია ნაღდად არ იყო მისი მომგერიელებელი. მასპინძელთა საბედნიეროდ, ხარიხა ჩაერია საქმეში და ზედიზედ მესამედ „ლოკომოტივის“ კარი „დინამოსგან“ დაუპყრობელი დარჩა.

ეს იყო ფრე, რომელმაც საჩემპიონო დავას მეტი ინტრიგა შემატა, მაგრამ „ლოკომოტივის“ მწვრთნელთაგან პრესკონფერენციაზე ვერც ერთი მიიყვანა. ის კი თქვეს, ჯარიმას გადაიხდიან არ გამოცხადებისთვისო. კარგი იქნება, პრესკონფერენციაზე თუ წერილობით სათქმელსაც მიაყოლებენ.

*ივო შუშაკი:* „90 წუთის განმავლობაში ჩვენ ვდომინირებდით, მაგრამ შანსები ვერ გამოვიყენეთ. რას ვიზამთ, ხარიხა და ძელიც, ისევე როგორც გაცუდებული პენალტი, ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად ამისა, ჩემი გუნდით ძალიან კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელები ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ ჩემს მითითებებს. განსაკუთრებით მეორე ტაიმში. რომ მოგვეგო, ვფიქრობ, სეზონში „დინამოს“ საუკეთესო მატჩი იქნებოდა. ეს იყო ფეხბურთი, რომელიც მაყურებელს მოსწონს და რომელსაც ითხოვს“.

ბოლოს ერთიც ვთქვათ. რისთვის აქვს სტადიონს ამდენი კარი, რა, ცემენტის ეკონომიას აკეთებდნენ? გაალეთ ეს დალოცვილი ჭიშკრები, შეუშვით ხალხი ფეხბურთზე, თორემ ერთი კარი საქმეს ვერ აუდის და ახალშემოსულთა ნაკადი 45 წუთის განმავლობაში არ აძლევს მატჩის ცქერის საშუალებას ადრემოსულთ.



რა თქმა უნდა, გაწევ-გამოწევაც იყო: გელა ქორიძემ (მარცხნივ) დინამოელ კარლოსს დახრჩობა დაუპირა

ბათუმი. დინამო. 12 მაისი. 17.30 საათი. 2 500 მაყურებელი

## ბათუმი 1:1 კოლხეთი

0:1 ქობულაძე (5), 1:1 აფხაზავა (51პ)

ბათუმი: ჭანტურია, თურმანიძე, მინდაძე, ზვ. გვაზავა (კობიძე 64), ზ. არჩვაძე, დარჩიძე, ხუჯაძე, რომანაძე, დ. ჯანაშია, ტულუში, აფხაზავა
სათადარიგონი: ი. ბალაძე, ჩიჩუა, გ. ჩხაიძე, ბეჟანიძე, ქაცარავა, ი. მახარაძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ახვლედიანი, მ. ქობულაძე, კვირკველია, ქუტიძე (დოუშვილი 46), კვიტინაძე (ჭანტურიძე 73), გუჩუა, ნარსია, დ. ოდიკაძე
სათადარიგონი: ქვაჩახია, პაპავა, ნადარაია
მწვრთნელი: სოსო ფილია

გაფრთხილება: კვიტინაძე (17), ქობულაძე (50)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ჯარიმა: 12-15; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 5-3; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 7-0



შალვა აფხაზავამ „კოლხეთს“ პენალტიდან კი გაუთანაბრა, მაგრამ ბათუმელებმა ფოთელებს ბევრიც ვერაფერი დააკლეს

# კოლხეთი ბათუმში ინტერტოტოს შემხო

**კობა ინასარიძე ბათუმიდან**

**მეტად** დაძაბული და ჟინიანი გამოდგა კვირის ბათუმური მატჩი ინტერტოტოს საგზურის მაძიებელთა შორის. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ფოთელებისგან საკმაოდ დაწინაურებულმა „ბათუმმა“ ბოლო ტურებში იმდენი მოახერხა, რომ თასის ფინალისტების გარკვევის შემდეგ ინტერტოტოზე თამაშის შანსი ძალიან შეიმცირა და მეოთხე ადგილს უშუალო კონკურენტს სწორედ პირად შეხვედრაში, ოღონდ ბათუმში უნდა შესცილებოდა. „კოლხეთი“ კი გადამწყვეტი ბრძოლისთვის შემართული, კარგად მომზადებული ეწვია სამეზობლოს და შინ ქულასთან ერთად, შეიძლება ითქვას, ევროპის საგზურიც გაიყოლა.

ფოთელები თამაშის დაწყებიდან ხუთ წუთშივე დაწინაურდნენ. მასპინძლები „კოლხეთს“ უკანმოუხედავად ეკვეთნენ, მარჯვენა ფლანგზე ახვლედიანი უყურადღებოდ დატოვეს, რომელმაც ბურთი მოედნის საკუთარი ნახევრიდან კუთხურის ალმამდე ხელშეუშლელად მიიტანა, ბათუმელთა საჯარიმოში მარტოდ დარჩენილი პარტნიორი შენიშნა და ბურთი ფეხზე დაასვა. ქობულაძემაც ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობისა და ფაცი-ფუცის გარეშე დაარტყა და ჭანტურიას შორეულ კუთხეში გაუტანა.

„კოლხეთს“ საქმის ნახევარი გაკეთებული ჰქონდა და დაცვა გააძლიერა. წინ ერთადერთი ოდიკაძე იყო დარჩენილი. დანარჩენები საკუთარ საჯარიმოს არ შორდებოდნენ, თუმც კონტრშეტევასაც არ ივიწყებდნენ და ცოტა უფრო ზუსტად რომ ეთამაშათ, ეგებ მეორეც გაეტანათ. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ რამდენიმე კარგი შანსი მიეცათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოდიკაძესთან ერთად ჭანტურიას პირისპირ ერთბაშად სამი ფოთელი დარჩა, კვირკველიამ კი დარტყმა გადაწყვიტა, პარტნიორები სახტად დატოვა და ბურთი მეკარეს ხელებში დაუმიზნა. იმ წუთშივე „ბათუმს“ ჰქონდა ჩინებული საგოლე მომენტი, მაგრამ აფხაზავას მეტრიდან დარტყმული კარს გადასცდა.

ტაიმის ბოლოს კი ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. მასპინძლები უტევდნენ, საკმაოდ სახიფათოდაც, აფხაზავამ დაარტყა, გვასალიამ მოიგერია და ბურთს გაჰყვა, გაჰყვა საჯარიმოს ხაზამდე, კარში კი ფოთელი მცველი დარჩა. ბურთი დარჩიძემ მიიღო, ერთ მცველს გასცდა და გვასალიასა და კარის ხაზზე მყოფ ფოთელს შუა პასი აფხაზავას გაუჭრა, რომელსაც გატანა აღარ გასჭირვებია. არბიტრის ასისტენტმა რუსიშვილმაც მაშინვე ოფსაიდის ნიშნად ალამი აღმართა. ბათუმელები აღშფოთდნენ, რუსიშვილს ეძგერნენ. შეიქნა ერთი ამბავი, მასპინძლებმა რუსიშვილისკენ გაიწიეს, შუაში არბიტრი და დანარჩენი ორი მსაჯი ჩადგა, არადა, ნაღდი ოფსაიდი იყო. საბოლოოდ ახალგაზრდა ბათუმელი ფეხბურთელები ისევ გამოცდილებმა დააშოშმინეს და მსაჯებსაც მოუბოდიშეს.

ტაიმი მალევე დამთავრდა. იმ ეპიზოდისას კი ყველა დაუსჯელი დარჩა. მატჩის განახლებიდან ასევე ხუთ წუთში უკვე დოგრაშვილს შეუტიეს. არბიტრმა ბათუმელთა სასარგებლოდ პენალტი დანიშნა და სტუმართა მეკარე გვასალიამ მისკენ გაიწია. ფოთელები არბიტრის გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ და თამაშიც რამდენიმე წუთით შეწყდა. დოგრაშვილი სტუმართა ალყაში აღმოჩნდა, გამშველებელი ისევ მსაჯები იყვნენ და ერთი-ორი მათაც უბიძგეს. ვითარების განმუხტვას მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი მოჰყვა, რომელიც ქობულაძემ მიიღო. დოგრაშვილს ოდნავი სიმკაცრე და პრინციპულობა რომ გამოეჩინა, გუნდებს, ვფიქრობ, მატჩი ორ-სამკაცნაკლულთ უნდა ჩაემთავრებინათ.

პენალტი კი აფხაზავამ უნაკლოდ შეასრულა. უნაკლოდ ითამაშა მასპინძელთა მეკარე ჭანტურიამაც, რომელმაც ანგარიშის გათანაბრების შემდეგ გუნდი ორჯერ, რომ იტყვიან, ნაღდ გოლს გადაარჩინა. დარჩენილ დროში მომენტები ბათუმელებსაც ჰქონდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ეს ქულა „კოლხეთს“, სავარაუდოდ ინტერტოტოზე ათამაშებს. „ბათუმმა“ კი საკუთარ თავს დააბრალოს, მესამეობის შანსი რომ ჰქონდა და შინ თუ სტუმრად ქულები ჩამოარიგა.



„ბათუმის“ შეტევებმა „კოლხეთის“ დაცვა ვერ დააბნია

ქუთაისი. ტორპედო. 12 მაისი. 17.30 საათი. 2 000 (ტევადობა 19 500)

## ტორპედო 3:0 მერანი

1:0 პოროშინი (8), 2:0 ბაბუნაშვილი (10), 3:0 იონანიძე (43პ)

ტორპედო: სტურუა, მახვილაძე, აბრამიძე, გამეზარდაშვილი, თოდუა, ქემოკლიძე (გ. კვარაცხელია 46), შ. ბაბუნაშვილი, (ძამსაშვილი 56), დიდავა, მ. ასათიანი, პოროშინი, იონანიძე (ზვ. ქუთათელაძე 46)
სათადარიგონი: ტოგონიძე, ახალკაცი, აკოფიანი, ჩილვინაძე
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

მერანი: ნაჭყებია, გუჯაბიძე, დევიძე, გ. ილურიძე, გაბიდაური, ბაჯელიძე, კოშკაძე, დ. ფირცხალაიშვილი (ფურცელაძე 60), ი. შენგელია (კ. მეტრეველი 68), ჭინჭარაული, დ. ბოლქვაძე (კაკაშვილი 56)
სათადარიგო: გ. გაბელია
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ჯარიმა: 14-6; კუთხური: 2-7; კარისკენ დარტყმა: 8-8; კარში დარტყმა: 6-3; თამაშგარე: 1-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 5 | 1 | 2 | 10:5 | 42 |
| დინამო | 8 | 7 | 1 | 0 | 10:0 | 41 |
| ლოკომოტივი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:4 | 41 |
| კოლხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:9 | 26 |
| ბათუმი | 8 | 1 | 1 | 6 | 4:13 | 23 |
| მერანი | 8 | 1 | 0 | 7 | 3:13 | 20 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 16 - პოროშინი | ტორპედო |
| 14 - დავითაშვილი | ლოკომოტივი |
| 12 - წიწინაძე | კოლხეთი |
| 11 - ზ. ქუთათელაძე | ტორპედო |
| მ. ბობოხიძე | დინამო |
| აფხაზავა | ბათუმი |
| ენდელაძე | მეტალურგი |

## VII–XII ადგილები



წყალტუბოელ ლევან ქობულაძეს (მარცხნივ) და ბოლნისელ მამუკა მინაშვილს ბურთი უკან დარჩათ

# რა აქვთ გასაყოფი ქართლელებს და იმერლებს...

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 12 მაისი. 17.30 საათი. 800 (ტევადობა 3 000)

## სიონი 2:1 სამგურალი

1:0 ისიანი (19), 2:0 ქორიძე (32), 2:1 კიკვიძე (70)

სიონი: ვოლკოვი, ა. ბურნაძე, პაპიძე (ბარნოვი 46), მინდიაშვილი, კარიაული, ხუჭუა, მოსეშვილი (ლ. ამბიძე 74), ისიანი, მინაშვილი, გიორგი ქორიძე (ბ. შენგელია 46), გაბისკირია
სათადარიგონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ნინუა
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

სამგურალი: ო. ბობოხიძე, ლ. ქობულაძე, დ. ჭელიძე, მ. ჯინჭარაძე, ფხაკაძე, ნებიერიძე, შეყრილაძე, კოპალიანი (შარაშიძე 46), კიკვიძე, ი. ხაჭაპურიძე (მ. ლონდაძე 46)
სათადარიგო: ბოდოკია
მწვრთნელი: გია გიგატაძე

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. სილაგაძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

ჯარიმა: 10-15; კუთხური: 6-1; კარისკენ დარტყმა: 5-5; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 5-7

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**რა უნდა** ჰქონოდათ კვირას სადავო იმერლებს და ქვემოქართლელებს ერთმანეთთან? არც არაფერი. სამი ქულის ფავორიტი „სიონი“ იყო და უპრობლემოდ მიაღწია საწადელს. სათადარიგო სკამშეთხელებულ და ძირითად შემადგენლობაშესუსტებულ წყალტუბოელებს საამმატჩოდ დიდი ამბიციები არ ჰქონიათ და გია გიგატაძის შეგირდებს დარჩენილ ორ შეხვედრაში მოუწევთ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა. „სიონს“ მე-3 წუთზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა — მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ქორიძის პასს მოსეშვილი ჩაუხტა, მაგრამ თავით ძელს გაარტყა ბურთი. ამ მომენტიდან ორი წუთი გავიდა და სტუმრებმა სასწაულებრივ ვერ გაიტანეს. ვოლკოვ-კარიაულის შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად კიკვიძე აღმოჩნდა ბურთიანად საჯარიმოში მცველის პირისპირ, მაგრამ კარიაულმა შეცდომა გამოასწორა და იმერელს არ გაატანინა. მისგან განსხვავებით, თავისი შანსი ბოლომდე გამოიყენა ბოლნისელმა შალვა ისიანმა, რომელმაც დროულად გაიწია მინდიაშვილის მიერ საჯარიმოში ჩაგდებული ბურთისკენ და თავით აულებელი დაურტყა წყალტუბოელთა სათადარიგო მეკარეს.

დარჩენილი საპირველტაიმო ამბებიდან გამოსარჩევი იური გაბისკირიას 40-მეტრიანი პასები იყო, ხშირად და ეფექტურად რომ ანაწილებდა გამოცდილი ფეხბურთელი. ერთ-ერთი ასეთი პასი გიორგი ქორიძემ საჯარიმოში მკერდით მიიღო და ძირს დავარდნილ ბურთს საგოლედ დაჰკრა.

მეორე ტაიმში „სიონმა“ წათვლიმა და სტუმრებს გამოცოცხლების საშუალება მისცა, თუმც წყალტუბოელები მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდნენ. „სამგურალმა“ შეყრილაძისა და კიკვიძის აქტიურობის შემდეგ გაქვითა ერთი ბურთი. კიკვიძემ ოთხიოდე მეტრიდან აულებელი დაურტყა ვოლკოვს. ამის მერე კი ორივე გუნდმა ვალმოხდილად ჩათვალა თავი და მატჩის დარჩენილი დროც მშვიდად გაილია.



„სიონის“ კაპიტნის ბახვა მოსეშვილის (შუაში) დარტყმული ბურთი „სამგურალის“ კარის ძელმა აისხლიტა

# მოსვლა შენი ნება იყო, წასვლა ჩვენი

მცხეთა. არმაზი. 12 მაისი. 17.30 საათი. 200 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:0 გურია

| |
|---|
| 1:0 ადამია (30) |
| ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, კობიაშვილი, მუჯირი, გველესიანი (დ. დოლიძე 66), ლ. ნოზაძე, თედორაძე, ვ. გოჩაშვილი (ფეიქრიშვილი 77), დილმელაშვილი, ადამია, მელქაძე, წუწუნავა (იაშვილი 69) სათადარიგონი: მამარდაშვილი; მალიჩავა, იმედაშვილი, კვახაძე მწვრთნელი: ჯანი კარნევალე |
| გურია: ჩომახიძე, ხუნაშვილი (გიორგაძე 76), განევი, ჟვანია, ფაცურია, იმნაიშვილი (გალოგრე 54), კუკულაძე, კიკაჩეიშვილი, ლ. ჩხაიძე, სულაქველიძე, ნაროუშვილი სათადარიგონი: ქადორიძე, ჩხარტიშვილი, ქიქავა მწვრთნელი: რამაზ ფირცხალაიშვილი |
| მსაჯები: ი. კახიანი; ზ. ხუციშვილი, ზ. ჯვარიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია |
| ჯარიმა: 15-13; კუთხური: 6-1; კარისკენ დარტყმა: 12-1; კარში დარტყმა: 9-0; თამაშგარე: 7-3 |


იოსებ კახიანს უმაღლესი ისევ ანდეს

კახა შალამბერიძე მცხეთიდან

**ეს იყო მატჩი,** რომლის შედეგსაც არავისთვის (არც თავად მონაწილე გუნდებისთვის) არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ქვედა ექვსეულის გათამაშების ცხრილის საპირისპირო პოლუსებზე მყოფი გუნდები ახლა მხოლოდ ფორმალურ მხარესლა აგვარებენ, თან მომავალ სეზონზეც ფიქრობენ... ამიტომაც „ვიტ ჯორჯიას“ შემადგენლობაში რამდენიმე ახალბედას გამოჩენას ველოდით, თუმცა იტალიელმა ჯანი კარნევალიმ მატჩის დამთავრებამდე ოციოდ წუთით ადრე მხოლოდ ევროპის ჩემპიონატმოვლილ, 17 წლის სანდრო იაშვილის გამოყვანა არჩია, ისე კი ლანჩხუთის „გურიას“ უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდა.

ჰოდა, აბა, რა გასაკვირია, მთელი 90 წუთის მანძილზე უპირატესობას ვეტერინარები რომ ფლობდნენ. ეს სტატისტიკური მონაცემებიდანაც კარგად ჩანს. მასპინძლებმა იმდენი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, რომ ამ ტურში მოთამაშე დანარჩენი გუნდები ერთად ვერ მოახერხებდნენ.

თუმცა ამ არაფრისმთქმელ მატჩში ერთი საინტერესო ფაქტი მაინც დავაფიქსირეთ — ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ უმაღლესი ლიგის მატჩი იოსებ კახიანმა განსაჯა...

მატჩის ხასიათიდან გამომდინარე, „არმაზზე“ შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებელი გოლების დასათვლელად ემზადებოდა, თუმცა „ვიტ ჯორჯიამ“ გულშემატკივრები დიდად არ შეაწუხა და მხოლოდ კინკილა გოლს დააჯერა. 30-ე წუთზე გიორგი ადამიას პასს კახა წუწუნავა შეჰყვა, პირით ხაზზე ორი მცველი გააცურა და კვლავ ადამიას დაუგორა, რომელმაც ძლიერი დარტყმით ახლოდან დალაშქრა სტუმართა კარი.

„ვიტ ჯორჯია“ მანამდე, მე-13 წუთზეც შეძლო გოლის გატანა, მაგრამ წუწუნავას გატანილი თამაშგარეს გამო გაუქმდა.

დანარჩენი მომენტების აღწერით თავს დიდად არ შეგაწყენთ და მხოლოდ ორზე ვიტყვით — მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ვეტერინართა მეკარე სერგო ჭურაძე შეცდა და დავით ნაროუშვილს გადაულოცა ბურთი, რომელსაც ცარიელ კარში დარტყმა უკნიდან წამოპარულმა თენგიზ კობიაშვილმა არ დააცალა. მატჩის ბოლო წუთზე კი ლევან მელქაძის მიერ 20-22 მეტრიდან შესრულებული ულამაზესი საჯარიმო დარტყმა ხარიხამ არ „გაატარა“.

ამგვარად, „ვიტ ჯორჯიამ“ მინიმალური სხვაობით დაამარცხა ლანჩხუთის „გურია“. გაჭირვებულ და ქულადანატრებულ სტუმრებს ორი ტურიღა დარჩათ უმაღლესი ლიგის ჰაერის სუნთქვით გულის დასაჯერებლად, მერე კი კვლავ ნაცნობ საბინადროს ეწვევიან.

ისე უპატრონო „გურიასთვის“ ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა?..



# 8 ტური

## I–VI ადგილები

# პანკისის ლომის ღრიალი ქართულ უმაღლესს მილანი შეემატა

ძველი ანაგა. ცენტრალური. 13 მაისი. 17.30 საათი

## მილანი 2:2 თსუ

| |
|---|
| 0:1, 0:2 მერებაშვილი (48პ, 65), 1:2 მოსიაშვილი (68), 2:2 მედოევი (86) |
| მილანი: ნაყოფია, დიმიტრიშვილი, ტარიელაშვილი, ბარამიძე, მეტონიძე, მ. სამხარაძე, მოსიაშვილი, ქალიაშვილი, გამცემლიძე, გოლეთიანი, როსტიაშვილი (მედოევი 46). სათადარიგონი: გრძელიძე; ეგაძე, მებონია, ჩიტაური |
| თსუ: გუგუნავა, იაკობიძე, ბერიანიძე, დათუნაიშვილი, ჩოხელი, მერებაშვილი, მესხი (ლ. კვარაცხელია 74), სოხაძე (ჯოჯუა 69), ქუხილავა, გ.ა. მიქაძე (ლობჟანიძე 46), ქურაშვილი სათადარიგონი: ჭრიკიშვილი; ბ. ნოზაძე, კოქლაშვილი, დემეტრაძე |
| გაფრთხილება: სოხაძე (69) |
| მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); კ. თბილელი, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: ა. გრეკოვი |

პაატა კვანტალიანი ძველი ანაგიდან

**გამარჯვებული** და ამაყია ქიზიყი. ასეთი ბედნიერები ბოლოს სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ვიყავითო — თქვა გუშინდელი „ომის“ შემდეგ მხცოვანმა ძველანაგელმა ქომაგმა.

მართლაც ომში მოიპოვა „მილანმა“ უმაღლესი ლიგის საგზური, ომში, რომელიც ერთი შეხედვით წაგებული ჩანდა.

უმაღლესისკენ დაგეშილმა თსუ-მ თავს აჯობა და ფიცხელი ბრძოლა გაუმართა ქიზიყის სიამაყეს. კახელებს ფრეც ჰყოფნიდათ მიზნის მისაღწევად, სტუმრებს კი უპირობო გამარჯვება სჭირდებოდათ, და პირველივე წუთებიდან ცეცხლი დაანთეს სტუდენტებმა ტრიბუნებ-ხეებ-მანქანებ-ლობეებ გადაჭედილ ძველანაგურ სარბიელზე.

თსუელთა ლიდერი ერეკლე მერებაშვილი მეტეორივით დაქროდა მასპინძელთა ნახევარზე და სამი მეურვის გარემოცვაშიც კი გვარიან ხიფათს უქმნიდა მასპინძლებს.

ერეკლეს გიჟურმა თავდადებამ მეორე ტაიმის პირველივე წუთებზე გამოიღო შედეგი. ეფექტურად ორი მცველის მომტოვებელი სტუდენტი, მესამემ საჯარიმოში დასცა და დავით სანაიამ უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. მერებაშვილმა აულებელი დაურტყა ნაყოფიას და ომიც გახურდა. შვიდ წუთში სანაიამ სტუდენტებს მოუზომა თერთმეტი მეტრი და პენალტის დანიშვნით გამოწვეული სიხარული განელებული არ იყო, გვერდითმა მსაჯმა არსენ ნონიკაშვილმა დაჭრილი მხეცივით აღრიალა მასპინძლები. არსენმა პატარა გმირობა ჩაიდინა და ალამი აღმართა თამაშგარეს ნიშნად.

„მილანი“ გააფთრებული მიაწყდა სტუმართა კარს, დაცვა მოაშიშვლა და 65-ე წუთზე მერებაშვილმა მთელი ძველი ანაგა დაადუმა. სხარტი ფორვარდი ჩოხელის ზუსტ პასს დაუხვდა, ორ მცველს და მეკარეს აჯობა და მახვილი კუთხიდან მეორე გოლი გაიტანა.

მასპინძლებს იმედი გამოცდილმა მოსიაშვილმა დაუბრუნა სამ წუთში. მიშამ ლონივრად მოიქნია ოცდახუთიოდე მეტრიდან და შორეულ ცხრიანში გაუტანა გუგუნავას. მერე კი ზაზა მედოევის ჯერიც დადგა. „პანკისის ლომმა“ (მედოევის მეტსახელია) ტრავმის გამო სათადარიგოთა შორის გაატარა პირველი ნახევარი. მოედანზე შესვლის წინ მედოევი გოლს დაჰპირდა „მილანის“ პრეზიდენტ ავთანდილ მანგოშვილს. ზაზამ დანაპირები 86-ე წუთზე შეასრულა, ლამის ზედ კუთხურის ალმიდან მოხდენილი მოჭრილი დარტყმით აულებელი რომ ჩაუხვია გუგუნავას. მედოევთან ერთად მთელმა ქიზიყმა იღრიალა გამარჯვების ნიშნად.

„მილანს“ ამ მატჩის მოგებაც შეეძლო, მაგრამ დარჩენილ დროში ქიზიყელებმა ორი ხელსაყრელი მომენტი გააცუდეს.

## ლოკომოტივი 3 1:3 დილა

## ქობულეთი 1:0 ცხინვალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 8 | 6 | 2 | 0 | 15:5 | 43 |
| დილა | 8 | 5 | 1 | 2 | 14:9 | 41 |
| ქობულეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 8:6 | 36 |
| თსუ | 8 | 4 | 1 | 3 | 9:9 | 36 |
| ლოკომოტივი 3 | 8 | 2 | 0 | 6 | 13:14 | 26 |
| ცხინვალი | 8 | 0 | 0 | 8 | 3:19 | 18 |

## VII–XI ადგილები

## მერანი 2 2:3 ხობი

## დინამო 2 2:0 სამტრედია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 6 | 5 | 1 | 0 | 13:4 | 30 |
| ხობი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 21 |
| ლაზიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 11:7 | 20 |
| სამტრედია | 7 | 2 | 1 | 4 | 6:11 | 17 |
| მერანი 2 | 7 | 2 | 0 | 5 | 9:16 | 14 |

# ცრუ გამოძახება

## კვარაცხელია შემთხვევის ადგილზე დანაშაულს ვერ შეესწრო

ზესტაფონი. ცენტრალური. 12 მაისი. 17.30 საათი. 1 500 (ტევადობა 10 000)

## მეტალურგი 0:0 გორდა

| |
|---|
| მეტალურგი: ა. ლაბაძე, მაღლაკელიძე, ბაქრაძე, მემარნიშვილი (მ. ლონლაძე 78), მერებაშვილი, გაბრიჭიძე, სულაკაძე, გეწაძე, კაციაშვილი, ენდელაძე, ვარდიაშვილი (კობესაშვილი 64) სათადარიგონი: ნიქაბერიძე, ცნობილაძე, ორმოცაძე, გურეშიძე, ქოხონელიძე მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე |
| გორდა: ბათიაშვილი, კედელაშვილი, ბერიძე, ზ. ცქიფურიშვილი, ხილაგაძე, ზვ. ლაბაძე, მელაძე (ლ. ხმალაძე 78), ალადაშვილი, გ. კილასონია, ჯელაძე, დ. გოდერძიშვილი სათადარიგონი: ბედიაშვილი; ვ. კილასონია, ბუკია, თაბერიძე მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |
| გაფრთხილება: ბერიძე (28), გეწაძე (36), კედელაშვილი (85), ხმალაძე (87) |
| მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მალაღურაძე (თბილისი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე |
| ჯარიმა: 34-35; კუთხური: 2-0; კარისკენ დარტყმა: 5-6; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 2-4 |

იუზა კაციტაძე ზესტაფონიდან

**ზედა** ექვსეულისა არ იყოს, ჩემპიონატის ფინიშთან ქულები ქვეექვსეულშიც ძვირად ფასობს. მხოლოდ „ვიტ ჯორჯიას“ აქვს თავი ქუდში, ვეტერინარებმა უკვე დაიჯავშნეს სამომავლოდ უმაღლესში თამაში, ამასთან გარკვეულია „გურიას“ ბედიც, ლანჩხუთელები მეორედ გამოეთხოვებიან უმაღლეს ლიგას. დანარჩენ ოთხ გუნდს კი, როგორც ჩანს, გათამაშების ცხრილში საბოლოოდ ბოლო ტური დაალაგებს.

ზესტაფონური მატჩის შედეგს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. მეტოქეებს ქულები ჰაერივით სჭირდებოდათ და საწყის წუთებშივე მოედანზე გამეფებული დაძაბულობაც, ცხადია, ამით აიხსნებოდა. სტუმარ-მასპინძელმა უშელავათო, ხისტი თამაში გააჩაღეს. „გორდას“, უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს და რუსთაველებმაც თავიდან ყველაფერი იღონეს უპირატესობის დასაუფლებლად. სტუმრები გააზრებულად მოქმედებდნენ მოედნის ცენტრში და სახიფათოდაც უტევდნენ. 20 წუთში „გორდას“ გატანის ორი კარგი შესაძლებლობა ჰქონდა — მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ მელაძემ საჯარიმოს გარედან დაჰკრა მეტოქის კარისკენ, მაგრამ ავთო ლაბაძემ იმარჯვა. ცოტა ხანში ზესტაფონელებს ხარიხა შეეშველა, თორემ გოდერძიშვილის დარტყმულს ვერ გადაურჩებოდნენ. მოვლენების ამგვარი განვითარება მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა, ზესტაფონელებმა თავს ძალა დაატანეს და თანდათან გაათანაბრეს თამაში, ტაიმის ბოლოსკენ უპირატესობასაც დაეუფლნენ და მწვავედ შეუტიეს, თუმცა საგოლე ერთიღა შექმნეს. სულაკაძემ ისარგებლა კედელაშვილის შეცდომით და გვერდიდან შეიჭრა საჯარიმოში, მისი დარტყმული ბურთი მცველ ბერიძისგან კარისკენ აისხლიტა და გოლი, თითქოს, გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ აქ ჩინებულად გაისარჯა ბათიაშვილი.

რუსთაველთა მეკარე მეორე ნახევარშიც აულელვებლად, საიმედოდ თამაშობდა და სტუმრებს საკუთარ ძალაში რწმენას მატებდა. ბათიაშვილს და მცველებს ზესტაფონელთა რამდენიმე სახიფათო შეტევის ჩაშლა მოუხდათ, ოღონდ მეტოქის კარზე დაგეშილმა გუნდმა, ლამის საკუთარში მიიღო გოლი. კილასონიას საჯარიმოდან ჩაწოდებულზე ზესტაფონელ მცველებს გოდერძიშვილმა დაასწრო და თავურით გაგზავნა მიზანში, თუმც ლაბაძემაც საუცხოოდ ითამაშა, ცხრიანიდან გამოაძრო ბურთი. ამ ეპიზოდიდან ხუთ წუთში თამაშში ახალშესულ კობესაშვილს უნდა ესარგებლა რუსთაველ მცველთა შეცდომით, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა.

მატჩის ბოლოსკენ მასპინძლები „გორდას“ ნახევარს არ მოშორებიან, ისინი ბევრს უტევდნენ, თუმც ამაოდ. ენდელაძის დარტყმულს თუ არ ჩავთვლით, სხვა მხრივ სტუმრებს ხიფათი არ შექმნიათ. დაძაბულობამ კი კულმინაციას საფინალომდე წამებით ადრე უწია. „მეტალურგმა“ ბოლოჯერ შეუტია. კაციაშვილმა ცენტრიდან კარგად გაუჭრა გეწაძეს, რომელიც ბურთიანად შეიჭრა საჯარიმოში და დარტყმაც დააპირა, მაგრამ მცველი წამოეპარა და... ბერიძე — გეწაძის ორთაბრძოლა იმით დასრულდა, რომ მოიერიშე დაეცა. კვარაცხელია უმალ შემთხვევის ადგილზე გაჩნდა და... მასპინძლები პენალტს რომ ელოდნენ, აქეთ დააჯარიმა — აქაოდა გეწაძემ წაისიმულიანტაო. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ზესტაფონელ ქომაგთა რეაქცია. არბიტრს ლანძღვა-გინების აუტანელი კორიანტელი დაადგა, არადა, ამ ეპიზოდამდე მსაჯთან საპრეტენზიო არავის ჰქონია.

## VII–XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 12:8 | 33 |
| სიონი | 8 | 4 | 0 | 4 | 15:12 | 25 |
| მეტალურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:10 | 23 |
| სამგურალი | 8 | 5 | 0 | 3 | 11:7 | 22 |
| გორდა | 8 | 4 | 2 | 2 | 15:11 | 21 |
| გურია | 8 | 0 | 0 | 8 | 3:21 | 8 |

# აზერბაიჯანში დაწყებული გერმანიაში დასრულდება

## კოპალეიშვილს ხუთი, ჩივაძეს ერთი

**სამ თვეზე** ცოტა მეტიც და საქართველოს ნაკრები კიდევ ერთ შესარჩევ ეტაპზე მოსინჯავს ძალას. ალექსანდრე ჩივაძის გუნდის ბოლო გამოცდა ჯერჯერობით უკრაინის ნაკრებთან იყო. უახლოესი სპარინგმატჩი კი აგვისტოშია დაგეგმილი. ქართველები ესტონეთში ითამაშებენ ამხანაგურად.

აგვისტოს ბოლო დღეს ქართული დელეგაცია (ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები) გერმანიაში გაემგზავრებიან შეკრებაზე. ფრაიბურგში ან ბიდბურგში ჩვენებურები 5 დღეს ივარჯიშებენ, 5 სექტემბერს ბაზელისკენ აიღებენ გეზს და შვეიცარიელებთან სათამაშოდ გაემზადებიან.

გაცილებით შთამბეჭდავი მოსამზადებელი ეტაპი მოელის ვახტანგ კოპალეიშვილის ახალგაზრდულს, რომელიც ოლიმპიური გუნდის სახელით ჩაერთვება შესარჩევ ციკლში. მაისის ბოლოს „კოპალას ბიჭები“ მეზობელ აზერბაიჯანს უნდა სწვეოდნენ და ორი საკონტროლო მატჩიც ჩაეტარებინათ. ამაზე დიდი ხანია, მიღწეულია შეთანხმება, მაგრამ აზერბაიჯანში „აჯანყებაა“. იქაური ფეხბურთის თავკაცს ფუად მუსაევს კლუბების უმრავლესობა უნდობლობას უცხადებს და ჩემპიონატიც შეწყვეტილია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აჯანყებულ სამეზობლოს ორი ვარიანტი შესთავაზა — გნებავთ პირობისამებრ გესტუმრებით, თუ არა და აქეთ მობრძანდით და დაგეგმილი ორი მატჩიც თბილისში ვითამაშოთო.

ფუად მუსაევი თურმე ამჟამად უეფაში იმყოფება, იქიდან ორ-სამ დღეში დაბრუნდება და ქართველ—აზერბაიჯანელთა ორ რაუნდიანი დაპირისპირების ამბავიც საბოლოოდ მაშინ დაზუსტდება.

გარდა ამისა, კოპალეიშვილს 15-25 ივნისსაც მოუწევს სამწყსოს შეკრება. ირანის ფეხბურთის ფედერაცია იხვეწება, აღნიშნულ შუალედში, თბილისში ორი მატჩი ვითამაშოთო და ჩვენებურებსაც დასტური მიუციათ.

აგვისტოს შუა რიცხვებში თურქები გვეპატიჟებიან, ტრაბზონში ჩამობრძანდით, ჩვენ აქაურ თანატოლებს დაგახვედრებთ და შევერკინოთო. გერმანულ შეკრებამდე ეს იქნება ოლიმპიური ნაკრების ბოლო გამოცდა. კოპალეიშვილის გუნდი შვეიცარიაში პირველ თამაშს 6 სექტემბერს ჩაატარებს და მის მომზადებაზე ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ოლიმპიური კომიტეტიც იზრუნებს.

**გამუკა კვანტალიანი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXVIII ტური

# გამოთხოვება ძველ ინგლისთან




„არსენალი" — ინგლისის ჩემპიონი

**არსენალი 4:3 ევერტონი**

1:0 ბერხკამპი (4), 1:1 კარსლი (20), 1:2 რაძინსკი (31), 2:2, 3:2 ანრი (33, 72), 4:2 ჯეფერსი (83), 4:3 უოტსონი (89)
არსენალი: რ. რაიტი (ს. ტეილორი 84), დიქსონი, ეშლი კოული, გრიმანდი, ლუზი, სტეპანოვსი, ედუ, პარლოუ (ვიეირა 64), ანრი, ვილტორდი (ჯეფერსი 64), ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ევერტონი: სიმონსენი, ს. უოტსონი, სტაბსი, ვეირი, ანსუორთი, ალექსანდერსონი (ჟინოლა 79), პემბრიჯი, ლინდეროტი, კარსლი, ჯ. კემბელი, რაძინსკი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
მსაჯი: პოლი
38 254 მაყურებელი

**ბლექბერნი 3:0 ფულემი**

1:0 კოული (52), 2:0 დაფი (66), 3:0 კოული (82)
ბლექბერნი: ა. კელი, ნ. იოჰანსონი (უნსალი 75), ბერგი, ი. ტეილორი, დაფი, დანი, გილესპი, თუგაი (იორდი 83), ნაილი, იანსენი (მ. ჰიუზი 75), ენდი კოული
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ფულემი: მ. ტეილორი, ფინანი, მელვილი, ჰარლი (უილოკი 82), უადუ (ნაითი 46), ლეგვინსკი (შტოლცერსი 82), შ. დევისი, გოლდბეკი, ლუისი, საჰა, მარლე
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: თუგაი, ნაილი, დანი
მსაჯი: ფოი
30 487 მაყურებელი

**ჩელსი 1:3 ასტონ ვილა**

0:1 კრუში (21), 0:2 ვასელი (63), 1:2 გუდიონსენი (70პ), 1:3 დაბლინი (88)
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, ტერი, გალასი, ლე სო (ჰასი 46), ლამპარდი, ზენდენი (გუდიონსენი 46), პეტი, გრონკიერი (დალა ბონა 46), ძოლა, ჯ. კოული
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ასტონ ვილა: ენკელმანი, მ. გილანი, ჯ. რაიტი, მელბერგი, ბერი, სტონტონი, ჰიცლსბერგერი (ლ. ჰენდრი 53), სტოუნი, დ. ბოატენგი, კრუში (ანხელი 85), ვასელი (დაბლინი 85)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: ჰიცლსბერგერი
მსაჯი: ბენეტი
40 709 მაყურებელი

**ლესტერი 2:1 ტოტენჰემი**

0:1 შერინგემი (53პ), 1:1 დიკოვი (60), 2:1 პიპერი (71)
ლესტერი: უოქერი, დავიდსონი, მ. ელიოტი, როჯერსი, ფ. სინკლერი, ემპონი (სტივენსონი 58), ი. მარშალი, იმპი, იზეტი (ტაგარტი 76), პიპერი, დიკოვი (უილიამსონი 90)
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
ტოტენჰემი: კელერი, ტარიკო, პერი, ტეტჩერი, ე. გარდნერი, ანდერტონი, კლემენსი (დოჰერტი 72), ს. დევისი (ეზერინგტონი 71), პოიეტი, შერინგემი, ივერსენი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მსაჯი: ერლე
21 716 მაყურებელი




არსენალი — ევერტონი. დენის ბერხკამპმა სტუმრები უცბადვე დაალონა

**ლიდსი 1:0 მიდლსბრო**

1:0 სმიტი (63)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, ს. ჯონსონი, კიუელი (უილკოქსი 90), რობი კინი, ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ემიოგუ, საუთგეიტი, კუპერი (დებევე 76), გრინინგი (მ. მერფი 84), მასტო, ინსი, დოუნინგი (უინდასი 67), ნემეტი, ვილანი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: მატეო, მარტინი
მსაჯი: რენიე
40 218 მაყურებელი

**ლივერპული 5:0 იფსვიჩი**

1:0, 2:0 რიისე (13, 35), 3:0 ოუენი (46), 4:0 შმიცერი (57), 5:0 ანელკა (88)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ანრი, შაფიერი (ანელკა 85), რიისე, ჰამანი, ჯერარდი (შმიცერი 33), დ. მერფი (მაკალისტერი 82), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
იფსვიჩი: ე. მარშალი, ბრემბლი, მაკგრილი (უილნისი 39), ჰრეიდარსონი, ვენუსი, კლეპამი, ტ. მილერი, ჰოლანდი, როიზერი, დ. ბენტი (მარკუს სტიუარტი 69), მ. ბენტი (ა. არმსტრონგი 82)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
მსაჯი: დანი
44 088 მაყურებელი

**მანჩესტერი 0:0 ჩარლტონი**

მანჩესტერი: ბარტეზი (ვან დერ გოუ 77), ფ. ნევილი, უესლი ბრაუნი, ბლანი, ირვინი (ოში 68), მაიკლ სტიუარტი (გიგზი 59), როი კინი, სქოულზი, ფორჩუნი, ფორლანი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ჩარლტონი: დ. კელი, იანგი, რუფუსი, ჟორჟე კოშტა, ჯ. პაუელი, კონჩესკი (მ. იოჰანსონი 81), ბარტ-უილიამსი, პარკერი, გ. სტიუარტი (ივენსენი 76), იუელი, ლისბი (ა. სვენსონი 90)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ირვინი, ნევილი
მსაჯი: პოლი
67 579 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 3:1 ნიუკასლი**

1:0 სვენსონი (16), 2:0 ბიტი (22პ), 2:1 შირერი (54), 3:1 ტელფერი (90)
საუთჰემპტონი: მოსი, დოდი, ბრიჯი, ლუნდეკვამი, ელ ხალეჯი, დელაპი, ტელფერი, მ. სვენსონი (ფერნანდესი 70), პახარსი (მონკი 59), ბიტი, ორმეროდი (ტესემი 61)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ნიუკასლი: გივენი, დაბიზასი, ა. ჰიუზი, დისტინი, ბერნარი, სოლანო, სპიდი, რობერი, დაიერი (ჯენასი 58), შირერი, ლუა-ლუა
გაფრთხილება: დაბიზასი
გაძევება: ელ ხალეჯი (55)
მსაჯი: დურსო
31 973 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:1 დერბი ქაუნთი**

1:0 ფილიპსი (17), 1:1 რობინსონი (68)
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, კრადოკი, ბიორკლუნდი, გრეი, კილბეინი, ჯ. რეინა, მაკატირი, ბატლერი, ფილიპსი, ნ. ქუინი (მბომა 71)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
დერბი ქაუნთი: პოომი, უ. ბარტონი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ზავანი (ჯექსონი 73), ევატი, ბოერტიენი (ტვიგი 65), ლი, ბოლდერი, კრისტი, შტრუპარი (მ. რობინსონი 57)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ბარტონი
მსაჯი: უილი
47 989 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 2:1 ბოლტონი**

1:0 ლომასი (43), 1:1 ჯორკაეფი (66), 2:1 პირსი (88)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, ი. პირსი, რეპკა, დეილი, უინტერბერნი, ლომასი, ტ. სინკლერი, კარიკი (მონკუ 90), ჯ. კოული, დეფო, კანო (გარსია 90)
მწვრთნელი: გლენ როედერი
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერგსონი, ჩარლტონი, ბერნქსი, კონსტანტინიდისი (მ. სმიტი 59), ტოფტინგი (ნოლანი 46), ფარელი, ფრანდსენი, ჯორკაეფი, ბობიჩი, რიკეტსი (ჰოლდსუორთი 46)
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
გაფრთხილება: კოული, ფარელი, რეპკა
მსაჯი: დინი
35 546 მაყურებელი

**პრემიერლიგის** ბოლო ტურში ისეთიც არაფერი მომხდარა, რამე რომ შეეცვალა. გუნდები ღიად და კეთილად, ზოგჯერ კი უხალისოდაც თამაშობდნენ. „არსენალს" საჩემპიონო თამაში ჰქონდა „ჰაიბერიზე" და შემადგენლობაც ლაღი ჰყავდა. მეთოფეებმა ბოლოს მაინც იმარჯვეს შვიდგოლიან თამაშში, რომელშიაც გუნდს განაპირა მცველი ლი დიქსონი კაპიტნობდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ შაბათს დაემშვიდობა დიქსონი „არსენალს".

საერთოდ კი, შაბათი პრემიერლიგის პირველ თაობასთან გამოთხოვების დღე იყო. დიქსონის მხარდამხარ თამაშს გამოემშვიდობა ასევე მცველი ნაიჯელ უინტერბერნი, რომელმაც 429 მატჩი ჩაატარა „არსენალში", ბოლო ორ წელიწადს კი „ვესტ ჰემში" თამაშობდა. „მანჩესტერიდან" წავიდა მცველი დენის ირვინი, რომელმაც თორმეტი წელიწადი გაატარა გუნდში და ალექს ფერგიუსონი დღესაც თავის ყველაზე იღბლიან შენაძენს უწოდებს.

„ლივერპულ"—„იფსვიჩის" შეხვედრის 81-ე წუთზე მოედანზე უკანასკნელად შევიდა გარი მაკალისტერი, დიდებული ფეხბურთელი და ცოცხალი ისტორია, რომელიც სულ მალე „ქოვენთრის" მენეჯერი გახდება. „საუთჰემპტონი" კი ეპოქას ეთხოვება, ფეხბურთიდან მიდის „ლე ღმერთად" წოდებული მეტ ლეტისიე, რომელმაც მთელი კარიერა ამ კლუბში გაატარა და 168 გოლი გაიტანა. მის ტესტიმონიალზე (საბენეფისო თამაშზე) კლუბისთვის სარეკორდო, 32 ათასი ბილეთი გაიყიდა. გუშინ გაიმართა ტონი ადამსის ტესტიმონიალიც...

დიახ, ორმოცს მიტანებულნი პრემიერლიგას ეთხოვებიან, პრემიერლიგას კი ძველი ახალი ჩემპიონი ჰყავს. ყურებჩამოყრილმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" შინ უგოლო ფრე ითამაშა „ჩარლტონთან", „ლივერპულმა" კი მწარე მარცხი აგემა პირველი დივიზიონისკენ უხალისოდ მიმავალ „იფსვიჩს". „იფსვიჩის" ერთადერთი შანსი „ენფილდზე" გამარჯვება და ამის პარალელურად, „სანდერლენდის" შინ დამარცხება „დერბისთან" იმთავითვე აუსრულებელი ჩანდა.

„მანჩესტერმა" კი პრემიერლიგის ბოლო დღეს ორ ფეხბურთელს გაუფორმა კონტრაქტი, ნახევარმცველ დევიდ ბექემსა და თინეიჯერ მეკარე ლუკ სტილს, რომელსაც ფერგიმ მომავალი გენიოსი უწოდა. საერთოდ კი, „მანჩესტერიდან" უკვე წავიდნენ მეკარე რაიმონდ ვან დერ გოუ და ტრავმებით ტანჯული რონი იონსენი. გაისად კი ამ ქალაქს ორი გუნდი ეყოლება პრემიერლიგაში, ისევე როგორც ბირმინგემს. „ვილას" მხარდამხარ და წინააღმდეგ პრემიერლიგაში ითამაშებს „ბირმინგემ სიტი", რომელიც ლიგის მუდმივ მაყურებელს არასოდეს უნახავს, რადგან უძლიერესთა შორის ეს გუნდი ბოლოს 16 წლის წინათ გამოჩნდა.

„ბირმინგემმა" უდრამატულეს საპლეიოფო ფინალში, პენალტების სერიაში სძლია „ნორვიჩს" და პრემიერლიგაში გადავიდა. საკუთრივ თამაში უგოლოდ დასრულდა, დამატებით დროში ორივემ თითო გაიტანა, პენალტების სერიაში კი ერთი დარტყმა ბირმინგემელთა მეკარე ნიკო ვესენმა მოიგერია, ერთი საერთოდაც ასცდა კარს, გადამწყვეტი პენალტი კი 18 წლის დარენ კარტერმა გაიტანა.

ეს იყო ყველაზე ნაღდი და საინტერესო თამაში გასულ კვირას კუნძულებზე გამართულ შეხვედრებს შორის. პრემიერლიგა დასრულდა, მაგრამ ის კვლავ დაიწყება.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 24 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 23 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 23 |
| შირერი (ნიუკასლი) | 23 |
| ოუენი (ლივერპული) | 19 |
| სოლსკიაერი (მანჩესტერი) | 17 |

**პირველი დივიზიონი**

**პლეი ოფი. ფინალი**

**ნორვიჩი 1:1 დდ. (პენ. 2:4, 0:0) ბირმინგემი**
1:0 ი. რობერტსი (91), 1:1 ჰორსფილდი (103)
მომავალი სეზონიდან „ბირმინგემ სიტი" პრემიერლიგაში ითამაშებს

**მეორე დივიზიონი**

**პლეი ოფი. ფინალი**

**ბრენტფორდი 0:2 სტოკი**
0:1 დ. ბარტონი (17), 0:2 გუნერსონი (44)
მომავალი სეზონიდან „სტოკ სიტი" I დივიზიონში ითამაშებს



ნორვიჩი — ბირმინგემი. ნიკო ვესენის მოგერიებულმა პენალტმა „ბირმინგემი" პრემიერლიგაში აიყვანა

| საბოლოო ცხრილი | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 38 | 26 | 9 | 3 | 79:36 | 43 | 87 | 19 | 12 | 4 | 3 | 42:25 | 17 | 40 | 19 | 14 | 5 | 0 | 37:11 | 26 | 47 |
| 2 ლივერპული | 38 | 24 | 8 | 6 | 67:30 | 37 | 80 | 19 | 12 | 5 | 2 | 33:14 | 19 | 41 | 19 | 12 | 3 | 4 | 34:16 | 18 | 39 |
| 3 მანჩესტერი | 38 | 24 | 5 | 9 | 87:45 | 42 | 77 | 19 | 11 | 2 | 6 | 40:17 | 23 | 35 | 19 | 13 | 3 | 3 | 47:28 | 19 | 42 |
| 4 ნიუკასლი | 38 | 21 | 8 | 9 | 74:52 | 22 | 71 | 19 | 12 | 3 | 4 | 40:23 | 17 | 39 | 19 | 9 | 5 | 5 | 34:29 | 5 | 32 |
| 5 ლიდსი | 38 | 18 | 12 | 8 | 53:37 | 16 | 66 | 19 | 9 | 6 | 4 | 31:21 | 10 | 33 | 19 | 9 | 6 | 4 | 22:16 | 6 | 33 |
| 6 ჩელსი | 38 | 17 | 13 | 8 | 66:38 | 28 | 64 | 19 | 11 | 4 | 4 | 43:21 | 22 | 37 | 19 | 6 | 9 | 4 | 23:17 | 6 | 27 |
| 7 ვესტ ჰემი | 38 | 15 | 8 | 15 | 48:57 | -9 | 53 | 19 | 12 | 4 | 3 | 32:14 | 18 | 40 | 19 | 3 | 4 | 12 | 16:43 | -27 | 13 |
| 8 ასტონ ვილა | 38 | 12 | 14 | 12 | 46:47 | -1 | 50 | 19 | 8 | 7 | 4 | 22:17 | 5 | 31 | 19 | 4 | 7 | 8 | 24:30 | -6 | 19 |
| 9 ტოტენჰემი | 38 | 14 | 8 | 16 | 49:53 | -4 | 50 | 19 | 10 | 4 | 5 | 32:24 | 8 | 34 | 19 | 4 | 4 | 11 | 17:29 | -12 | 16 |
| 10 ბლექბერნი | 38 | 12 | 10 | 16 | 55:51 | 4 | 46 | 19 | 8 | 6 | 5 | 33:20 | 13 | 30 | 19 | 4 | 4 | 11 | 22:31 | -9 | 16 |
| 11 საუთჰემპტონი | 38 | 12 | 9 | 17 | 46:54 | -8 | 45 | 19 | 7 | 5 | 7 | 23:22 | 1 | 26 | 19 | 5 | 4 | 10 | 23:32 | -9 | 19 |
| 12 მიდლსბრო | 38 | 12 | 9 | 17 | 35:47 | -12 | 45 | 19 | 7 | 5 | 7 | 23:26 | -3 | 26 | 19 | 5 | 4 | 10 | 12:21 | -9 | 19 |
| 13 ფულემი | 38 | 10 | 14 | 14 | 36:44 | -8 | 44 | 19 | 7 | 7 | 5 | 21:16 | 5 | 28 | 19 | 3 | 7 | 9 | 15:28 | -13 | 16 |
| 14 ჩარლტონი | 38 | 10 | 14 | 14 | 38:49 | -11 | 44 | 19 | 5 | 6 | 8 | 23:30 | -7 | 21 | 19 | 5 | 8 | 6 | 15:19 | -4 | 23 |
| 15 ევერტონი | 38 | 11 | 10 | 17 | 45:57 | -12 | 43 | 19 | 8 | 4 | 7 | 26:23 | 3 | 28 | 19 | 3 | 6 | 10 | 19:34 | -15 | 15 |
| 16 ბოლტონი | 38 | 9 | 13 | 16 | 44:62 | -18 | 40 | 19 | 5 | 7 | 7 | 20:31 | -11 | 22 | 19 | 4 | 6 | 9 | 24:31 | -7 | 18 |
| 17 სანდერლენდი | 38 | 10 | 10 | 18 | 29:51 | -22 | 40 | 19 | 7 | 7 | 5 | 18:16 | 2 | 28 | 19 | 3 | 3 | 13 | 11:35 | -24 | 12 |
| 18 *იფსვიჩი* | 38 | 9 | 9 | 20 | 41:64 | -23 | 36 | 19 | 6 | 4 | 9 | 20:24 | -4 | 22 | 19 | 3 | 5 | 11 | 21:40 | -19 | 14 |
| 19 *დერბი ქაუნთი* | 38 | 8 | 6 | 24 | 33:63 | -30 | 30 | 19 | 5 | 4 | 10 | 20:26 | -6 | 19 | 19 | 3 | 2 | 14 | 13:37 | -24 | 11 |
| 20 *ლესტერი* | 38 | 5 | 13 | 20 | 30:64 | -34 | 28 | 19 | 3 | 7 | 9 | 15:34 | -19 | 16 | 19 | 2 | 6 | 11 | 15:30 | -15 | 12 |

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXVIII ტური

**დეპორტივო 3:0 რეალი**

1:0 მაკაი (45), 2:0 ფრანი (75), 3:0 პანდიანი (90)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, სეზარი, ექტორი, მაურო სილვა, ფრანი (ამავისკა 83), სკალონი, სერხიო, ვალერონი (ჯალმინია 74), მაკაი (პანდიანი 74)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
რეალი: სესარი, სალგადო (ელერმი 58), რობერტო კარლოსი, პავონი, რუბენი, ფ. კონსეისაო, სელადესი, მაკმანამანი, სოლარი (მუნიტისი 68), ზიდანი (გუტი 58), მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: სოლარი, სეზარი, სელადესი, გუტი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
34 000 მაყურებელი

**ოსასუნა 0:1 ალავესი**

0:1 კარმონა (37)
ოსასუნა: სანსოლი, იანგუასი, ხოსუე, კრუჩაგა, ხოსეჩო (რივერო 79), პალასიოსი (მუნიოსი 59), პუნიალი, ფერნანდო, განსედო, ივან როსადო (საბინო 67), ალოიზი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ალავესი: ერერა, კარმონა, ტელიესი, ლორენსი, იბონ ბეგონია, ჯელი, პაბლო (ვიჩე 73), კრუიფი (მაგნო 80), ასტუდილიო, ტურიელი, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 62)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ტელიესი, კარმონა, მუნიოსი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
17 937 მაყურებელი

**ტენერიფე 2:3 ბილბაო**

0:1 ურსაისი (10), 1:1 ხაიმე (16), 2:1 ბიჩი ფუერტესი (45პ), 2:2 ურსაისი (60), 2:3 გერერო (77)
ტენერიფე: ხულიო იგლესიასი, ალექსისი, ლუსენმოდი, ბასავილბასო, მანელი, მარტი, ბინუ (ივან ანია 85), ხაიმე, მარიონი (იდალგო 59), ბიჩი ფუერტესი (რუბენი 68), სიმუტენკოვი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ბილბაო: არანსუბია, ოსკარ ვალესი, ბიტორ ოკიო, მურილიო, ურუტია, გერერო (გურპეგი 83), იესტე (ესკერო 74), ხავი გონსალესი, ალკისა (ორბაისი 64), კუელიარი, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ლუსენმოდი, სიმუტენკოვი, არანსუბია, მურილიო
მსაჯი: მედინა კანტალეხო
19 000 მაყურებელი

**სარაგოსა 1:1 ბარსელონა**

1:0 არაგონი (8), 1:1 სავიოლა (41)
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, კუარტერო, პაბლო, პაკო ხემესი, არაგონი, ველისკა, ხოსე იგნასიო, კორონა (გარიტანო 80), დრულიჩი (ბილიჩი 55), გალეტი (სანი 64)
მწვრთნელი: მარკოს ალონსო
ბარსელონა: ბონანო, რაისიგერი, ფ. დე ბური, აბელარდო, პუიოლი, ხავი, კოკუ, როჩემბაკი, ლუის ენრიკე (მოტა 87), კლუივერტი (გაბრი 69), სავიოლა
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: პაბლო, ხოსე იგნასიო, როჩემბაკი, კუარტერო, გაბრი
მსაჯი: უნდიანო მალენკო
20 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 ბეტისი**

1:0 ბარახა (43), 2:0 ვისენტე (90)
კასასმა ვერ გაიტანა პენალტი (77, მეკარე)
ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ჯუკიჩი, კარბონი, ანგლომა (ხუან სანჩესი 78), ალბელდა (კილი გონსალესი 57), ბარახა, ვისენტე, რუფეტე (მისტა 64), აიმარი, ანგულო
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბეტისი: გასპერჩიჩი, ლუის ფერნანდესი, ვარელა, ბელენგერი, ტაისი, რივასი, მერინო, სესარი (კასასი 69), კაპი (გუდიონსონი 63), იტო, ჟოაუ ტომასი (დენილსონი 69)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ანგლომა
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
53 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 1:0 სელტა**

1:0 პერაგონი (87)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, კოტა (ერნანდესი 60), გრაფი, დე კინტანა, ალკასარი (ფეროնი 75), კორინო, ვივარ დორადო, პაბლო სანსი, ელდერი, პერაგონი, ბოლიჩი (ბოლო 67)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
სელტა: პინტუ, ველასკო, კასერესი (ედუ 68), მენდესი, სერხიო, ჯოვანელა, კარპინი (ხესული 46), ლუქსენი, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (მორისი 74), კატანია
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ლუქსენი, მოსტოვოი, მორისი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
14 500 მაყურებელი

# დასრულდა
## კანარები წყვდიადში ჩაიძირა



REUTERS

„ვალენსიის“ კაპიტანმა სანტიაგო კანისარესმა „მესტალიას“თასი დაანახა

**სევილია 1:0 ვილიარეალი**

1:0 ტოედტლი (32პ)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დ. კასტედო (ლუის ხილი 89), პაბლო ალფარო, ნიეგუსი, ფრანსისკო, ვ. სალასი, ტომასი, კასკერო (რეიესი 59), გალიარდო (მარიო 88), ტოედტლი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, ბრუე, გალვანი, გალკა, ესკუდე (კიკე მარტინი 54), კანია (კრაიოვიანუ 74), ამორი (გრასია 46), კალეხა, პალერმო, გიარე
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: ნიეგუსი, პაბლო ალფარო, გალკა, კალეხა, ფრანსისკო, არუაბარენა
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
40 000 მაყურებელი

**მალიორკა 2:1 ვალიადოლიდი**

0:1 ფერნანდო (35), 1:1 იბაგასა (51), 2:1 ლუკე (72)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, ნადალი, კამპანო, იბაგასა, მარკოსი, პაუნოვიჩი (ნოვო 67), ენგონგა (რობლესი 65), ეტოო, ლუკე (პაკო სოლერი 87)
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია (ოსკარი 78), მარკოსი, გასპარი, მარიო (რიკეტი 85), ტორეს გომესი, ხესუსი, ფერნანდო სალესი (ჩემა 73), ფერნანდო, ტოტე, ლუის გარსია
მწვრთნელი: პეპე მორე
მსაჯი: ესკინას ტორესი
23 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:2 მალაგა**

0:1 ლიტუში (11), 0:2 მუსამბა (40), 1:2 ტამუდო (55)
ტამუდომ ვერ გაიტანა პენალტი (26, მეკარე)
ესპანიოლი: მორა, ფრანი (მოიზესი 77), როტჩენი, რიკარდო, მორალესი, კ. მუნტიანუ (აგუნსო 71), პაულუ სოუზა, კატალია, პაჩეკო (პალენსია 55), დე ლუკასი, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
მალაგა: პედრო კონტრერასი, რობასი, ლიტუში, ვალკარსე, მიგელ ანხელი, ფერნანდო სანსი, მუსამბა, რომერო, ხერარდო, დელი ვალდესი (კანაბალი 88), დარიო სილვა (ლეკო 82)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: რიკარდო, ფერნანდო სანსი, ხერარდო, ტამუდო
მსაჯი: კარმონა მენდესი
8 000 მაყურებელი

**სოსიედადი 1:1 ლას პალმასი**

0:1 ხორხე (21პ), 1:1 კოვაჩევიჩი (78)
სოსიედადი: ვესტერველდი, კვარმე, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, დე პედრო (მიკაბეა 87), არანბურუ, ხოხლოვი (ხაბილონდო 72), ხაურეგი, ნიჰათი (დე პაულა 66), იდიაკესი, კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: რობერტო ოლაბე
ლას პალმასი: ო. კინტანა, ალვარო, პაკუი (სოკორო 65), შურერი, ანხელი, ხოსიკო, სემესი, ედუ ალონსო, ხორხე (სარასუა 46), პაბლო ლაგო, ორლანდო (რუბენი 82)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: კოვაჩევიჩი, არანბურუ, ედუ ალონსო, ედუ ალონსო
გაძევება: ედუ ალონსო (86)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
25 000 მაყურებელი

**დავიწყოთ იმით,** რაც მთავარია — ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ესპანურ საგზურს პატრონი გამოუჩნდა, ეს „ბარსელონაა“, რომელსაც მეოთხე ადგილზე გასასვლელად სარაგოსაში ფრეც ჰყოფნიდა და სწორედ ფრე გააზერხა. ცხადია, ამაზე მთავარი ჩემპიონის ვინაობაა, მაგრამ ვინაიდან „ვალენსიას“ პირველობა ბოლოსწინა ტურში გაირკვა, ბოლო ტურის მთავარ ამბად „ბარსას“ ლიგაში გასვლა იქცა.

არადა, კატალონიელთათვის ამ ფრის მიღწევა იოლი არ ყოფილა. უკვე მეცხრე წუთზე მასპინძელმა სანტი არაგონმა დიდებული გოლი გაუტანა სტუმრებს და ულიგოდ დარჩენის საფრთხის წინაშე დააყენა. ნათლად გამოჩნდა, რომ ბოლო ტურამდეც გავარდნილი „სარაგოსა“ კარის ძალიან მაგრად გაჯახუნებას აპირებდა. სხვათა შორის, გეხსომებათ, „ბარსელონას“ ლიგაში გასვლის ამბავი წინა სეზონშიც ბოლო ტურში გაირკვა და მაშინაც „ბარსა“ მატჩის მსვლელობისას აგებდა. მაშინ გუნდი რივალდომ გადაარჩინა, ახლა კი ეს მისია ხავიერ სავიოლამ იკისრა, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს სეზონში თავისი მეჩვიდმეტე და ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

ისე, საბოლოო ცხრილს თუ ჩავხედავთ, „ბარსა“ ლიგაში წაგებითაც გადიოდა, რაკი „სელტა“ „რაიო ვალეკანოსთან“ დამარცხდა 87-ე წუთზე გაშვებული გოლით. თუმცა ვინ იცის, სავიოლას შესვენებამდე რომ არ გაექვითა, ვიგოელები ეგებ მეტად დაგეშილიყვნენ მოსაგებად, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და მეტი არაფერი.

ხოლო უეფას თასის ერთი დარჩენილი ადგილი „ალავესს“ ერგო, რომელმაც ანტონიო კარმონას თავურით 1:0 მოუგო არაფრის მოსურნე „ოსასუნას“, რითაც ფასი დაუკარგა „სევილიას“, „ბილბაოსა“ და „მალაგას“ გამარჯვებებს — ეს გუნდები ვიტორიელთა ფეხის დაცდენას ელოდნენ. აქვე შევნიშნოთ, რომ სანტა კრუზ დე ტენერიფეს „ელოდორო როდრიგეს ლოპესზე“, შესვენებისას, როცა მასპინძლები 2:1 იგებდნენ, შუქი ჩაქრა, ხოლო როცა მოვიდა, ბასკებმა იძალეს და მოიგეს.

„ტენერიფესთვის“ ამ მარცხს ისეთივე ფასი ჰქონდა, როგორიც „ბილბაოს“ გამარჯვებას ანუ „მალიორკა“ თუ არ დამარცხდებოდა, კანარელთათვის ისედაც ყველაფერი დამთავრებული იყო.

„მალიორკა“ კი არ დამარცხდა, თუმცა ფერნანდოს გოლით პირველ ტაიმს აგებდა „ვალიადოლიდთან“, მაგრამ ამ სეზონის ჩემპიონთა ლიგის მონაწილე არ გატყდა და არიელ იბაგასასა და ალბერტო ლუკეს გოლებით თავი სამშვიდობოს დაიგულა. არადა, დამარცხების შემთხვევაში მალიორკელები ვარდებოდნენ, რადგან თანაბარქულიან „ლას პალმასს“ (რომელმაც ფრედ ითამაშა სან სებასტიანში) ურთიერთშეხვედრებით ჩამორჩებოდნენ. ასე კი მოხდა, რომ პრიმერადივიზიონიდან კანარის კუნძულელთა ორივე გუნდი გავარდა.

ბოლოს კი პარასკევს გამართული ერთადერთი შეხვედრაც ვახსენოთ — „დეპორტივომ“ შინ 3:0 გაანადგურა „რეალი“ და საბოლოოდ მეორე ადგილზე დამკვიდრდა, ხოლო როი მაკაის გოლი ნამდვილი შედევრი იყო — პირველი ტაიმის წამატებულ დროში მარჯვენა ფლანგიდან უშორესი დარტყმით ბურთი მარცხენა კუთხეში ჩააჭედა.

ადგილების ამგვარი განაწილება ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ვალენსია“ და „დეპორტივო“ ითამაშებენ, ხოლო „რეალს“ და „ბარსელონას“ კვალიფიკაციის გავლა მოუწევთ, თუ, რა თქმა უნდა, ხვალ „რეალმა“ ჩემპიონთა თასი ვერ მოიგო. „რეალის“ გამარჯვების შემთხვევაში კი კვალიფიკაციას „დეპორტივო“ გაივლის.

**გიორგი დარჯანია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრისტანი (დეპორტივო) | 21 |
| მორიენტესი (რეალი) | 18 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 18 |
| კატანია (სელტა) | 17 |
| სავიოლა (ბარსელონა) | 17 |
| ტამუდო (ესპანიოლი) | 17 |

### მეორე დივიზიონი

#### XL ტური

**სპორტინგი 0:1 ლევანტე**

0:1 როა (27)

**კორდობა 2:1 ხაენი**

0:1 სიერა (18), 1:1 გალეგო (32პ), 2:1 ხოსე მარი (56)

**ხიმნასტიკი 2:1 ხერესი**

1:0 დეუსი (10), 2:0 ერერო (44), 2:1 მენა (88)

**უელვა 2:0 სალამანკა**

1:0, 2:0 ანტონიტო (3, 26)

**ატლეტიკო 3:2 ესტრემადურა**

1:0 დიეგო ალონსო (21), 1:1 ხესუსი (31), 2:1 კორეა (42), 2:2 პოლი (55პ), 3:2 დიეგო ალონსო (69)

**ბადახოსი 3:2 ლეგანესი**

1:0 ამარილია (7), 2:0 მარინი (17), 2:1 ივან პერესი (41), 2:2 გამისი (73), 3:2 როდრი (83)

**ალბასეტე 0:0 ეიბარი**

**ნუმანსია 4:0 ფეროლი**

1:0 სუგო (6), 2:0 ხაუმე (33), 3:0 როსუ (42), 4:0 კუელიარი (63)

**ელჩე 2:0 ბურგოსი**

1:0 მელგარი (38), 2:0 მეკა (90)

**პოლი ეხიდო 3:0 ოვიედო**

1:0 არპონი (22), 2:0 არტურო (51), 3:0 ანხელ როდრიგესი (81)

**მურსია 0:0 რასინგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 40 | 23 | 9 | 8 | 67:42 | 78 |
| რასინგი | 40 | 18 | 14 | 8 | 57:36 | 68 |
| უელვა | 40 | 17 | 15 | 8 | 44:31 | 66 |
| ხერესი | 40 | 18 | 9 | 13 | 39:39 | 63 |
| ელჩე | 40 | 16 | 13 | 11 | 51:39 | 61 |
| სპორტინგი | 40 | 15 | 13 | 12 | 52:45 | 58 |
| ოვიედო | 40 | 13 | 19 | 8 | 40:36 | 58 |
| ალბასეტე | 40 | 15 | 11 | 14 | 42:37 | 56 |
| ეიბარი | 40 | 13 | 15 | 12 | 39:26 | 54 |
| სალამანკა | 40 | 13 | 14 | 13 | 48:49 | 53 |
| ფეროლი | 40 | 15 | 7 | 18 | 55:59 | 52 |
| კორდობა | 40 | 14 | 10 | 16 | 44:48 | 52 |
| ბურგოსი | 40 | 12 | 15 | 13 | 30:35 | 51 |
| ლეგანესი | 40 | 12 | 14 | 14 | 38:44 | 50 |
| ბადახოსი | 40 | 14 | 7 | 19 | 40:50 | 49 |
| ნუმანსია | 40 | 12 | 12 | 16 | 43:51 | 48 |
| ლევანტე | 40 | 11 | 14 | 15 | 39:52 | 47 |
| მურსია | 40 | 10 | 16 | 14 | 33:38 | 46 |
| ეხიდო | 40 | 11 | 13 | 16 | 39:46 | 46 |
| ხიმნასტიკი | 40 | 10 | 13 | 17 | 40:48 | 43 |
| ესტრემადურა | 40 | 10 | 12 | 18 | 35:46 | 42 |
| ხაენი | 40 | 11 | 9 | 20 | 30:48 | 42 |



REUTERS

დეპორტივო — რეალი. ზინედინ ზიდანი და სერხიო ამ სეზონში ბოლოჯერ შეიბნენ

### საბოლოო ცხრილი

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 38 | 21 | 12 | 5 | 51:27 | 24 | 75 | 19 | 14 | 4 | 1 | 28:8 | 20 | 46 | 19 | 7 | 8 | 4 | 23:19 | 4 | 29 |
| 2 | დეპორტივო | 38 | 20 | 8 | 10 | 65:41 | 24 | 68 | 19 | 13 | 4 | 2 | 40:13 | 27 | 43 | 19 | 7 | 4 | 8 | 25:28 | -3 | 25 |
| 3 | რეალი | 38 | 19 | 9 | 10 | 69:44 | 25 | 66 | 19 | 14 | 5 | 0 | 48:14 | 34 | 47 | 19 | 5 | 4 | 10 | 21:30 | -9 | 19 |
| 4 | ბარსელონა | 38 | 18 | 10 | 10 | 65:37 | 28 | 64 | 19 | 12 | 5 | 2 | 44:17 | 27 | 41 | 19 | 6 | 5 | 8 | 21:20 | 1 | 23 |
| 5 | სელტა | 38 | 16 | 12 | 10 | 64:46 | 18 | 60 | 19 | 10 | 5 | 4 | 36:21 | 15 | 35 | 19 | 6 | 7 | 6 | 28:25 | 3 | 25 |
| 6 | ბეტისი | 38 | 15 | 14 | 9 | 42:34 | 8 | 59 | 19 | 11 | 5 | 3 | 26:13 | 13 | 38 | 19 | 4 | 9 | 6 | 16:21 | -5 | 21 |
| 7 | ალავესი | 38 | 17 | 3 | 18 | 41:44 | -3 | 54 | 19 | 10 | 1 | 8 | 22:21 | 1 | 31 | 19 | 7 | 2 | 10 | 19:23 | -4 | 23 |
| 8 | სევილია | 38 | 14 | 11 | 13 | 51:40 | 11 | 53 | 19 | 7 | 6 | 6 | 26:18 | 8 | 27 | 19 | 7 | 5 | 7 | 25:22 | 3 | 26 |
| 9 | მალაგა | 38 | 13 | 14 | 11 | 44:44 | 0 | 53 | 19 | 8 | 7 | 4 | 24:20 | 4 | 31 | 19 | 5 | 7 | 7 | 20:24 | -4 | 22 |
| 10 | ბილბაო | 38 | 14 | 11 | 13 | 54:66 | -12 | 53 | 19 | 6 | 7 | 6 | 23:29 | -6 | 25 | 19 | 8 | 4 | 7 | 31:37 | -6 | 28 |
| 11 | რაიო | 38 | 13 | 10 | 15 | 46:52 | -6 | 49 | 19 | 11 | 3 | 5 | 27:19 | 8 | 36 | 19 | 2 | 7 | 10 | 19:33 | -14 | 13 |
| 12 | ვალიადოლიდი | 38 | 13 | 9 | 16 | 45:58 | -13 | 48 | 19 | 9 | 4 | 6 | 24:20 | 4 | 31 | 19 | 4 | 5 | 10 | 21:38 | -17 | 17 |
| 13 | სოსიედადი | 38 | 13 | 8 | 17 | 48:54 | -6 | 47 | 19 | 8 | 6 | 5 | 31:22 | 9 | 30 | 19 | 5 | 2 | 12 | 17:32 | -15 | 17 |
| 14 | ესპანიოლი | 38 | 13 | 8 | 17 | 47:56 | -9 | 47 | 19 | 12 | 2 | 5 | 34:20 | 14 | 38 | 19 | 1 | 6 | 12 | 13:36 | -23 | 9 |
| 15 | ვილიარეალი | 38 | 11 | 10 | 17 | 46:55 | -9 | 43 | 19 | 9 | 6 | 4 | 30:21 | 9 | 33 | 19 | 2 | 4 | 13 | 16:34 | -18 | 10 |
| 16 | მალიორკა | 38 | 11 | 10 | 17 | 40:52 | -12 | 43 | 19 | 7 | 5 | 7 | 24:23 | 1 | 26 | 19 | 4 | 5 | 10 | 16:29 | -13 | 17 |
| 17 | ოსასუნა | 38 | 10 | 12 | 16 | 36:49 | -13 | 42 | 19 | 6 | 6 | 7 | 19:21 | -2 | 24 | 19 | 4 | 6 | 9 | 17:28 | -11 | 18 |
| 18 | ლას პალმასი | 38 | 9 | 13 | 16 | 40:50 | -10 | 40 | 19 | 7 | 8 | 4 | 23:17 | 6 | 29 | 19 | 2 | 5 | 12 | 17:33 | -16 | 11 |
| 19 | ტენერიფე | 38 | 10 | 8 | 20 | 32:58 | -26 | 38 | 19 | 6 | 5 | 8 | 21:30 | -9 | 23 | 19 | 4 | 3 | 12 | 11:28 | -17 | 15 |
| 20 | სარაგოსა | 38 | 9 | 10 | 19 | 35:54 | -19 | 37 | 19 | 6 | 7 | 6 | 21:23 | -2 | 25 | 19 | 3 | 3 | 13 | 14:31 | -17 | 12 |

# ამას ველოდით...

...მოვესწარ! ალმოხდა ალბათ შორეულ კატალონიაში „ბარსელონას“ მავან ქომაგს და მომავალს იმედით დაუწყო ჭვრეტა.

ამას, ანუ „ბარსას“ მწვრთნელის კარლოს რექსაჩის დათხოვნას, წინ მხოლოდ ერთი კაცი, კლუბისვე პრეზიდენტი ხუან გასპარი ედგა და გუშინ ისიც გატყდა. გასპარმა საგანგებოდ წვეულ პრესკონფერენციაზე აქამდე მოარული ხმები, „ბარსელონაში“ ჰოლანდიელი ლუის ვან გაალი ბრუნდებაო, დაადასტურა. ოღონდ იქვე დაამატა, ვან გაალის გამწვრთნელება გადაწყვეტილი ამბავი კია, მაგრამ პარასკევამდე მოცდა მოგიწევთ, ვან გაალს სწორედ პარასკევს გაჩვენებთ და მასთან კონტრაქტზე მაშინ ვილაპარაკოთო.



ტურინელი ჩირო ფერარა მარკო დი ვაიოსთან ბრძოლაში მოიდრიკა

# მადლობა ბიჭებს!..

## იტალია
### თასის ფინალი
### საპასუხო მატჩი

**პარმა 1:0 იუვენტუსი (1:2)**

1:0 ჟუნიორი (4)
პარმა: ტაფარელი, ბენარივო, სენსინი, სარტორი (ფერარი 87), ჟუნიორი, დიანა, ლამუში, მიკუ (ბონაცოლი 82), ალმეიდა, ნაკატა (აბია 85), დი ვაიო
მწვრთნელი: პიეტრო კარმიჯანი
იუვენტუსი: კარინი, ფერარა, პარამატი, მონტერო, კ. ძენონი, ბირინდელი (დელ პიერო 46), კონტე, ძამბროტა, ტაკინარდი, ნ. ამორუზო (ტრეზეგე 56), ზალაიეტა (მ. სალასი 73)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მსაჯი: პაპარესტა
18 000 მაყურებელი

„პარმამ" „იუვენტუსს" 1:0 მოუგო და იტალიის თასის მფლობელი გახდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი მეოთხე წუთზე ბრაზილიელმა ჟუნიორმა გაიტანა — შედეგად, ორი შეხვედრის ჯამური ანგარიში 2:2 გახდა და მოწინააღმდეგის მოედანზე გატანილი გოლის გამო უპირატესობა პარმელებს მიენიჭათ.

„იუვე", როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი ნამდვილი შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ამჟღავნებდა. მატჩის შემდეგ მისმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თქვა: „გოლმა გაგვტეხა. მართალია, მერე კარგად ვითამაშეთ, მაგრამ წავაგეთ და ამის გამო გული დამწყდა, რადგან ჩემპიონის ტიტულთან ერთად თასიც რომ მოგვეგო, სეზონი მეტისმეტად ლამაზად დასრულდებოდა".

„პარმას" თავკაცმა, უფრო სწორად კი კლუბის საფეხბურთო დირექტორის, არიგო საკის მიერ სეზონის ჩასამთავრებლად მიყვანილმა გედეონე კარმიჯანიმ, რომელიც მალე, ალბათ, ნამდვილ კონტრაქტს მოაწერს ხელს, თქვა:

„ქებას მწვრთნელი არ იმსახურებს. გამარჯვებისთვის მადლობა ფეხბურთელებს მინდა ვუთხრა".

**ბაჩუნა ძიძია**

# დაღლილმა ჟარდელმა პატარები აატირა

## პორტუგალია
### თასის ფინალი

**სპორტინგი 1:0 ლეიშოეში (1)**

1:0 ჟარდელი (40)
სპორტინგი: ნელსონი, კიროგა, ბეტუ სევერუ, ანდრე კრუზი, რუი ჟორჟე, ბარბოსა (კვარესმა 84), რუი ბენტუ, პაულუ ბენტუ (პრატესი 89), ჟოაუ პინტუ, ჟარდელი, ნალიცისი (უგო ვიანა 53)
ლეიშოეში: ფერეირა, ბაროში (სერკეირა 61), სერჟიუ, ნუნუ სილვა, ზე ანტონიუ, ოდე (ტოზე 29), აბილიუ, ბესიროვიჩი, დეტინიუ, ანშუე, პედრასი (ბრუნო შინა 46)
მსაჯი: ბენკვერენსა
40 000 მაყურებელი



„სპორტინგის" დუბლი მარიო ჟარდელმა და ლადისლაუ ბოლონიმ გამოჭედეს

ვისი, თუ არა მარიო ჟარდელის გოლით, დედაქალაქურმა „სპორტინგმა" პორტუგალიის თასის ფინალში ეროვნულ სტადიონზე „ლეიშოეში" დაამარცხა და დუბლი შეასრულა — სპორტინგელები ხომ ქვეყნის ჩემპიონებიც გახდნენ. დიდმეგოლე ჟარდელმა, ჩემპიონატში 42 გოლი რომ მიითვალა, მე-40 წუთზე კაპიტან პედრო ბარბოსასგან მიიღო პასი საჯარიმოში. იგი რატომღაც უმეთვალყუროდ იყო მიტოვებული და გატანაც, ცხადია, არ გასჭირვებია.

„ლეიშოეშს" მომენტები მწირად ჰქონდა, მაგრამ წამატებულ წუთებში ლამის სასწაული მოახდინა — ანშელოტემ ძელს გაარტყა. ერთი სიტყვით, „ლეიშოეშმა" 41 წლის წინანდელი გმირობა ვერ გაიმეორა. მაშინ, 1961 წელს, ჩრდილოეთ პორტუგალიის ამ პაწაწინა გუნდმა თასის ფინალში „პორტუ" დაამარცხა, მაგრამ... თავად ფაქტი, რომ ჩრდილოეთის მეორე დივიზიონის (მესამე ლიგა) გუნდმა ფინალს უწია, უკვე გმირობაა.

„ეროვნულ სტადიონზე მოსაგებად გავედით — თქვა ნამატჩევს დამარცხებულთა მწვრთნელმა კარლოს კარვალალმა — მაგრამ არ გაგვიმართლა და შინ დაღონებულები ვბრუნდებით".

მარიო ჟარდელმა კი თქვა: „სეზონმა ძალიან დამღალა, თუმც გუნდისთვის კიდევ ერთი გოლი მაინც გავიტანე. ისე, გაკვირვებულიც ვარ, „ლეიშოეშისგან" ასეთ წინააღმდეგობას არ ველოდი".

სპორტინგელთა თავკაცმა, ჩვენმა ძველმა ნაცნობმა, საქართველოს ნაკრების თბილისში შემარცხვენელმა რუმინელმა ლადისლაუ ბოლონიმ დასძინა: „სპორტინგში" მუშაობის პირველივე სეზონს დუბლით ვასრულებ, რაც ფეხბურთელების უდიდესი დამსახურებაა".

**გიორგი დარჯანია**



ჟაკ შირაკმა სტვენა გააპროტესტა

# რაკი შირაკი იტყვის

## საფრანგეთი
### თასის ფინალი

**ბასტია 0:1 ლორიანი**

0:1 დარშევილი (42)
ბასტია: ბუმნიჟელი, ჟურა, სუმა, მენდი, დაფერტელი (დიუზი 53), ნალისი, ჟენეჩემპი (ბენეფური 76), ქაიენი, ვერელი, ჟაუ დეიე (ფერეირა 87)
ლორიანი: ამელი, დრუონი (დელომი 63), ლე პენი, გოვინი, მარტინი, პ. დიობა, ფეინდუნო, კეიტა, დარშევილი, ბედროსიანი (ეშუ-ნზი 83), კრუპი (კავალი 58)
მსაჯი: პულა
65 000 მაყურებელი

გულშემატკივართა ნაწილმა ჰიმნის გამასხრება მოინდომა. ეს დაუშვებელია, მე ვერ ავიტან ქვეყნისადმი მსგავს დამოკიდებულებას — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და ლოჟიდან გავიდა.

ეს ამბავი პარიზში მოხდა. საფრანგეთის თასის ფინალში „ბასტია" — „ლორიანს" ხვდებოდა. „მარსელიეზას" შეურაცხყოფის გამო პრეზიდენტმა თავისი კუთვნილი ადგილი დატოვა. მან ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ კლოდ სიმონეს უხმო და მთელი საფრანგეთის წინაშე ბოდიშის მოხდა სთხოვა. იქვე გაჩნდა „ბასტიას" პრეზიდენტი ფრანსუა ნიკოლაც, რომლის გუნდის კორსიკის ავტონომიაზე მეოცნებე გულშემატკივრებმაც უსტვინეს საფრანგეთის ჰიმნს.

მცირე არეულობამ ოც წუთს გასტანა და მატჩიც მოგვიანებით დაიწყო, მას შემდეგ, რაც ჟაკ შირაკი დამშვიდდა.

ჟან კლოდ დარშევილის ხსენება საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვისას ხშირად გვიწევდა. იგი „ლორიანს" მიათრევდა გადასარჩენად, მაგრამ ეულად ვერ შეძლო. „ლორიანი" მაინც გავარდა, მაგრამ დარშევილის ერთადერთმა გოლმა საფრანგეთის თასი ქვედა ლიგაში ჩაიყოლა. ჟან კლოდ მეგოლე მომავალი სეზონიდან კი „ბორდოს" დაამშვენებს, იმ „ბორდოს", რომელთანაც „ლორიანმა" ლიგის თასის ფინალი დათმო ორიოდ კვირის წინ.

**მაჟა ხუციშვილი**

# ლევერკუზიანი...

## გერმანია
### თასის ფინალი

**ლევერკუზენი 2:4 შალკე**

1:0 ბერბატოვი (27), 1:1 ბიომე (45), 1:2 აგალი (69), 1:3 მიოლერი (71), 1:4 სანდი (84), 2:4 კირსტენი (89)
ლევერკუზენი: ბუტი, პლასენტე, ლუსიო, რამელო, ჟივკოვიჩი, შნაიდერი, ბალაკი, ზე რობერტო, ბაშთურქი, ნოივილი (ბრდარიჩი 67), ბერბატოვი (კირსტენი 77)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
შალკე: რეკი, ჰაიტო (უდე კამპუისი 46), ვან ჰოოგდალემი, ვან კერკჰოვენი, ვალდოხი, ნემეცი, ასამოა (ვერმანტი 81), მიოლერი (ვილმოტსი 75), ბიომე, აგალი, სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაძევება: აგალი (90)
მსაჯი: ვაკი
70 000 მაყურებელი



უდე კამპუისმა არც ლუდი დათმო და არც თასი

საოცარი გუნდია „ლევერკუზენი", თითქოს წლეულს ყველაფერი უნდა მოეგო, მაგრამ სეზონი იწურება და სხვების შემხედვარეღა დარჩა, ჯერ „დორტმუნდის" საჩემპიონო ფერხულს უცქირა პირდაღებულმა, ახლა კი ცხვირწინ „შალკე" აუცეკვდა.

ფინალი ფინალია და ხანდახან ერთ კონკრეტულ მატჩში სუსტიც სჯობნის ძლიერს, მაგრამ ამჯერად ერთმანეთის პირისპირ დაახლოებით თანაბარი კლასის გუნდები დადგნენ. ინტერესიც დიდი იყო, ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე 70 ათასამდე ქომაგი შეიკრიბა და ორი განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველში „ლევერკუზენი" ნავარდობდა და იმ გუნდს ჰგავდა, რომელმაც თავისი ლაღი თამაშით წლეულს მთელი ევროპა მოხიბლა, ზე რობერტო, ბალაკი, შნაიდერი და ნოივილი სწრაფ კომბინაციებს ერთმანეთს აყოლებდნენ და 27-ე წუთზე დაწინაურდნენ კიდეც, ბრაზილიელმა ლუსიომ საკუთარი მოედნიდან სლალომის ოსტატივით იქროლა, ბერბატოვი მოძებნა და ბულგარელმაც ახლოდან გაიტანა.

ამით ბაიერელთა მიძალება არ დამთავრებულა, მაგრამ ტაიმის ბოლო წუთზე გელზენკირხენელი ბიომეს საპასუხომ ყველაფერი ყირაზე დააყენა: საჯარიმოს კუთხესთან არგენტინელი პლასენტე ასამოას ეუხეშა და ბიომემ, ვინც ბუნდესმწვრთნელმა რუდი ფიოლერმა კორეა-იაპონიაში წამსვლელთა სიიდან ამოშალა, ლონიერი დარტყმით მეკარისგან მარცხენა მაღალ კუთხეში შეაგდო. მეორე ტაიმში მხოლოდ „შალკე" თამაშობდა, „ბაიერი" კი... აგალიმ, მიოლერმა და სანდმა სამჯერ კიდევ გაიტანეს და ბებერი კირსტენის ვითომ პრესტიჟისას აღარაფერი შეუცვლია.

აქვე ვახსენოთ, რომ გელზენკირხენელთა ბელგიელ ემილ მპენზას ტრავმის გამო არ უთამაშია და როგორც აღმოჩნდა, თავისიანებს ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე დაეხმარება.

კლაუს ტოპმიოლერი კვლავაც უტიტულოდ დარჩა, ჰუუბ სტევენსმა კი გერმანიის თასი ზედიზედ მეორედ მოიგო. თუ გავიხსენებთ, რომ ეს სტევენსის ბოლო მატჩი იყო „შალკეში" (ზაფხულიდან ბერლინის „ჰერტაში" იმუშავებს), ნაბაიერევს ჩინებული საჩუქარი მიიღო: „ამ გამარჯვებას ვგეგმავდით — ამბობს სტევენსი — ხოლო როცა გუნდს წარმატების მწვერვალზე ემშვიდობები, ორმაგად სასიამოვნოა".

„შალკემ" მეორე ტაიმში დიდებულად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა, ჩვენ კი მეტად გულდაწყვეტილნი გახლავართ" — დასძინა ტოპმიოლერმა.

„რთული გამარჯვება იყო, მაგრამ ყოველთვის საკუთარი ხასიათის სიმტკიცეზე ვამყარებთ იმედს. ჩვენებრ კარგი ქომაგებისთვის კი რომ მოიგო, არ შეიძლება" — ეს შალკელთა ვეტერანის, ანდრეას მიოლერის სიტყვებია. სხვათა შორის, 45 ათასი გულშემატკივარი მატჩს თავის ქალაქში, „აუფ შალკეს" სტადიონზე დაკიდებულ ვეება ეკრანზე უცქერდა და მერე გამარჯვებას მთელი ღამე ზეიმობდა, ბერლინში მყოფმა „ლევერკუზენის" ფანებმა კი ტრიბუნებზევე კლუბის მაისურები, შარფები და დროშები დაწვეს...

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ „ბაიერს" ხვალ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ელის „რეალთან" და ვინძლო ეს წაგებაც იმ თამაშის მსხვერპლი იყოს.

**სოლომონ გულისაშვილი**



დანფერმლაინი — რეინჯერსი. გლაზგოელ ყმაწვილ კრის ბურკს თავის გამოჩენის შანსი მიეცა

# კეთილად ბრძანდებოდეთ

## ფერგიუსონი ტაშით გააცილეს, მოლსი ჯალმით და ქაღალდით, ნემსაძე შვიდიანით

### შოტლანდია

**პრემიერლიგა XXXVIII ტური**

**დანფერმლაინი 1:1 რეინჯერსი**

0:1 მური (28), 1:1 კროუფორდი (86)

რეინჯერსი: მაკგრეგორი, კ. მური (ლატაპი 74), ლ. ამორუზო, ტ. ვიდმარი, მალკოლმი, ნერლინგერი (დოუვი 82), მორის როსი, ბურკი, მაკკანი, ბრაიტონი (მოლსი 60), ბ. დოდსი

შოთა არველაძე ტრავმირებულია

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: მაკკარი

8 716 მაყურებელი

**მოზერუელი 2:1 დანდი**

1:0 დ. ლემანი (14), 2:0 ს. ელიოტი (43), 2:1 კაბალიერო (66პ)

დანდი: სპერონი, სმიტი, მაროკო (დელ რიო 74), უილკი, რაე, ნემსაძე, მაკიე, ფორბესი (ბეიტი 46), ტორესი (კარანსა 29), კემესი, კაბალიერო

ზურაბ ხიზანიშვილი და თემურ ქეცბაია ტრავმირებულნი არიან

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

მსაჯი: იანგი

6 574 მაყურებელი

**აბერდინი 0:1 სელტიკი**

0:1 მელოუნი (70)

**ჰართსი 2:3 ლივინგსტონი**

1:0 ფულერი (49), 1:1 კინო (52), 1:2 ბინგემი (70), 1:3 ბ. უილსონი (85), 2:3 ფულტონი (88პ)

**კილმარნოკი 2:2 დანდი იუნაიტედი**

1:0 მიტჩელი (43), 2:0 კ. ინსი (47), 2:1 სტივენ ტომპსონი (63), 2:2 კ. ისტონი (83)

**სენტ ჯონსტონი 0:1 ჰიბერნიანი**

0:1 ტოუნსლი (42)

**პრემიერლიგაში** ყველაფერი ბოლო ტურამდე კარგა ხნით ადრე გაირკვა, თუმცა მის „ქართულ" გუნდებზე ორიოდ სიტყვით მაინც მოგახსენებთ.

ტრავმირებული შოთა არველაძე „რეინჯერსის" სამატჩო განაცხადშიც არ ყოფილა. ალექს მაკლიშმა სეზონის ბოლო შეხვედრა ექსპერიმენტებისთვის გამოიყენა. „დანფერმლაინთან" კლუბის 18-წლამდელთა გუნდის ერთბაშად სამი ფეხბურთელი ათამაშა სასტარტოში — ალან მაკგრეგორი, ტომ ბრაიტონი და კრის ბურკი.

მატჩი ღირსახსოვარი იმით იყო, რომ „დანფერმლაინის" იან ფერგიუსონს ტაშითა და დიდი ოვაციებით დაემშვიდობნენ — ყოფილი რეინჯერსელი მომდევნო სეზონისთვის ავსტრალიაში გააგრძელებს კარიერას.

მაგრამ სად გადავა „ჩაფართა" ფორვარდი მიხაელ მოლსი? ეს 31 წლის ჰოლანდიელი ნამატჩევს „რეინჯერსის" გულშემატკივრებთან მივიდა და მხურვალედ ართმევდა მათ ხელს, მერე ავტოგრაფებიც ჩამოარიგა. მოლსის „რეინჯერსიდან" წასვლაზე ოფიციალურად ჯერ არ თქმულა, მაგრამ ყველაფერი უკვე ნათელია.

მეორე „ქართულმა" პრემიერლიგელმა კი წააგო. „მოზერუელმა" დამსახურებულად გაიმარჯვა მიუხედავად იმისა, რომ „დანდიმ" ბევრი ხიფათი შექმნა მის კართან.

დანდელები სუსტმა დაცვამ და უხეიროდ მობურთალმა თავდამსხმელებმა დაალალატეს. ისიცაა, რომ კლუბში ბოლო დროს არაჯანსაღი ვითარებაა, რაც, ცხადია, ფეხბურთელებზეც მოქმედებს.

კარგად გაისარჯა „დანდის" გოლკიპერი ჯულიან სპერონი, რომელმაც პირველ ტაიმში 11-მეტრიანი იოლად აუღო მაკფიდენს, თუმც დანდელთაგან საუკეთესო გიორგი ნემსაძე გახლდათ — ტრავმამოშუშებულმა ნემსაძემ სრულად ითამაშა მატჩი და ერთ-ერთმა სააგენტომ თანაგუნდელთაგან მისი თამაში, შვიდიანით შეაფასა, ხოლო სპერონის ექვსი ბალი აკმარა.

ბარემ იმასაც მოგახსენებთ, სქოთური კლუბები რომელ ევროტურნირებში ითამაშებენ.

„სელტიკს" თუ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა სურს, ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა მოუწევს.

„რეინჯერსი", „ლივინგსტონი" და „აბერდინი" უეფას თასის გათამაშებას კვალიფიკაციის გარეშე შეეჭიდებიან. ერთი სიტყვით, თუ ჩემპიონთა ლიგაში (საკვალიფიკაციოს ჩათვლით) სქოთებს 2001-02 სეზონში ორი გუნდი ჰყავდათ, მომდევნო სეზონისთვის მათი რაოდენობა ერთამდე დაეცემა.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრემიერლიგაში ახალაღზევებულმა „ლივინგსტონმა" მყისვე უეფას თასის საგზური მოიპოვა.

გავარდნილ „სენტ ჯონსტონს" კი, ცხადია, პირველი დივიზიონის ჩემპიონი „პარტიკი" შეცვლის.

**დავით თავართქილაძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 38 | 33 | 4 | 1 | 94:18 | 103 |
| რეინჯერსი | 38 | 25 | 10 | 3 | 82:27 | 85 |
| ლივინგსტონი | 38 | 16 | 10 | 12 | 50:47 | 58 |
| აბერდინი | 38 | 16 | 7 | 15 | 51:49 | 55 |
| კილმარნოკი | 38 | 13 | 10 | 15 | 44:54 | 49 |
| ჰართსი | 38 | 14 | 6 | 18 | 52:57 | 48 |
| დანდი იუნ. | 38 | 12 | 10 | 16 | 38:59 | 46 |
| დანფერმლაინი | 38 | 12 | 9 | 17 | 41:64 | 45 |
| დანდი | 38 | 12 | 8 | 18 | 41:55 | 44 |
| ჰიბერნიანი | 38 | 10 | 11 | 17 | 51:56 | 41 |
| მოზერუელი | 38 | 11 | 7 | 20 | 49:69 | 40 |
| სტ. ჯონსტონი | 38 | 5 | 6 | 27 | 24:62 | 21 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლარსონი (სელტიკი) | 29 |
| ჰარტსონი (სელტიკი) | 19 |
| ფლო (რეინჯერსი) | 18 |
| უინტერსი (აბერდინი) | 13 |
| არველაძე (რეინჯერსი) | 11 |
| სარა (დანდი) | 11 |



იან ფერგიუსონი შორ გზას დაადგა

### იტალია

**სერია B. XXXV ტური**

**ანკონა 3:1 ბარი**

1:0 ალბინო (8), 1:1 ბიცინატი (28), 2:1 ალბინო (65), 3:1 ტირიბოკი (74)

**კომო 2:0 ემპოლი**

1:0 ალეგრეტი (10), 2:0 ოლივეირა (61)

**კოზენცა 1:1 ნაპოლი**

1:0 ჯამპაოლო (22), 1:1 ბონომი (68)

**ჯენოა 0:0 მოდენა**

**მესინა 3:1 ჩიტადელა**

1:0, 2:0, 3:0 სულო (41, 65, 77), 3:1 მარტუშელო (87)

**პისტოიეზე 0:1 კალიარი**

0:1 დე ანჯელისი (81)

**სალერნიტანა 1:2 რეჯინა**

0:1 დიონიჯი (10), 1:1 კამპედელი (17), 1:2 დიონიჯი (32)

**სიენა 2:1 კროტონე**

1:0 პინგა (17), 1:1 ჯერალდი (33), 2:1 ძამპანა (58პ)

ტერნანა 0:0 სამპდორია

**ვიჩენცა 1:1 პალერმო**

0:1 გვიდონი (23), 1:1 რივალტა (77)

# ლუჩანო პავაროტი სერია A-ში ითამაშებს

**კვირას** „ნაპოლიმ" კოზენცაში ფრეზე უკეთესი ვერაფერი რომ მოახერხა, გაირკვა: მომავალი სეზონიდან სერია A-ში „მოდენა" და „კომო" ითამაშებენ. ბოლო ტურში „კომომ" „ემპოლის" აჯობა 2:0, ხოლო „მოდენამ" „ჯენოასთან" 0:0 ითამაშა ანუ სერია B-ს პირველობის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ეს ორი გუნდი ნეაპოლელებს 10 ქულით გაცდა და ამიერიდან სხვა ვარიანტი არც თეორიულად არსებობს და არც პრაქტიკულად.

და იცით, საინტერესო რა არის? ის, რომ „კომოც" და „მოდენაც" ჩქარი მატარებლები აღმოჩნდნენ, ანუ სერია B-ში სერია C-დან წინა ზაფხულს ავიდნენ და როგორც ხედავთ, თორმეტი თვის შემდეგ უკვე სერია A-ში ბრძანდებიან.

საბოლოოდ კი, მოგეხსენებათ, სერია A-ს ბოლო ოთხი გუნდი სერია B-დან ოთხმა უნდა შეცვალოს. ესე იგი, „კომოსა" და „მოდენას", რომლებსაც ბოლო სამი ტური ფორმალურად აქვთ სათამაშო, კიდევ ორი გუნდი უნდა შეუერთდეს. ამ წუთას, ამ მდგომარეობაში „ემპოლი" და „რეჯინა" არიან, თუმცა „ნაპოლიც" შორიახლოსაა, მათ 6 ქულით ჩამორჩება. აი, „სალერნიტანამ" კი სიენაში 1:2 წაგებით შანსი გვარიანად შეიმცირა.

ახლა ერთი კითხვა: როგორ ფიქრობთ, როგორ წარმოუდგენიათ „მოდენასა" და „კომოს" მომავალი სეზონი სერია A-ში? ალბათ, ადვილი მისახვედრია — ისე, როგორც „კიევომ" გაატარა თავისი პირველი ჩემპიონატი ამა ქვეყნის ძლიერთა შორის.

მაშ „მოდენა" და „კომო", არა?

მოდენა... ქალაქი, სადაც ლუჩანო პავაროტი დაიბადა და რომლის გუნდიც სერია A-ში ასვლას 38 წელიწადი ელოდა. გუნდს ქართულად იადონებს, ხოლო თუ მაინც და მაინც იმათებურად გინდათ, „კანარის ჩიტებს" ეძახიან, 1947 წელს სერია A-ში მესამე ადგილზე იყო და ეს შედეგი დღემდე საუკეთესოა. გავარდნით, უმაღლესი ლიგიდან „მოდენა" 1964 წელს გავარდა, როდესაც მილანის „სან სიროზე", გადათამაშებაში „სამპდორიასთან" დამარცხდა. შემდეგ კი საქმეები სულ ცუდად და ცუდად წაუვიდა. არადა, უცნაურია, რადგან იტალიის ეს მხარე გვარიანად მდიდარია, გუნდი კი 70-იან წლებში სერია C2-ში ჩავარდა (ეს ქვეყნის მეოთხე ლიგაა) და 1982 წლამდე იქ ხლაფორთობდა.

სასიკეთო ძვრები კი 1999 წელთან ანუ მწვრთნელად ჯანი დე ბიაზის დანიშვნასთან არის დაკავშირებული.

ახლა „კომოზე"... 1989 წლის შემდეგ, ულამაზეს კომოს ტბასთან მდებარე „სინგალიის" სტადიონს სერია A-ს ფეხბურთი პირველად დაუბრუნდება. არადა, 1989 წლამდე გუნდი მთელი ათი წლის [illegible] ლეს [illegible].

„კომოში" თამაშობს წარმოშობით ბრაზილიელი, მოქალაქეობით ბელგიელი და ჩვენი კარგი ნაცნობი ლუიშ ოლივეირა, რომელმაც ამ სეზონში 21 გოლი გაიტანა. ოლივეირა, მოგეხსენებათ, 90-იან წლებში „ფიორენტინაში" გამოდიოდა, თუმცა ახალ სეზონში სერია A-ში დაბრუნებული ბრაზილიელი ბელგიელი თავის ძველ გუნდს ვეღარ შეხვდება — ფლორენციელები ხომ გზაში აცდნენ, გავარდნენ.

შეგახსენებთ: სერია A-დან სერია B-ში აგრეთვე გავარდნენ, „ვენეცია", „ლეჩე" და „ვერონა".

**ბაჩუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 35 | 19 | 11 | 5 | 53:19 | 68 |
| კომო | 35 | 20 | 8 | 7 | 46:29 | 68 |
| ემპოლი | 35 | 18 | 10 | 7 | 56:30 | 64 |
| რეჯინა | 35 | 18 | 10 | 7 | 46:30 | 64 |
| ნაპოლი | 35 | 15 | 13 | 7 | 43:34 | 58 |
| სალერნიტანა | 35 | 14 | 10 | 11 | 52:50 | 52 |
| ვიჩენცა | 35 | 12 | 12 | 11 | 48:47 | 48 |
| პალერმო | 35 | 12 | 11 | 12 | 42:47 | 47 |
| ჯენოა | 35 | 10 | 15 | 10 | 38:34 | 45 |
| ბარი | 35 | 11 | 11 | 13 | 36:47 | 44 |
| ანკონა | 35 | 12 | 7 | 16 | 37:48 | 43 |
| კალიარი | 35 | 9 | 15 | 11 | 32:33 | 42 |
| სამპდორია | 35 | 10 | 12 | 13 | 39:44 | 42 |
| მესინა | 35 | 9 | 14 | 12 | 36:38 | 41 |
| კოზენცა | 35 | 11 | 8 | 16 | 41:52 | 41 |
| სიენა | 35 | 10 | 10 | 15 | 31:42 | 40 |
| ტერნანა | 35 | 7 | 18 | 10 | 41:45 | 39 |
| პისტოიეზე | 35 | 7 | 12 | 16 | 32:45 | 33 |
| ჩიტადელა | 35 | 8 | 9 | 18 | 43:57 | 33 |
| კროტონე | 35 | 5 | 10 | 20 | 40:61 | 25 |

# სახელური...

### რუსეთი

**თასის ფინალი**

**ცსკა 2:0 ზენიტი**

1:0 სოლომატინი (31), 2:0 იანოვსკი (53)

45 000 მაყურებელი

**ახალრუსულ** ისტორიაში ცსკა-მ პირველად მოიპოვა ქვეყნის თასი. თასი კი არა და, ეს არმიელთა პირველი ჯილდოა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ბოლო 1991 წელს იყო, მაშინ დრამატულ ფინალში თანაქალაქელ „ტორპედოს" 3:2 მოუგეს. ამ თამაშის ერთ-ერთი გმირი 23 წლის მეკარე ერიომინიც გახლდათ, რომელიც ფინალის მეორე ღამეს ავტოავარიაში დაიღუპა. მის საფლავზე თანაგუნდელებმა დაიფიცეს, ძმაკაცის ხსოვნისთვის ჩემპიონებიც გავხდებითო და მართლაც იპირველეს. მერე აღმოჩნდა, რომ საბჭოური ფეხბურთის მატიანე ამ წელიწადს დაიხურა.

ლამის 11 წელიწადი გავიდა სანამ გუნდი კვლავ აღორძინდებოდა. გასულ ზამთარს კლუბში დიდი ფული ჩაიდო, მწვრთნელად ამბიციური ვალერი გაზაევი დანიშნეს, რუსეთის კვალობაზე ბევრი კარგი ფეხბურთელი იყიდეს (მარტო ყოფილი დინამოელი როლან გუსევი რად ღირს, ახლა ამბობენ, სპარტაკელი ტიტოვის გადაბირებაც სურთო) და შედეგმაც არ დააყოვნა. გაზაევი „ვლადიკავკაზური ოქროს ხანის" შემდეგ ისევ მთავარი ფიგურა ხდება, ცსკა კი „ლოკომოტივთან" ერთად ჩემპიონობის მთავარი კანდიდატია და აკი კვირას „ზენიტთან" მოგებით უეფას თასის საგზურიც გაინაღდა. მანამდე ქვეყნის თასის ფინალში არმიელებს 1993-94 და 2000 წლებშიც ეთამაშიათ, მაგრამ ერთხელ „ტორპედოსთან", მეორედ „სპარტაკთან", მესამედ კი „ლოკომოტივთან" დამარცხებულან.

კვირას „ლუჟნიკზე" არმიელების დღე იყო. ისინი ბევრს უტევდნენ და ნახევარი საათი რომ გაილია, დაწინაურდნენ კიდეც. საჯარიმოს ხაზთან ორ მცველს შორის მოქცეულმა სემაკმა თავისუფალი სოლომატინი მოძებნა და ამანაც შეუფერხებლად გაიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი გუსევის კუთხურს შერშუნის თავური პასი და იანოვსკის მეორე გოლი მოჰყვა, რამაც გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი.

საფინალო სასტვენის შემდეგ სამხედროთა ქომაგებმა ისე გაიხარეს, რომ „ლუჟნიკის" არცთუ სახარბიელო მინდვრის ნაწილები სულ სუვენირებად დაიტაცეს. გასახდელში გამარჯვებულებმა თასი შამპანურით გაავსეს და გამოთრობასაც აღარაფერი უკლდათ, როცა პრიზს სახელური მოტყდა, თუმცა მისი მიმაგრება, აბა, რა პრობლემა იქნება. გაზაევმა კი ეს თქვა: პირველ ტაიმში უფრო გაგვიჭირდა, მაგრამ შესვენებაზე რაღაც-რაღაცეები შევცვალეთ და ყველაფერი დალაგდა. ვფიქრობ, ღირსეულად გავიმარჯვეთ. ახლა ფეხბურთელებს ორკვირიან შვებულებაში გავუშვებთ, 31 მაისს შევიკრიბებით და 18 დღით შვეიცარიაში გავემგზავრებით. ჩემპიონატის განახლებამდე ცოტას მოსკოვშიც წავივარჯიშებთ და შემადგენლობის გაძლიერებასაც შევეცდებითო.



REUTERS მიერ

ვალერი გაზაევი ჯარისკაცულად ასტყორცნეს

**სოლომონ გულისაშვილი**

### ჰოლანდია

**გადასასვლელი პლეი ოფი**

**A ჯგუფი. II ტური**

ემენი — როზენდალი 0:2; კამბური — დენ ბოსხი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დენ ბოსხი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| როზენდალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| კამბური | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ემენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

**B ჯგუფი. II ტური**

ვოლენდამი — დენ ჰააგი 0:4. სპარტა — ექსელსიორი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დენ ჰააგი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:3 | 4 |
| ექსელსიორი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| სპარტა | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| ვოლენდამი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | 0 |


**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შვეცეთით. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 22-23-15**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თითლიბაზური ბაასი

## ბონეტიმ პრესას დაუძახა, მარიმ ფავორიტებს



სანამ ივანო ბონეტი პრობლემებს ეჰიდებოდა, ხუან სარამ ცოლი მოიყვანა, მეჯვარეებად კი ჯულიან სპერონი და დელ რიო წაიყვანა

**„ᲓᲐᲜᲓᲘ“** დადარდიანებულია. გუნდის იტალიელმა თავკაცმა ამას წინათ საგანგებო პრესკონფერენციაც კი მოაწყო და ბრძანა, სრულიად გაწონასწორებული ჯერ არ ვარ იმისთვის, რომ კლუბი დავტოვოო.

საქმე ისაა, რომ „დანდის“ ფინანსური კოროზიები ღრნის, ხოლო გუნდის მეპატრონე პიტერ მარი შოტლანდიის პირველი დივიზიონიდან გავარდნილი „რეითის“ ესპანელი ფორვარდის ნაჩო ნოვოს გადაბირებას ლამობს.

ბონეტის პრესკონფერენცია კი იმასაც ღაღადებდა, რომ მწვრთნელსა და მეპატრონეს შორის აზრთა გულწრფელი გაზიარება არ მიდის.

ყველაფერ ამასთან დაკავშირებით კლუბის პრესატაშემ განაცხადა, ივანო და პიტერი ერთმანეთში წამდაუწუმ საუბრობენ და არაგულწრფელობა რა მოსატანია, ხოლო ნოვო რომ მოგვწონს, საიდუმლო სულაც არ არის, მაგრამ სანამ ბიუჯეტს არ მივხედავთ, ჯერ რა დროს ახალი ფეხბურთელების დამატებააო.

დაბოლოს, ბონეტის პრესკონფერენციას წინ პიტერ მარის გაფრთხილება უსწრებდა. „დანდის“ მეპატრონეს უთქვამს, იმ 14 ფეხბურთელიდან, რომლებსაც კონტრაქტი კლუბთან ამ ზაფხულს ეწურება, ბევრის „დანდიში“ დარჩენა წარმოუდგენელიაო. მარიმ მხოლოდ დანდელთა მეკარე ჯულიან სპერონი გამოარჩია და დასძინა: „ჯულიანი ძალიან კარგად გაისარჯა და რაც შეგვიძლია, ყველაფერს გავაკეთებთ, ის რომ შევინარჩუნოთ“.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲒᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ**

## ფეხბურთის რუკასთან



**ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲛᲐ** სპეციალისტმა მირჩა ლუჩესკუმ თურქულ „ბეშიქთაშთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თურქული პრესის ცნობით, რუმინელი წელიწადში მილიონ დოლარს მიიღებს. „ჩემთვის ახლა დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წავალ და კლუბს უფრო ახლოს გავეცნობი. ასევე საჭიროა რამდენიმე ტრანსფერის განხორციელება, რასაც მალე შევუდგები კიდეც“ — განაცხადა ლუჩესკუმ. მისი აზრით, კარგი იქნება, თუკი კლუბის ხელმძღვანელობა სერგენ იალჩინს შეიძენს, ფრანგ პასკალ ნუმას „მარსელიდან“ დაიბრუნებს.

**ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ „სოშოს“ ყოფილი თავკაცი ჟან ფერნანდესი დღეს „მეცთან“ გააფორმებს კონტრაქტს. ასეთი განცხადება გააკეთა მეორე დივიზიონში წლეულს გავარდნილი „მეცის“ გენერალურმა დირექტორმა პატრიკ რაზურელმა. შეგახსენებთ, რომ წინა წელს ჟან ფერნანდესმა „სოშოს“ პირველი დივიზიონის საგზური მოაპოვებინა. ახლა კი „სოშოს“ გი ლიაკომბი წვრთნის.**

**ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ** ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ჩემპიონობა ბელგრადის „პარტიზანმა“ მოიპოვა. „თითქმის მთელი სეზონი ლიდერები ვიყავით. ძალიან კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულადაც გავხდით ჩემპიონები“ — თქვა „პარტიზანის“ თავკაცმა ლუბიშა ტუმბაკოვიჩმა.

**ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲛᲐ ნახევარმცველმა რობერტ პროსინეჩკიმ განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ეროვნულ გუნდს გამოეთხოვება. ინგლისური „პორტსმუთიდან“ წასვლის შემდეგ 33 წლის ნახევარმცველი ჯერაც უკლუბოდაა.**

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ** „ბაიერნის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი პაულო სერჟიო თურქულ „ბეშიქთაშში“ გადადის. 32 წლის ფეხბურთელს „ბაიერნთან“ კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და ისიც სტამბოლში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდება. „ბეშიქთაში“ მას სამწლიან ხელშეკრულებას სთავაზობს.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ნაკრებისა და „პარმას“ მცველი ფაბიო კანავარო ტურინის „იუვენტუსთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას და შესაძლოა, ხუთწლიან კონტრაქტსაც მოაწეროს ხელი. „იუვენტუსი“ კანავაროს სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს იხდის და ორ მოთამაშესაც თმობს — ენცო მარესკას და ალესიო ტაკინარდის, თუმც ამ უკანასკნელის გადაბირებას „მილანიც“ ცდილობს.**

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ** კრის არმასმა მუხლის მყესები დაიზიანა და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს. ფეხბურთელმა ტრავმა აშშ — ურუგვაის ამხანაგურ მატჩში მიიღო, რომელშიც იანკებმა 2:1 იმარჯვეს. „არმასის ტრავმა ჩემთვის დიდი დარტყმა იყო. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია და მისი დიდი იმედიც მქონდა“ — განაცხადა აშშ-ის ნაკრების თავკაცმა ბრიუს არენამ. ახლა არენა დაშავებული კრის არმასის შემცვლელის ძიებაშია და როგორც ვარაუდობენ, ამ ადგილზე უმთავრესი კანდიდატები აიაქსელი ჯონ ობრაიენი და ლანდონ დონოვანი არიან. „ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. მე ათასჯერ გამიკეთებია ისეთი მოძრაობა, მაგრამ მაშინ ცუდად დავდგი მარჯვენა ფეხი და საშინელი ტკივილი ვიგრძენი“ — განაცხადა 29 წლის არმასმა. საინტერესოა, რომ ასეთივე ტრავმა მან 2000 წლის ოლიმპიური თამაშების წინაც მიიღო.

**ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ნაკრების ფრანგ თავკაც ფილიპ ტრუსიეს ძმიშვილი ავტოკატასტროფაში დაიღუპა და მწვრთნელიც სასწრაფოდ პარიზში გაფრინდა. ამის გამო იაპონიის ნაკრების ვიზიტი ნორვეგიაში კინაღამ ჩაიშალა. საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა და აზიელებიც ნორვეგიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში მეორე მწვრთნელის ხელმძღვანელობით ითამაშებენ.**

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ** დიდი ხმაური გამოიწვია ვიქტორია ადამსისა და დევიდ ბექჰემის ვილაში გამართულმა გრანდიოზულმა ბანკეტმა, რომელიც ინგლისის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გასაცილებლად მოეწყო. ბექჰემების ვილას ეროვნული გუნდის მაისურებში გამოწყობილი ათასობით ფანი მიაწყდა, რომლებიც მოქეიფეებს უთვალთვალებდნენ. ბანკეტზე შოუბიზნესისა და ფეხბურთის ისეთი დიდი ვარსკვლავები იყვნენ დაპატიჟებულნი, როგორებიც ელტონ ჯონი, ჯეფ ჰერსტი და გარი ლინეკერი არიან. ბექჰემების ოჯახს ეს თავყრილობა 350 ათასი გირვანქა დაუჯდა.

**ᲞᲐᲠᲐᲒᲕᲐᲘᲡ ნაკრების იტალიელმა თავკაცმა ჩეზარე მალდინიმ თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ ფეხბურთელთა სიას 17 მაისს გამოვაცხადებო. „ახლა ლიბერტადორესის თასის დასრულებას ველოდები და საჭირო ფეხბურთელთა ვინაობასაც ამის შემდეგ დავასახელებ. ახლა მთავარია, მოთამაშეებმა ძალები მოიკრიბონ და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოემზადონ“ — განაცხადა მალდინიმ.**

## ამხანაგური მატჩები

**საბერძნეთი 3:2 რუმინეთი**

1:0 ნიკოლაიდისი (19), 1:1 ოგარარუ (57), 2:1 იანაკოპულოსი (60), 3:1 კონსტანტინიდისი (73), 3:2 ბრატუ (84)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი (მიხოპულოსი 46), კაცამბისი, ვენეტიდისი (გეორგიადისი 46), ფისასი, გუმასი, ლაკისი (იანაკოპულოსი 46), ზაგორაკისი (ბასინასი 46), ვრიზასი (მ. კონსტანტინიდისი 59), კაფესი, ნიკოლაიდისი (ალექსანდრისი 46), ამანატიდისი

რუმინეთი: ირიმია (სტანჩიუ 63), ოგარარუ (ბალანი 59), გიონია (ვატავუ 79), ბაჩიუ, სოავა, ბრატუ (ტანასე 76), დრაგანი (გრიგორიე 71), სანმარტინი, ო. პეტრე, დანჩია (ნიაგა 48), ვ. მუნტიანუ

მსაჯი: ლ. სუნდელი (შვედეთი)

6 000 მაყურებელი

**კენია 1:0 ტანზანია**

1:0 ბარასა (76)




# იყიდება სასწრაფოდ!

# ლაზერული პრინტერი

LASERJET 5000N

ნახმარ მდგომარეობაში

ტელ. 38-11-14, 39-48-29

ფასი შეთანხმებით


## ჰოლანდია

### თასის ფინალი

**უტრეხტი 2:3 აიაქსი**

0:1 მიდო (20), 1:1, 2:1 გლუშკევიჩი (56, 76პ), 2:2 ვამბერტო (90), 2:3 იბრაჰიმოვიჩი (90)

უტრეხტი: ვაბენაარი, ცვაანცვიკი, როქსტი, ვრუვენი (ტუზანი 46), ბოშაარტი, ვან მოლი, იოკუმსენი, ტანგე, ჟ. დე იონგი, გლუშკევიჩი (მუტი 79), ვან დენ ბერგი (როია 46)

აიაქსი: გრიმი, ბერგდოლმო, კოვუ, ტრაბელსი, მაქსველი, ვან პალსტი (პიენაარი 73), გალაშკა, ჯ. ობრაიენი (იბრაჰიმოვიჩი 78), ვან დერ მეიდე, მახლასი (ვამბერტო 55), მიდო

მსაჯი: ტემინკი

37 000 მაყურებელი

**ᲠᲝᲜᲐᲚᲓ ᲙᲣᲛᲐᲜᲡ** ფინალის შემდეგ ალმოხდა: „ეს ფანტასტიკური სეზონი იყო“.

მართლაც, არნემის „ვიტესიდან“ „აიაქსში“ გადასულმა კუმანმა პირველივე ცდაზე ორი მწვერვალი დაიპყრო. უკვე ჩემპიონმა „აიაქსმა“ როტერდამში „უტრეხტს“ თასი არ დაანება.

ამსტერდამელები მიდომ დააწინაურა, მაგრამ პირველ ტაიმში თავისი უპირატესობა ველარ გაამყარეს.

მეორე ნახევარში უტრეხტელმა იგორ გლუშკევიჩმა დუბლი გაიფორმა და მისი გუნდი ახლოსაც იყო თასთან. აქ საქმეში მახლასის ნაცვლად შესული ვამბერტო ჩაერთო და სულზეც მიუსწრო — ბოლო წუთზე გაათანაბრა. „უტრეხტი“ დამატებით დროში მალევე გატყდა. ასევე შეცვლაზე შესულმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა „ოქროს გოლი“ გაიტანა და კუმანს ზემოთხსენებული სიტყვები ათქმევინა.

# აი, ასე! აიაქსი!



ნიკოს მახლასმა, თასს არვის დავუთმობო

## დანია

32-ე ტური: ესბიერგი — მიდტიულანდი 0:1; სილკებორგი — ვაილე 1:0; ლიუნგბიუ — ორჰუსი 0:1; კოპენჰაგენი — ბრონდბიუ 1:1; ოდენსე — ოლბორგი 1:2; ვიბორგი — აკადემისკი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 32 | 19 | 9 | 4 | 72:28 | 66 |
| კოპენჰაგენი | 32 | 19 | 9 | 4 | 58:23 | 66 |
| მიდტიულანდი | 32 | 15 | 9 | 8 | 44:26 | 54 |
| ოლბორგი | 32 | 16 | 6 | 10 | 50:41 | 54 |
| ოდენსე | 32 | 13 | 10 | 9 | 53:47 | 49 |
| აკადემისკი | 32 | 12 | 11 | 9 | 44:35 | 47 |
| ესბიერგი | 32 | 13 | 6 | 13 | 42:42 | 45 |
| ვიბორგი | 32 | 10 | 11 | 11 | 45:42 | 41 |
| სილკებორგი | 32 | 8 | 8 | 16 | 41:46 | 32 |
| ორჰუსი | 32 | 6 | 10 | 16 | 38:56 | 28 |
| ვაილე | 32 | 5 | 10 | 17 | 36:72 | 25 |
| ლიუნგბიუ | 32 | 2 | 9 | 21 | 25:90 | 15 |

## ნორვეგია

8-7 ტური: ბოდიო გლიმტი — ვიკინგი 0:0; ვოლერენგა — ლინი 1:2; ბრინი — მოლდე 0:2; მოსი — რუსენბორგი 2:2; სოგნდალი — ბრანი 2:3; სტაბეკი — ოდ გრენლანდი 1:0; სტარტი — ლილესტრიომი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლინი | 7 | 6 | 0 | 1 | 12:7 | 18 |
| ბოდიო გლიმტი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:4 | 14 |
| ვოლერენგა | 7 | 3 | 2 | 2 | 11:7 | 11 |
| ვიკინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 11 |
| მოლდე | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 11 |
| სტაბეკი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| რუსენბორგი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:8 | 10 |
| ოდ გრენლანდი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 10 |
| ბრანი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:12 | 10 |
| ლილესტრიომი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:5 | 9 |
| მოსი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:13 | 6 |
| სტარტი | 7 | 0 | 4 | 3 | 4:9 | 4 |
| ბრინი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | 4 |
| სოგნდალი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:14 | 2 |

## ჩეხეთი

30-ე ტური: პრადეც კრალოვე — ბლშანი 1:1; სინოტი — სპარტა 0:1; ბოჰემიანსი — ლიბერეცი 2:1; ბრნო — ოპავა 1:2; ტეპლიცე — პრჟიბრამი 1:0; ბანიკი — სიგმა 0:1; სლავია — ჟიჟკოვი 1:0; იაბლონეცი — დრნოვიცე 2:0

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 30 | 19 | 7 | 4 | 55:26 | 64 |
| სპარტა | 30 | 20 | 3 | 7 | 55:19 | 63 |
| ჟიჟკოვი | 30 | 19 | 6 | 5 | 42:20 | 63 |
| ბოჰემიანსი | 30 | 14 | 6 | 10 | 40:35 | 48 |
| სლავია | 30 | 12 | 11 | 7 | 45:34 | 47 |
| ბანიკი | 30 | 12 | 8 | 10 | 43:36 | 44 |
| ტეპლიცე | 30 | 12 | 5 | 13 | 37:41 | 41 |
| იაბლონეცი | 30 | 10 | 10 | 10 | 35:33 | 40 |
| ბრნო | 30 | 10 | 10 | 10 | 34:42 | 40 |
| სიგმა | 30 | 9 | 10 | 11 | 29:32 | 37 |
| სინოტი | 30 | 10 | 6 | 14 | 31:38 | 36 |
| ჰრადეც კრალოვე | 30 | 9 | 8 | 13 | 28:42 | 35 |
| პრჟიბრამი | 30 | 9 | 7 | 14 | 27:39 | 34 |
| ბლშანი | 30 | 8 | 5 | 17 | 35:51 | 29 |
| დრნოვიცე | 30 | 7 | 5 | 18 | 32:45 | 26 |
| ოპავა | 30 | 5 | 3 | 22 | 23:58 | 18 |

ჩეხეთის ჩემპიონატის ისტორიაში პრაღის „სპარტა“ პირველად ვერ გახდა ჩემპიონი

## შვედეთი

8-7 ტური: სუნდსვალი — იურგორდენი 2:1; ჰალმსტადი — კალმარი 1:0; ლანდსკრონა — იორგრიტე 3:1. გიოტებორგი — ჰამარბი გადაიდო, აიკ — მალმიო, ელფსბორგი — ჰელსინგბორგი და იორებრო — ნორჩიოპინგი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანდსკრონა | 7 | 4 | 3 | 0 | 19:8 | 15 |
| იორგრიტე | 7 | 4 | 2 | 1 | 12:9 | 14 |
| იურგორდენი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:9 | 11. |
| მალმიო | 6 | 3 | 0 | 3 | 12:8 | 9 |
| სუნდსვალი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| ჰალმსტადი | 7 | 1 | 5 | 1 | 6:6 | 8 |
| იორებრო | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| ელფსბორგი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| გიოტებორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | 7 |
| ჰამარბი | 6 | 1 | 3 | 2 | 12:13 | 6 |
| აიკ | 6 | 1 | 3 | 2 | 9:12 | 6 |
| კალმარი | 7 | 1 | 3 | 3 | 2:8 | 6 |
| ნორჩიოპინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

33-ე ტური: ლიუბეკი — ქემნიცი 2:1; აუე — ბრაუნშვაიგი 2:1; ვატენშაიდი — კილი 5:2; ლევერკუზენი (მ) — მიუნსტერი 4:2; ესენი — ვერდერი (მ) 4:2; ფერლი — პადერბორნი 1:2; მაგდებურგი — ფორტუნა 7:1; ოსნაბრიუკი — დრეზდენი 4:0; იურდინგენი — დიუსელდორფი 1:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა

33-ე ტური: ერფურტი — ბაიერნი (მ) 3:1; მანჰაიმი — შტუტგარტი (მ) 3:2; ელვერსბერგი — აალენი 1:2; ფულდა — აშაფენბურგი 3:2; ოფენბახი — ბურგჰაუზენი 0:1; ზიგენი — ვეჰენი 4:1; რეგენსბურგი — დარმშტადტი 2:0; კაიზერსლაუტერნი (მ) 2:2; ჰოფენჰაიმი — ტრირი 1:2

## ავსტრია

### თასის ფინალი

**შტურმი 2:3 გრაცერი**

0:1, 0:2 ბრუნმაირი (15პ, 20), 0:3 კუსი-ასარე (35), 1:3, 2:3 ვასტიჩი (58, 90პ)

შტურმი: ჰოფმანი, პანადიჩი, შტრაფნერი, ბოსნარი, ნოიკირხნერი (პრეგელი 16), მაილინი (ფერნანდესი 46), მასუდი (ამოა 46), ვეტლი, როხასი, ვასტიჩი, ჰაასი

დავით მუჯირი სათადარიგო იყო

მწვრთნელი: ივიცა ოსიმი

გრაცერი: ალმერი, ტოკიჩი, აკოტო, ჰარტმანი, რამუში, აუფჰაუზერი, ბაზინა (ლერანტი 68), ა. ჩეპი, დმიტროვიჩი (შტანდფესტი 76), კუსი-ასარე, ბრუნმაირი (პოტშერი 85)

გაძევება: ჰარტმანი (67)

15 400 მაყურებელი

## პოლონეთი

### გადასასვლელი პლეი ოფი

### საპასუხო მატჩები

**რადომსკო 1:0 გარბარნია (II) (0:2)**

მომავალი სეზონიდან „გარბარნია“ I ლიგაში ითამაშებს

**ოსტროვეცი 2:1 გურნიკი (ლენჩნა) (II) (1:0)**

მომავალი სეზონიდან „ოსტროვეცი“ I ლიგაში ითამაშებს

## შვეიცარია

### თასის ფინალი

**ბაზელი 2:1დ.დ. (1:1) გრასჰოპერი**

1:0 ტუმი (5), 1:1 პეტრიჩი (38), 2:1 მ. იაკინი (112პ)

25 000 მაყურებელი

# კორეა–იაპონია 2002
## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 17 დღე

## ინგლისი

**ფეხბურთელები** პირობითად ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ. ერთნი, რომლებიც თამაშობენ და მათ სცნობენ, მეორენი კი ამ მოთამაშეთ ამტვრევენ და მათაც სცნობენ. აქვე შეიძლება მესამეც მიგვემატებინა, ისინი, ვინც ინგლისის ნაკრების გამოხშირვაზე მუშაობენ. ალდო დუშერის სახელი ჰიტ-ათეულის პირველი ადგილიდან შეიძლება ტაჰარ ელ ჰალეჯიმ მოხსნას, თუ კირონ დაიერი მუნდიალზე ვერ ითამაშებს.

პრემიერლიგის ბოლო ტურის წინ სვენ გორან ერიკსონმა ნაკრების ფეხბურთელებზე ნომრები გაანაწილა. 23-ე კირონ დაიერს ერგო. დაიერის „ნიუკასლი" საუთჰემპტონს სტუმრობდა. კირონს მწვრთნელისთვის, ბობი რობსონისთვის, უთხოვია, მათამაშეო. მისი თხოვნა და რობსონის თანხმობა შეიძლება ინგლისის ნაკრებს ძვირად დაუჯდეს. მაროკოელმა ტაჰარ ელ ჰალეჯიმ კირონის მუხლი ისე დააზიანა, რომ სულ ცოტა, ორი კვირით გამოიყვანა მწყობრიდან.

ბობი რობსონი: „არ მინდოდა, ძირითად შემადგენლობაში დამეყენებინა, რაიმე ცოდვა არ დავიდო-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მას თამაში სურდა. ხომ ხედავთ, რითიც დასრულდა? ვიღაც იდიოტებმა ელ ჰალეჯის უხეშ თამაშს ტაში დაუკრეს. იგივე რომ მათ ან მათს ახლობელს მოსვლოდა, ასევე გაიხარებდნენ?"

კირონ დაიერმა მინდორი აცრემლებულმა დატოვა, მაგრამ მისმა აგენტმა, ჯონათან ბარნეტმა ბრძანა, შენს ცრემლს არავის შევარჩენო: „არ გამოვრიცხავ, რომ სასამართლოში ვუჩივლოთ როგორც „საუთჰემპტონს", ისე ელ ჰალეჯის. დაიერის დონის ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვების შემთხვევაში უდიდეს ფინანსურ ზარალს ნახავს. მასთან სპონსორები კონტრაქტს აღარ გააგრძელებენ, თანაც ხომ შეიძლება, რომელიმე ევროპულ გრანდს მოსწონებოდა?"

# იდიოტების სიხარული
## 23-ე შემადგენლობას ჩამორჩა



ამ შეჯახებამ კირონ დაიერი ეგებ უნაკრებოდ დატოვოს

ინგლისის ნაკრები კი უკვე დუბაიში გაემგზავრა, დაიერის მუხლი კი — ექიმებთან. ჯონათან ბარნეტი ირწმუნება, რომ კირონი ძალიან მონდომებულია და იგი ინტენსიურ მკურნალობის კურსს გადის.

სვენ გორან ერიკსონმა ფეხბურთელის მუხლს ერთკვირიანი ვადა მისცა, ოღონდ ერთი პირობით — თუ ასი პროცენტით გამოჯანმრთელდები, 23-ეს ისევ შენ მოირგებო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ესპანეთი

ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ გუშინ მუნდიალზე წამსვლელი შემადგენლობა დაასახელა:

*მეკარეები:* სანტიაგო კანისარესი (ვალენსია), იკერ კასილიასი (რეალი), რიკარდო (ვალიადოლიდი);

*მცველები:* კურო ტორესი (ვალენსია), კარლეს პუიოლი (ბარსელონა), ფერნანდო იერო (რეალი), მიგელ ანხელ ნადალი (მალიორკა), გუსტავო ხუანფრანი (სელტა), ენრიკე რომერო (დეპორტივო);

*ნახევარმცველები:* ხოაკინი (ბეტისი), გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია), ივან ელგერა (რეალი), დავიდ ალბელდა (ვალენსია), რუბენ ბარახა (ვალენსია), სერხიო (დეპორტივო), ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო), ხავიერ დე პედრო (სოსიედადი), ლუის ენრიკე (ბარსელონა), ხავი ერნანდესი (ბარსელონა);

*თავდამსხმელები:* რაული (რეალი), დიეგო ტრისტანი (დეპორტივო), ფერნანდო მორიენტესი (რეალი), ალბერტო ლუკე (მალიორკა)

## პორტუგალია

სამსოფლიო ჩემპიონატის შემადგენლობა დაასახელა პორტუგალიელთა მწვრთნელმა ანტონიო ოლივეირამაც:

*მეკარეები:* ვიტორ ბაია (პორტუ), რიკარდუ პერეირა (ბოავიშტა), ნელსონ პერეირა (სპორტინგი);

*მცველები:* აბელ შავიერი (ლივერპული, ინგლისი), ჟორჟე ანდრადე (პორტუ), ჟორჟე კოშტა (ჩარლტონი, ინგლისი), ფერნანდუ კოუტუ (ლაციო, იტალია), ბეტუ სევერუ (სპორტინგი), რუი ჟორჟე (სპორტინგი), ნუნუ ფრეშაუ (ბოავიშტა), მარკუ კანეირა (ბენფიკა);

*ნახევარმცველები:* ლუიშ ფიგუ (რეალი, ესპანეთი), მანუელ რუი კოშტა (მილანი, იტალია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი, იტალია), პაულუ ბენტუ (სპორტინგი), პაულუ სოუზა (ესპანიოლი, ესპანეთი), პედრუ ბარბოსა (სპორტინგი), არმანდუ პეტი (ბოავიშტა), დანიელ კენედი (მარიტიმუ), ნუნუ კაპუშუ (პორტუ);

*თავდამსხმელები:* ნუნუ გომეში (ფიორენტინა, იტალია), პედრუ პაულეტა (ბორდო, საფრანგეთი), ჟოაუ პინტუ (სპორტინგი)

# კალაძემ იტალიის მეტოქე გამოსცადა

## ეკვადორი

**ეკვადორი 2:1 მილანი (იტალია)**

0:1 ამბროზინი (24), 1:1 დელგადო (42), 2:1 კ. ტენორიო (79)

**ეკვადორი:** სევალიოსი, მ. აიოვი, ი. ურტადო, პოროსო (კ. ტენორიო 68), გუერონი (ა. აიოვი 46), სანჩესი (აგინაგა 61), ბურბანო (მენდესი 61), ე. ტენორიო (ობრეგონი 61), გომესი (ასენსიო 61), კავიედესი, ა. დელგადო

**მილანი:** ფიორი, დაინო (კონტრა 66), ტონეტო, ბროკი (ორლანდინი 55), პაგანინი (საგინო 46), კალაძე, ბა (დე ასენტისი 46), ამბროზინი (კონტიკიო 57), სერჯინიო (ჟაული 46), ხოსე მარი (უბნერი 46), კუტუზოვი

მსაჯი: ს. კენედი

30 000 მაყურებელი

**„მილანის"** მარცხი კარლოს ტენორიომ გამოჭედა. ამ ეკვადორელმა ბიჭმა 68-ე წუთზე პოროსო შეცვალა, თერთმეტ წუთში ლამაზი თავურით „შავ-წითელთა" მესამე გოლკიპერ ვალერიო ფიორის გამარჯვებისა შეუგდო და პატარა ეკვადორიც გაახარა.

არადა, იტალიელებს წასაგები არაფერი ჰქონდათ. მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენილ მასიმო ამბროზინის გოლით იგებდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში სათამაშოს თუ არა, ტერიტორიულ უპირატესობას მაინც ფლობდნენ. მომენტები ჰქონდათ ხოსე მარის, ბელარუს ვიტალი კუტუზოვსა და 35 წლის ვეტერან დარიო უბნერსაც, მაგრამ...

1:1-ზე ეკვადორელთა კოლუმბიელმა მწვრთნელმა ერნან დარიო გომესმა იგრძნო, მილანელთა შეტევებს გოლის სუნი რომ არ ასდიოდა და თავისი ბიჭებიც მოსაგებად დაგეშა. თავდასხმაში ივან კავიედეს-აუგუსტინ დელგადოს დუეტს ზემოხსენებული კარლოს ტენორიოც მიუმატა. სამხრეთამერიკელთა მონდომებამ ჩინებული შედეგი მოიტანა. სხვათა შორის, „მილანის" კარში გატანილი მეორე გოლი, კახა კალაძის შეცდომას მოჰყვა.

ასე თუ ისე, ნიუ ჰევენის „იელ ბოულზე" ანჩელოტის გადახალისებული „მილანი" დამარცხდა. ნამატჩევს „როსონერის" თავკაცმა თქვა, სხვადასხვა კლუბიდან მოწვეული ფეხბურთელებიდან გუნდში მხოლოდ დარიო უბნერს დავტოვებთო. უარს არც თავად უბნერი ამბობს, მინდა, კარიერა ტიტულიან კლუბში დავასრულოო.

ეკვადორელთა მწვრთნელის გომესის თქმით, „მილანთან" მატჩი მათ აუცილებლად წაადგებათ, „შავ-წითლები" ზუსტად ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, როგორსაც ჩვენი სამსოფლიოჩემპიონატო მეტოქე იტალიაო.

**გიორგი გუგაძიძე**



ავგუსტო პოროსომ დარიო უბნერო ააყვირა

# ბაირამყეენობა
## თურქები ჯაშუშებს მწვადზე ეპატიჟებიან



ბაშთურქი (მარცხნივ) და დავალა უმითს მწვადის სუნი მიუვიდათ

## თურქეთი

**თურქეთის** ნაკრების წევრებმა თავიანთი ოჯახებითურთ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ დიდი ყეენობა მოაწყვეს. ქალაქ ანთალიაში გამართული გენერალური ბანკეტი და მწვადის შიშხინი თურქეთში დედის დღის დღესასწაულს დაამთხვიეს და ფეხბურთელები თავიანთი ცოლ-შვილის თანხლებით გამოცხადდნენ საზეიმო წვეულებაზე.

„მოთამაშეები მალე თავიანთ ოჯახებს დაახლოებით ერთი თვით დაემშვიდობებიან და კორეა-იაპონიაში გაემგზავრებიან. ჩვენ შევეცადეთ, მხიარული ატმოსფერო შეგვექმნა, სადაც ყველა დაისვენებდა" — განაცხადა თურქეთის ნაკრების მენეჯერმა ჯენ ქობანოღლუმ, მან იქვე დაამატა, რომ ეს დიდი მხიარულება ორ დღეს გასტანს.

არ გეგონოთ, ნაკრების ფეხბურთელებმა ეს ორი დღე მარტო მწვადის წვაში გაატარონ, ისინი ვარჯიშის მოახლოებისთანავე მაყალ-შამფურებიდან პირდაპირ მოედნისკენ გადაინაცვლებენ.

თურქთა ყეენობას დიდი ინტერესით აშუქებენ ბრაზილიელი, კოსტარიკელი და ჩინელი ჟურნალისტები. შეგახსენებთ, რომ ამ სამი ქვეყნის ნაკრებები ჩვენი სამხრეთელი მეზობლის თანაჯგუფელებია, თუმცა მასმედიის მუშაკები ხშირად აწყდებიან პრობლემებს და თურქთა ნაკრების ვარჯიშებიდან რეპორტაჟებს იოლად ვერ აკეთებენ.

თურქები განსაკუთრებით ჩინელებს და კოსტარიკელ ჟურნალისტებს უფერხებენ რეპორტაჟების მზადებას და გადაღებებს, რადგან მათმა მწვრთნელმა შენოლ გიუნეშმა ამას წინათ გამოაცხადა, ამ ორი ქვეყნის ნაკრებია ჩვენი ეროვნული გუნდის ძირითადი კონკურენტი ჯგუფშიო.

ნაკრების ხელმძღვანელობაც მაქსიმალურად ერიდება, სავარჯიშო პროცესი კონკურენტი ქვეყნების ტელეოპერატორებმა გადაიღონ. თურმე დაცვის სამსახური ჟურნალისტებს აფრთხილებს, როცა ნაკრები ვარჯიშობს, კამერები იქაურობას მოარიდონ. აი, მწვადის წვა და შიშხინი რამდენ ხანსაც გენებოთ, გადაიღეთო. მართალია, ხელმძღვანელობა ცდილობს, საწვრთნელი ბაზიდან ინფორმაციის გასვლა შეზღუდოს, მაგრამ გარკვეული სიახლეები ჟურნალისტთა ნადავლი მაინც ხდება. ასე მაგალითად, ხმები დაირხა, ვარჯიშის დროს სერიოზულად დაშავდა ნაკრების პირველი მეკარე რუშთუ რექბერიო, თუმცა ოფიციალურმა წარმომადგენელმა ცნობა უარყო და თქვა, გოლკიპერს მხოლოდ მიკროტრავმა აქვსო.

მწვადის წვაზე არ ყოფილა „პარმას" ფორვარდი ჰაქან შუქური, თუმცა ის დღეს უნდა შეუერთდეს თურქეთის ნაკრებს. ხოლო კვირის მიწურულს გუნდი ჰონ კონგს მიემგზავრება, სადაც ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს ჯერ იქაურებთან, შემდეგ კი სამხრეთაფრიკელებთან.

მწვრთნელ გიუნეშს ჯერ 27 ფეხბურთელი ჰყავს სანაკრებოდ შერჩეული, აქედან უძლიერესი 23-ის დასახელებას ჯერ არ ჩქარობს.

**ნიკა შუბლაძე**

## სენეგალი

*მეკარეები:* ტონი სილვა (მონაკო, საფრანგეთი), ოუმარ დიალო (ხურიბგა, მაროკო), ხალიდუ კისოხო (ჟანა დარკი);

*მცველები:* ომარ დაფე (სოშო, საფრანგეთი), ლამინა დიატა (რენი, საფრანგეთი), ფერდინანდ კოლი (ლანსი, საფრანგეთი), ალიუ სისე (მონპელიე, საფრანგეთი), ჰაბიბ ბეიე (სტრასბური, საფრანგეთი), პაპე მალიკ დიოპი (ლორიანი, საფრანგეთი), ალასან ნდური (სენტ ეტიენი, საფრანგეთი);

*ნახევარმცველები:* ხალილუ ფადიგა (ოსერი, საფრანგეთი), პაპე სარი (ლანსი, საფრანგეთი), სალიფ დიაო (სედანი, საფრანგეთი), მუსა ნდიაიე (სედანი, საფრანგეთი), ამდი მუსტაფა ფეიე (ოსერი, საფრანგეთი), პაპე ბუბა დიოპი (ლანსი, საფრანგეთი), მახტარ ნდიაიე (რენი, საფრანგეთი), სილვენ ნდიაიე (ლილი, საფრანგეთი);

*თავდამსხმელები:* ელ-ჰაჯი დიუფი (ლანსი, საფრანგეთი), ანრი კამარა (სედანი, საფრანგეთი), პაპე ტიავუ (ლოზანა, შვეიცარია), ამარა ტრაორე (გენიონი, საფრანგეთი), სულეიმან კამარა (მონაკო, საფრანგეთი)

## ამხანაგური მატჩები

**აშშ 2:1 ურუგვაი**

1:0 სანე (6), 2:0 ბესლი (40), 2:1 აბრეუ (60)

**აშშ:** ფრიდელი, რეიისი, აგოსი, სანე (მეიდუკი 68), პოპი, ე. სტიუარტი (დონოვანი 46), ბესლი, ჯოუნსი, არმასი (მასტროენი 24), მეტისი, მაკბრაიდი (ჯ. მური 67)

**ურუგვაი:** მუნუა, ლემბო, სორონდო, პ. გარსია, დ. როდრიგესი (რ. ოლივერა 68), მენდესი, ფონილი, მაგალიანესი (გიგუ 46), აბრეუ, ნ. ოლივერა (რეგუეირო 46), რეკობა

მსაჯი: ფ. ესკობარი (გვატემალა)

30 413 მაყურებელი

**მექსიკა 2:1 კოლუმბია**

1:0 ბორგეტი (52), 1:1 ო. რესტრეპო (66), 2:1 მარკესი (76)

**მექსიკა:** ო. პერესი (ხ. კამპოსი 76), კარმონა (ა. როდრიგესი 46), დე ანდა (მარკესი 68), ვიდრიო, მ. ბრაუნი, რ. გარსია (რ. მორალესი 46), ვილა (ტორადო 46), გ. კაბალიერო, ლუნა (ასპე 56), ერნანდესი (ბლანკო 46), ბორგეტი

50 000 მაყურებელი

**სამხრეთ აფრიკა 1:0 მადაგასკარი**

1:0 მნგონენი (14)

**ჩინეთი 3:1 ტაილანდი**

0:1 ნოივაში (63), 1:1, 2:1, 3:1 სუ მაოჟენი (78, 81, 88)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXIV ტური**

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 001 | დიუსელდორფი-აუე | 2,4 | 3,2 | 2,4 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 17.00 | 002 | დრეზდენი-ლიუბეკი | 3,3 | 3,2 | 1,9 | 1,6 | 1,2 | 1,15 |
| 17.00 | 003 | ფორტუნა-ოსნაბრიუკი | 2,3 | 3,2 | 2,5 | 1,3 | 1,1 | 1,4 |
| 17.00 | 004 | ვერდერი (მ)-ფერლი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 17.00 | 005 | კილი-ლევერკუზენი (მ) | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 17.00 | 006 | ბრაუნშვაიგი-ვატენშაიდი | 1,5 | 3,5 | 5,3 | 1 | 1,15 | 2,1 |
| 17.00 | 007 | ქემნიცი-ურდინგენი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIV ტური**

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 008 | ტრირი-მანჰაიმი | 1,6 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 17.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი (მ)-ერფურტი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 17.30 | 010 | დარმშტადი-კიკერსი | 1,95 | 2,9 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,6 |
| 17.30 | 011 | ვეჰენი-რეგენსბურგი | 2,0 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 17.30 | 012 | ბურგჰაუზენი-ზიგენი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 17.30 | 013 | ანსბახი-ოფენბახი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 17.30 | 014 | შტუტგარტი (მ)-ელვერსბერგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 17.30 | 015 | ბაიერნი (მ)-ჰოფენჰაიმი | 1,75 | 3,3 | 3,8 | 1,1 | 1,1 | 1,75 |

**იტალია. სერია „ც1". ფლეი ოფი. I მატჩები.**

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 026 | ტრიესტინა-სპეცია | 2,3 | 2,6 | 3,3 | 1,2 | 1,35 | 1,4 |
| 19.30 | 027 | ტრევიზო-ლუკეზე | 2,1 | 2,6 | 3,8 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 028 | პეკარა-კატანია | 2,0 | 2,6 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 19.30 | 029 | ლანჩანო-ტარანტო | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |

**იტალია. სერია „ც1". ფლეი აუტი. I მატჩები.**

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 030 | არეცო-კარარეზე | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 031 | ალძანო-რეჯანა | 2,1 | 2,7 | 3,6 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 032 | სორა-დი სანგრო | 2,3 | 2,5 | 3,4 | 1,1 | 1,35 | 1,4 |
| 19.30 | 033 | ნოჩერინა-ბენევენტო | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XXXXI ტური**

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 034 | ფეროლი-ალბასეტე | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 21.00 | 035 | სალამანკა-სპორტინგი | 2,3 | 2,7 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,45 |
| 22.00 | 036 | უელვა-ხერესი | 1,9 | 2,8 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,65 |
| 22.00 | 037 | ლეგანესი-ნუმანსია | 2,0 | 2,6 | 3,3 | 1,1 | 1,2 | 1,4 |
| 22.00 | 038 | ეიბარი-კორდობა | 2,0 | 2,5 | 4,4 | 1,1 | 1,35 | 1,55 |
| 22.00 | 039 | ხაენი-ელჩე | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 22.00 | 040 | ბურგოსი-მურსია | 2,2 | 2,5 | 2,0 | 1,15 | 1 | 1,1 |
| 22.00 | 041 | რასინგი-ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,0 | 1,15 | 1,2 | 1,45 |
| 22.00 | 042 | ესტრემადურა-პოლი ეხიდო | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 |
| 22.00 | 043 | ოვიედო-ხიმნასტიკი | 1,7 | 3,1 | 2,5 | 1 | 1 | 1,35 |
| 22.30 | 044 | ლევანტე-ბადახოსი | 2,2 | 2,6 | 3,5 | 1,15 | 1,3 | 1,45 |

**ჰოლანდია. ფლეი ოფი**

14 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 045 | ემენი-კამბური | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| 23.00 | 046 | დენ ბოსხი-როზენდალი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |

**ბელგია. ფლეი ოფი**

16 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 053 | მონსი-პეუსდენი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 054 | ინგელმუნსტერი-სერკლი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |

**დანია. XXXIII ტური**

16 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 057 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 3,0 | 3,4 | 1,85 | 1,55 | 1,1 | 1,1 |
| 22.00 | 058 | აკადემისკი-ოდენსე | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 22.00 | 059 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1,35 | 3,5 | 4,4 | 1 | 1 | 1,9 |
| 22.00 | 060 | ორჰუსი-სილკებორგი | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 |

**შვედეთი. VII ტური**

14 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 063 | გიოტებორგი-ჰამარბი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |

**ნორვეგია. VIII ტური**

16 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 064 | ბრანი-ბრინი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 21.00 | 065 | ლინი-ბოდიო გლიმტი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 21.00 | 066 | მოლდე-მოსი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 067 | ოდ გრენლანდი-სოგნდალი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 21.00 | 068 | რუსენბორგი-სტარტი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 21.00 | 069 | ვიკინგი-სტაბეკი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 070 | ლილესტრიომი-ვოლერენგა | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |

**პოლონეთი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. I მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 23.00 | 078 | კატოვიცე-ვისლა | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 20.15 | 079 | რადომსკო-ლეგია | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |

**ჩემპიონთა ლიგა. ფინალი**

15 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 401 | რეალი-ლევერკუზენი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |

**ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალი. II წრე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 05.10 | 402 | სან კაეტანო-პენიაროლი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 05.40 | 403 | ნასიონალი-გრემიო | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 03.30 | 404 | ოლიმპია-ბოკა ხუნიორსი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 08.10 | 405 | ამერიკა-მორელია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |

**ამხანაგური მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 20.45 | 406 | ნორვეგია-იაპონია | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 21.30 | 407 | საუდეთი-სენეგალი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 408 | სლოვაკეთი-უზბეკეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 23.15 | 409 | ბელგია-ალჟირი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 23.45 | 410 | უელსი-გერმანია | 4,7 | 3,3 | 1,65 | 1,9 | 1,2 | 1,1 |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 20.00 | 411 | საბერძნეთი-კვიპროსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 21.00 | 412 | შვეიცარია-კანადა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 14.00 | 413 | კორეა-შოტლანდია | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 15.30 | 414 | ჩინეთი-ურუგვაი | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 23.30 | 415 | ირლანდია-ნიგერია | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 02.00 | 416 | მექსიკა-ბოლივია(აშშ-ში) | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 04.30 | 417 | აშშ-იამაიკა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 18.00 | 418 | იუგოსლავია-უკრაინა (მოსკოვი) | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 21.00 | 419 | რუსეთი-ბელარუსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 22.00 | 420 | შვედეთი-პარაგვაი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 22.15 | 421 | დანია-კამერუნი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 23.15 | 422 | სლოვენია-განა | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 19.00 | 423 | ნიგერია-იამაიკა(ინგლისში) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 22.00 | 424 | გერმანია-ავსტრია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 23.15 | 425 | პოლონეთი-ესტონეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 23.45 | 426 | ჩეხეთი-იტალია | 2,6 | 2,9 | 2,5 | 1,35 | 1,25 | 1,3 |
| 23.45 | 427 | საფრანგეთი-ბელგია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 23.00 | 428 | აშშ-ჰოლანდია | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 11.45 | 429 | ს. აფრიკა-შოტლანდია (ჰონგ კონგი) | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 14.00 | 430 | ჰონგ კონგი-თურქეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,45 | 1,15 | 1 |

**ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 მაისი (შვეიცარიაში) | | | | | | |
| 22.00 | 431 | საფრანგეთი-ჩეხეთი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 23.00 | 432 | საბერძნეთი-ბელგია | 2,5 | 2,9 | 2,6 | 1,3 | 1,25 | 1,35 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 23.15 | 433 | ინგლისი-შვეიცარია | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 23.30 | 434 | იტალია-პორტუგალია | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,55 |

**კალათბურთი**

**ნბა პლეი-ოფი**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | 14 მაისი | | | |
| 05.00 | 501 | დეტროიტი-ბოსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.30 | 502 | ლეიკერსი-სან ანტონიო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | | 15 მაისი | | | |
| 04.00 | 503 | ნიუ ჯერსი-შარლოტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |

**ჰოკეი**

**ნჰლ პლეი-ოფი**

14 მაისი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 512 | ტორონტო-ოტავა | 2,1 | 3,6 | 2,5 |

**თასის აღება**

23.45 801 რეალი-ლევერკუზენი -------------- 1,3 -------------------------------- 2,8

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 მაისი | | | | | | | | | |
| 23.45 701 რეალი-ლევერკუზენი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადაabit ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»




საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფის ნახევარფინალი, სამ მოგებამდე

# ყველი და საათი

## შვეიცარიული მომენტი: ინიციატივა, თორემ შეგჭამენ

11 მაისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| სტუ | 1 |

**დინამო 82:97 სტუ**

27:18, 22:34, 21:17, 12:28

**დინამო:** ელენტი (23), მაისურაძე (2), ნაცვლიშვილი (4), ნინიაშვილი (10), ოგანესიანი (15); წოწელია, მუპე (11), ტურაშვილი (4), ჩუბინიძე (6), კორძაძე, ჩხეიძე (7)

**სტუ:** აბრამიძე (7), ხოშტარია (20), დავითულიანი (4), მინაშვილი (28), შენგელია (6); ბაბიაშვილი (18), გაგნიძე (6), ოთიურიძე (8), ლოსაბერიძე

**მსაჯი:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

ირაკლი პერტაია

**ნახევარფინალური** სერიის მეორე მატჩში „დინამომ" შინაურ კედლებში მწარე აბი ყლაპა „სტუ-ჯეოსელისგან" და საერთო ანგარიში გაათანაბრდა — 1:1.

იტყვით, თამაში სპორტის სასახლეში გაიმართა და „დინამო" რა მასპინძელი იყოო, მაგრამ სწორედაც რომ ასეა: „დინამო" არა ფორმალური, არამედ ნაღდი მასპინძელი იყო სტუდენტებისა. საქმე ისაა, რომ აქამდე სპორტის სასახლეს ფედერაცია ქირაობდა და გუნდები, რომლებსაც საკუთარი დარბაზი არ გააჩნდათ, ამ სარბიელით თანაბრად სარგებლობდნენ, პლეი ოფიდან კი ყველაფრის მყიდველმოიჯარე „დინამოს" ხელმძღვანელობამ სპორტის სასახლეც იქირავა. ასე რომ, ეს გუნდი პარასკევ-შაბათს სტუსთან გამართულ მატჩებში მასპინძელი გახლდათ. ატმოსფეროც სათანადო იყო: ფიცარნაგს „დინამოს" ლოგო ამშვენებდა, მის გარშემო კი ჩვენი ჩემპიონატისთვის უჩვეულოდ მრავალი სარეკლამო დაფა ჩამწკრივებულიყო, რომელიც „დინამოს" მეპატრონეთა და მათ მეგობართა ამქარის საქმიანობის ერთგვარ პრეზენტაციას წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე, არც ის იყო უცნაური, რომ დინამოელებს ტრიბუნებსშეფენილი ფანკლუბელები ამხნევებდნენ, ხოლო მისი გულშემატკივარი სტუ-სას სჭარბობდა. მაგრამ ამ გარემოებათა მიუხედავად, ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა გამართული კალათბურთი ითამაშა, ბოლო ათწუთეულში კი, როცა მაყურებელი ამ ორი გუნდის მატჩებისთვის ჩვეული დრამატული ფინალისთვის სკამებზე უკეთ მოკალათდა, მთლად აკადემიურად ათამაშდა და „დინამოს" წლეულს ჯერაც უკადრებელი საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარა.

ამ შეხვედრაში კარგად გამოჩნდა, თუ რას ნიშნავს „დინამოსთვის" ირაკლი ჯაფარიძე. მას მუხლის ტრავმის გამო შაბათს არ უთამაშია და მეტოქემაც იმ არემარედან გამოუტანა დინამოელთ განაჩენი, ეს კალათბურთელი რომ ტრიალებს ხოლმე. ჯაფარიძის არყოფნა, ცხადია, სტუდენტებს ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ არა იმოდენას, რომ ვინმეს გადაჭრით ეთქვა, ისინი გაიმარჯვებენო. „დინამოს" ხომ არაერთი მძლავრი მეფარე ჰყავს, არმენ ოგანესიანის სახით კი — ჩემპიონატში მოთამაშე ყველაზე ზორბა კალათბურთელი. თუმც ეს მთაკაცი შაბათს გვარიანად მომცრო ვახტანგ მინაშვილმა დაჩრდილა, რომლისთვისაც ეს მატჩი წლევანდელ სეზონში საუკეთესო იყო. ისე, ნუგზარ ჭეიშვილს ამ ბოლოს ის ხალხი სწყალობს, აქამდე სტაჟიანი სათადარიგონი რომ იყვნენ. ამ მხრივ მინაშვილის გვერდით გიორგი გაგნიძეც უნდა ვახსენოთ, რომელიც ვერცხლისწყალივით მოძრაობდა, არაერთი ბურთი ჩაჭრა, მრავალი გამოზომილი პასი ჩამოარიგა და სწრაფი გარღვევით სტუ-ს რამდენიმე უაღრესად საჭირო ქულა უფეშქაშა.

ის კია, სტუ-ს დიდი ძალისხმევა დასჭირდა დინამოელთა გასატეხად. ლევან მოსეშვილის გუნდს, რომელსაც ფარქვეშ თამაში არა და არ წაუვიდა, დებიუტში არჩილ ელენტის სამქულიანები დიდად ესალბუნა. ყველასთვის სიურპრიზი იყო არმენ ოგანესიანის შორეული სამქულიანები, რომლებმაც, მიუხედავად სტუდენტთა სათამაშო უპირატესობისა, განსაზღვრეს კიდეც „დინამოს" სოლიდური უპირატესობა მცირე შესვენებისთვის — 27:18.

ნუგზარ ჭეიშვილმა თვალნათლივ დაინახა მისი გუნდის ფარქვეშა უპირატესობა, მაგრამ გამოჩნდა ისიც, რომ მარტო ამის იმედად ყოფნა არ ივარგებდა, რადგან მეტოქე ექვსმეტრსმილმიდან უფრო საშიში იყო. ამიტომაც მან მოედანზე ზვიად ბაბიაშვილი და ვასილ ოთიურიძე შეუშვა, რომლებსაც პერიმეტრის გადაკეტვაც კარგად ეხერხებათ და ფარზე თამაშიც. ამან გაამართლა. ბაბიაშვილმა მინაშვილის გაკვალულ ფარქვეშეთში ერთხელისუფლიანობა დაამყარა, პერიმეტრზეც გვარიანად ბოჭავდა მეტოქეთ და დინამოელთა სამქულიანებმაც ჩაილურის წყალი დალია. ორიოდ წუთში მოედან's მინაშვილიც დაუბრუნდა და მის:. და ბაბიაშვილის ძალისხმევით სტუდენტთა საქმე შეტევაში შვეიცარიული საათივით აეწყო, ხოლო დინამოელთა დაცვის ყოფა, შესაბამისად, ამავე ქვეყნის განთქმულ ყველს დაემგვანა. ამ ტანდემის შემჩერებელი, რომელმაც მეორე მეოთხედში ჯამში 22 ქულა მოინაგრა, ნამდვილად არ იყო მოედანზე საგანგებოდ ამისთვის შეყვანილი აჰმედ მუპე. ზურაბ ჩუბინიძე ზანგთან ერთად კი შეეჯაჯგურა მეტოქეებს, მაგრამ ეს მესამე ათწუთეულის ბოლოს პერსონალურების გამო მოედნის დატოვებად დაუჯდა.

...სადებიუტო წუთების შემდეგ სტუ პირველად მე-18 წუთზე მინაშვილმა დააწინაურა (44:43) და მისი გუნდის სათამაშო უპირატესობა ციფრებშიც აისახა. სტუდენტებმა აღებული გეზი მესამე მეოთხედშიც შეინარჩუნეს და მის შუაწელში ხოშტარიას გარღვევის შემდეგ სტუ 58:52 დაწინაურდა. „დინამო" ასე იოლად რომ არ დათმობდა, ცხადი იყო. მოედანზე რევაზ ჩხეიძე გამოჩნდა, რომლის შედეგიანმა გარღვევებმა ელენტიც იშტაზე მოიყვანა და ამ ორის მეცადინეობით „დინამო" ფეხდაფეხ მისდევდა მეტოქეს. ის კი არა, მესამე ათწუთეულის საფინალო სირენასთან ერთად „ჩხიროს" მიერ ჩაგდებულმა სამქულიანმა „დინამოს" ლიდერობა დაუბრუნა — 70:69.

როგორც ზემოთ გითხარით, დინამოელებს ბოლო მეოთხედის წინ ზურაბ ჩუბინიძე გაუვარდათ და მინაშვილსა და ბაბიაშვილს მეტოქის ფარზე ხასხასა მწვანე აენთოთ. ასეც რომ არ მომხდარიყო, სტუდენტთა ლიდერი ირაკლი ხოშტარია ისე თამაშობდა, ბარე სამი მეურვე ვერ აკავებდა და „დინამოსთვის", როგორც თავში ვთქვით, მცირე საკალათბურთო გაკვეთილიც დაიწყო, რომელიც საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე დასრულდა. სტუ-მ დროის ეს მონაკვეთი 21:5 მოიგო, რაც, ცხადია, მატჩის მოგებასაც ნიშნავდა. სერიაში ყველაფერი თავიდან იწყება.



სტუდენტ ზვიად ბაბიაშვილს (ბურთით) დინამოელი ზურაბ ჩუბინიძე ჰაერშიც გაედევნა




ჰაერში აჭრილ ბათუმელ ნიკ დილონს ზაზა გაბისონია ქვემოდანღა შესცქერის

# გაზაფხულის საღამოა მშვიდი

## ვამბობთ ბასკოს, ვგულისხმობთ ფინალს

## აზოტი ჩემპიონატს ალალად გაეყარა

13 მაისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| აზოტი | 0 |
| ბასკო | 3 |

**აზოტი 73:95 ბასკო**

21:16, 20:23, 18:23, 14:33

**აზოტი:** გაბისონია (4), გოგობერიშვილი (22), ბოისა (2), შპუნტი (4), მაჭარაძე (8); ბერუაშვილი (5), იამჩუ (15), არწივიძე, კოკოლიშვილი (13), ჯიმშელეიშვილი

**ბასკო:** თორთლაძე (8), მარკოიშვილი (6), ტუჯანი (8), ბეჟანიშვილი (20), დილონი (20); როჯერსი, საყვარელიძე (2), არხიპოვი (12), ორმოცაძე (15), როდუნტა (4)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

ირაკლი პერტაია

**გუშინ** პირველი ფინალისტი გაირკვა. ჩემპიონმა „ბასკომ" მესამე მატჩი და მთლიანად სერიაც მოუგო „აზოტს" და ზედიზედ მესამედ საჩემპიონოდ „დინამოსა" და სტუ-ს შორის გამარჯვებულს დაელოდება ფინალში.

რაც ამბიციები გაუჩნდა, „აზოტი" არასდროს დამშვიდობებია ჩემპიონატს ასე უსახელოდ. რუსთაველებმა ნახევარფინალური სერია რიხით კი დაიწყეს, როცა პირველ მატჩში დასანანად დამარცხდნენ სტუმართათვის ჯერაც აუღებელ ბათუმში, თუმც მომდევნო მატჩებში კარგად გამოჩნდა ის, რაც ლოგიკური იყო: „ბასკო", რომელსაც „აზოტზე" მეტი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავს და ფიზიკური მომზადებით ბარე პირველია ჩემპიონატში, ჩვეულად ათამაშდა და ყველას, მათ შორის რუსთაველ ქომაგსაც დაანახა, რომ დღესდღეობით „აზოტი" ფინალში თამაშის ღირსი არ არის. თუმც შესაძლოა, ყველაფერი პირიქით მომხდარიყო. ფინანსურ შეჭირვებას რა ვუთხარით, თორემ არ იყვნენ რუსთაველები არჩილ ელენტისა და ზვიად ბაბიაშვილის შუა სეზონში გამშვებნი, რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე ადრე წასულ კახა შენგელიაზე. ეს კალათბურთელები რომ შეენარჩუნებინათ, ეგებ ყველაფერი სხვაგავარად ყოფილიყო, მაგრამ დღეს ასეა: რუსთაველები ექსცესების გარეშე ემშვიდობებიან ჩემპიონატს.

მიუხედავად 22-ქულიანი გამარჯვებისა, ბათუმელები ვერ დაიკვეხნიან, უპრობლემოდ მოვიგეთო. ბასკოელმა რუსთაველები ბოლო მეოთხედში გატეხეს, როცა გადაღლილ აზოტელებს ფარზე ავად თუ კარგად მებრძოლი მიხეილ ბერუაშვილი გაუვარდათ, თორემ მანამდე თანაბარი ბრძოლა იყო. ის კი არა, მეორე მეოთხედში რამაზ გოგობერიშვილის სამქულიანებითა და საქები დაცვის წყალობით რუსთაველები 10 ქულით გალიდერდნენ, თუმც ამ მომენტიდან თითქოს თამაში დაავიწყდათო, 4 წუთი ბურთი ვერ ჩააგდეს და მდევრის როლში თავად აღმოჩნდნენ.

პირველ ნახევარში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ბათუმელები ძალებს ზოგავდნენ. ზღვისპირელები მართლაც ინერტულნი იყვნენ იმასთან შედარებით, რაც რეალურად ძალუძთ. მეორე ათწუთეულში რომ ჩამორჩნენ, პაველ გოოგემ მოედანზე ტრავმამოშუშებული ჯეფრი როჯერსი შეუშვა, მაგრამ მან ვერ შეძლო თანაგუნდელთა აყოლიება, თან ხისტ თამაშს თავს არიდებდა. „ბასკომ" ბოლო ათწუთეულამდე იცადა და მერე დღევანდელი კვერცხი ამჯობინა ხვალინდელ ქათამს. მესამედან მეოთხე მეოთხედში გარდამავალ შესვენებაზე გოოგომ ხაზგასმით შეახსენა ბასკოელთ, რომ გამარჯვებით ფინალში გადიოდნენ და მისთვის მოსამზადებლად მეტი დრო რჩებოდათ. ჰოდა, სტუმრებიც ჟინით ათამაშდნენ. ნიკ დილონმა ამბროსი ორმოცაძესთან ერთად არაერთი ქულა მიითვალა, რასაც ვაკო ბეჟანიშვილის ზუსტი გარღვევა-საჯარიმოებიც დაერთო და პირველი ფინალისტიც საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე გამოცხვა, როცა ანგარიში 81:66 გახდა „ბასკოს" სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA PLAYOFFS — პლეი ოფი — მეორე წრე, ოთხ მოგებამდე

# ბიბი და ბობი, ორივე ბომბი

## კობი ბრაიანტი: მე თქვენ ჩაგიგდებთ ბურთს, მე თქვენ ჩაგიგდებთ ხმას


ჯეისონ კიდი ცალთვალაც საზიფათოა

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 1 |
| ბოსტონი | 3 |

— 10 მაისი —

**ბოსტონი 66:64 დეტროიტი**

**ბოსტონი:** პირსი (19), ანდერსონი (17), უოლკერი (16), ბათი (11 ქულა, 10 მოხსნა)
**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (19), უილიამსონი (15), ვოლესი (12 ქულა, 21 მოხსნა)

— 12 მაისი —

**ბოსტონი 90:79 დეტროიტი**

**ბოსტონი:** უოლკერი (30), პირსი (25 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი), დელკი (16)
**დეტროიტი:** რობინსონი (24), სტეკჰაუზი (16), უილიამსონი (12), ვოლესი (4 ქულა, 21 მოხსნა)

„ბოსტონ სელტიქსი“ ბოლოს 1988 წელს გავიდა აღმოსავლეთის ფინალში და მაშინ სწორედ „დეტროიტ პისტონზმა“ გამოაგდო. ახლა დიდი გამარჯვების გზებზე დამდგარი „კელტები“ ბოლო 13 სეზონში პირველად იკაფავენ გზას კონფერენციის ფინალისკენ, გზა კი სწორედ „დეტროიტზე“ გადის.

„სელტიქსმა“ ტკბილად შეირგო დეტროიტში მეტოქისთვის ართმეული მოედნის უპირატესობა, ორივე შინაური მატჩი მოუგო „პისტონზს“ და სერიაში 3:1 დაწინაურდა. მორიგი მეტოქის ძლევას წინასწარ ხარობენ „კელტები“ და მათი ამყოლნი. მართალია, საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ, სრული ბედნიერებისთვის ერთი გამარჯვება აკლიათ, მაგრამ მაინც არხეინობენ, ეგ არაფერია, მაგ ერთ თამაშს დეტროიტშივე მოვიგებთო. თან მალიმალ იმეორებენ, „სელტიქსი“ ნბა-ს ასაკისაა და ასზე მეტი საპლეიოფო სერია უთამაშია და 3:1 წინყოფნის შემდეგ არასდროს დამარცხებულაო.

მოგება მოგებად, ყველა გამარჯვება სასიამოვნო და სასარგებლოა, მაგრამ „დეტროიტთან“ პირველი შინაური რკენა „კელტებს“ მთლად ომახიით ვერ გამოუვიდათ. საზიზღარ, ძლივსსაცქერ თამაშში ორმა გუნდმა ჯამში 130 ქულა ჩააგდო და პლეი ოფების ყველა დროის ანტირეკორდი ერთბაშად 12 ქულიმთ გააუმჯობესა (თუ გააუარესა). დამარცხებულებმაც და გამარჯვებულებმაც თავჩახრით, უხასიათოდ დატოვეს მოედანი 10 მაისს. ტელემონსტრ ნბისი-ს ადგილობრივმა წამყვანმა თქვა, დაცვა, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ მთლად დამცველებსაც ნუ შევაქებთ ასეთი „უხვქულიანი“ თამაშისთვის და იქვე ნბა-ს სუპერვარსკვლავები დიდ ქალაქში ერთი თამაშისთვის ჩამოსულ და დიდ დარბაზში დაბნეულ პროვინციელებს მიამსგავსა.

მასპინძლებიც და სტუმრებიც ბევრს სცოდავდნენ სროლისას. განსაკუთრებით დეტროიტელებს გაუმრუდდათ ხელი, უამრავი იოლი ბურთი ააცილეს და ბედის ირონიით დროის გასვლის შემდეგ ჩააგდეს. საზიზღარი მატჩი დრამატულად დასრულდა. საფინალო სირენამდე 5,6 წამით ადრე მასპინძელი კენი ანდერსონი სტუმარ ჩაკი ეტკინსზე, 66:62 ანგარიშზე სამქულიან ხაზსგარეთ დაჯარიმდა. ეტკინსმა ორი საჯარიმო ჩააგდო, ხოლო მესამე შეგნებულად ააცილა იმ იმედით, ვინძლო ჩვენიანმა ვინმემ მოხსნას და ვიხეიროთო. თითქმის აუსრულდა ჩანაფიქრი. აცილებულ საჯარიმოს პირველი ბოსტონელი პოლ პირსი შესწვდა, თუმც მარჯვედ ვერ მოიგდო ხელში და იმის შიშით, ჩამოხტომისას ვინმე ჩასაფრებულმა მეტოქემ არ ამართვასო, დრო რომ მოეგო, მთელი ძალით დაახეთქა იატაკზე. ბურთი დეტროიტელ ჯერი სტეკჰაუზს მიუვიდა, მანაც დიდი ფაცაფუცით დაითრია და საჩქაროდ ესროლა, ჩააგდო კიდეც, მაგრამ რა ხეირი, ნახევარი წამით დააგვიანა. მუხთალმა საფინალო სირენამ ხელში ბურთიანს წაასწრო.

სტეკჰაუზსა და მისიანებს არც ორი დღის შემდეგ გაუმართლათ. „ბოსტონმა“ უკვე უპრობლემოდ მოიგო და „ფლიტ სენთერში“ მოჟრიამულე ორი ათეული ათასი ბოსტონელი, მათ შორის 60-იანი წლების ლეგენდარული „კელტები“ — ბილ რასელი და ბობ კოუზი მეტად აამა.

„დეტროიტმა“ ამჯერად ვერ გამართა ნაქები დაცვითი მანქანა. უფრო სწორად, კი გამართა, მაგრამ პირველ ნახევარში ის ანტუან უოლკერმა მოშალა, ხოლო მეორეში — პოლ პირსმა. უოლკერმა საამმატჩო 30 ქულიდან 22 პირველ ტაიმში გააკეთა, პირსმა კი მეორეში 23-ით გაამდიდრა მასპინძლები.

„არ გვინდა საქმის გაჯანჯლება, ამიტომ ვეცდებით, მეხუთე თამაშში მოვუთავოთ ხელი მეტოქეს. ახლა ჩვენ საოცრად მობილიზებულნი და ფსიქოლოგიურადაც მომზადებული ვართ, რათა ნბა-ში ნებისმიერს ვძლიოთ“ — ამბობს პოლ პირსი და დეტროიტელებს, და არა მარტო მათ, მუშტს ულერებს.

და რას ფიქრობენ ამ უქმეებზე ორგზის ნაძლევი დეტროიტელები? „ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ“ — დაახლოებით სამშობლოსა და ურიცხვ მტერს შორის ცალ მუხლზე წამომდგარი დაჭრილი ჯარისკაცის იერით ამბობს „პისტონზის“ თავკაცი რიკ კარლაილი.


დაცემულმა ტონი ბათმა და სხვა ბოსტონელებმა იქით დასცეს ბენ ვოლესის „დეტროიტი“

— 12 მაისი —

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 3 |
| შარლოტი | 1 |

**შარლოტი 79:89 ნიუ ჯერსი**

**შარლოტი:** დევისი (20), ლინჩი (19), ვესლი (15), ბრაუნი (7 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება)
**ნიუ ჯერსი:** კიდი (24 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), კიტლზი (20), ვან ჰორნი (16 ქულა, 11 მოხსნა)

იქნებ უკანასკნელ შარლოტურ მატჩში „კრაზანებმა“ ვერაფრით გაახარეს წინა შეხვედრებთან შედარებით დიდძალი, ასე 13 ათასი ადგილობრივი გულშემატკივარი. შარლოტელი კალათბურთის ქომაგები კლუბის მფლობელებს უცხადებენ პროტესტს, როცა თამაშებზე არ დადიან, თორემ თავად „კრაზანებს“ გულში იხუტებენ. ახლაც, როცა საქმე გამოთხოვებამდე მივიდა, ხალხი დაესწრო თამაშს და ოვაციითაც გააცილა მათი სიამოვნებისთვის ოფლისმღვრელი ბიჭები. ამ წაგებით ჯერაც შარლოტური, ხოლო მომავალი სეზონიდან ახალორლეანული „ჰორნეთსი“ 1:3 ჩამორჩა სერიაში „ნიუ ჯერსის“ და პლეი ოფიდან გავარდნამდე ერთი მარცხიღა „სჭირდება“. მეხუთე თამაშს „ნიუ ჯერსი“ მასპინძლობს და სავარაუდოდ იქვე და არა მეექვსე შარლოტულ თამაშში მოუთავებს ხელს „კრაზანებს“.

რაც შეეხება ამ მარცხს, „კრაზანები“ და სხვა მათიანნი წაგებას „კრაზანთ“ წინამძღოლის ბაირონ დევისის ცხრა გაფუჭებულ სამქულიანს და რვა ვერჩაგდებულ საჯარიმოს მიაწერენ, ხოლო ყველა დანარჩენი ჯეისონ კიდის დამსახურებად თვლის. წინა თამაშში შარლოტელებმა კიდს შეგნებულად თუ შეუგნებლად წარბი გაუხეთქეს და ამით მხოლოდ იმ თამაშში გამოთიშეს. „ნიუ ჯერსის“ ლიდერი ყოჩაღი ბიჭია, მოზრდილი ჭრილობა არად ჩააგდო, რაღაც უწამლა და ცალ თვალზე სანახევროდბინტჩამოფარებულმა დაარბია „ჰორნეთსი“.


კობი ბრაიანტმა „სან ანტონიო“ აიყირავა

REUTERS

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 3 |
| სან ანტონიო | 1 |

— 10 მაისი —

**სან ანტონიო 89:99 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (28 ქულა, 12 მოხსნა), პარკერი (24)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31), ონილი (22 ქულა, 15 მოხსნა), ფიშერი (13), უოლკერი (12)

— 12 მაისი —

**სან ანტონიო 85:87 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (30 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 4 დაფარება), პარკერი (15), რობინსონი (12 ქულა, 11 მოხსნა)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (28), ონილი (22 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი), ჰორი (13)

„მიყვარს სან ანტონიოში თამაში. უამრავი ადამიანი დაგყვირის თავზე და რაც მეტად ცდილობს ხელის შეშლას, მით მეტ სიამოვნებას იღებ ჩაგდების შემდგომ ჩამომდგარი სიჩუმით“ — 12 მაისს სან ანტონიოში მეორედ მოგების შემდეგ თქვა „ლეიკერსის“ 23 წლის სუპერბიჭუნამ კობი ბრაიანტმა და ცხვირაწეულმა მოავლო თვალი „ალმოდოუმის“ ხალხისგან შეთხელებულ ტრიბუნებს.

ელასტიური დარბაზია „ალმოდოუმი“. ოფიციალურ ტევადობაში ოცი ათასი უწერია, მაგრამ თუ გაჭირდა, 35-საც და მეტსაც იტევს. ახლაც, საძულველი „ლეიკერსის“ სტუმრობისას ორ თამაშს ჯამში 68 ათასი დაესწრო. ემოციურმა ტეხასელებმა ხმებიც ჩაიხლიჩეს თავისიანთა გამამხნევებელი თუ მტრის დამაბნეველი ყიჟინით, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. კობი ბრაიანტმა ორჯერვე მარცხი აწვნია მათ საყვარელ „სფურზს“.

რა არ ილონეს მასპინძლებმა, პირტიტველა მომცრო უცხოტომელმა ტონი პარკერმა და მისმა ახმახმა თანამებრძოლმა ტიმ დანკანმა სისხლი გაუშრეს „ლეიკერსს“, მეტადრე კი ზორბა შაკილ ონილს, რომელიც ვერც ამ ჯერზე შესწვდა 30-ქულიან ზღვარს, მაგრამ ბრაიანტთან კი დათმეს ბრძოლა.

„სან ანტონიო“ ტოლ-სწორად ეომებოდა ორგზის ჩემპიონს, პირველ მატჩში ბოლო მეოთხედის შუაწელს 81:80 უგებდა და არც შაკილ ონილს აპარპაშებდა, მაგრამ აი, საიდანღაც გამოძვრა ბრაიანტი, ბოლო ხუთ წუთში რვა ქულა გააკეთა და „სფურზი“ დამარცხდა. იგივე განმეორდა მეორე შეხვედრაშიც, მასპინძლები ბოლო მეოთხედის დაწყებამდე რვაქულიან უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მერე შეტევაში ხელი დაებათ, ხოლო ბრაიანტმა ბოლო წუთებში ჩაგდებულ ორ სამქულიანს საფინალო სირენამდე ხუთი წამით ადრე, 85:85 ანგარიშზე, ორიანიც მოაყოლა და სერიის მეხუთე ლოსანჯელესური თამაშის წინ 3:1 წინ წასწია „ლეიკერსი“.

— 11 მაისი —

| | |
|---|---|
| საკრამენტო | 3 |
| დალასი | 1 |

**დალასი 113:115 საკრამენტო**

ძირითადი დრო 109:109

**დალასი:** ნოვიცკი (31 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ფინლი (28), ნეში (24)
**საკრამენტო:** ვებერი (30 ქულა, 10 მოხსნა), ჯექსონი (26), ბიბი (24), კრისტი (12 ქულა, 6 ჩაჭრა)

ამ უქმეებზე საპლეიოფო ბრძოლებმა ამ სერიაშიც 3:1 აქცია ანგარიში. რეგულარული სეზონის მონაცემებით დასავლეთში და მთელ ლიგაში უძლიერესი „საკრამენტო კინგზი“ გამწარებით ამტკიცებს, რომ არც პლეი ოფშია ჯაბანი და ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, დალასში პრედრაგ სტოიაკოვიჩის გარეშე მოუგო იქაურ „რქიანებს“.

ლაღად შემტევმა ორივე გუნდმა ამჯერდაც ბლომად სამიან-ორიანები და ხურდად საჯარიმოები უთავაზა ერთმანეთს და სწრაფი გადარბენებიდან კვლავ „დალასი“ გამოვიდა წაგებული. დონ ნელსონის უკვე სამგზის ნაგვემ შეგირდით ის სწყინთ, რომ მათ ვარსკვლავთკრებულს „საკრამენტომ“ მეორეხარისხოვანი მოთამაშეებით აჯობა.

„კინგზის“ მწვრთნელმა რიკ ადელმანმა ხუთეულში ფრთა სტოიაკოვიჩის ნაცვლად მეორე გამთამაშებელი, ბობი ჯექსონი შეიყვანა, ის პირველს, მაიკ ბიბის შეუწყვილა და ასე ორი დაბლით შეატევინა თავისიანებს. გადამწყვეტი სიტყვაც ამ დუეტმა თქვა. უსტოიაკოვიჩო „საკრამენტოს“ განსაკუთრებით ბოლო მეოთხედის ბოლოს დაეტყო რიგიან შემსრულებელთა ნაკლებობა, როცა ექვს-ექვსი პერსონალურით გაუვარდა ორივე მძლავრი მეფარე — კრის ვებერი და ვლადე დივაცი. და მაშინ, როცა დალასელებს თავი ქუდში ეგონათ, მომცრო საკრამენტოელებმა ჩასცეს ლახვარი, ბობი ჯექსონმა ბოლო მეოთხედში რაღაც სასწაულით 15 ქულა გაჩარხა. ბოლო მაიკ ბიბიმ ჩააგდო ანგარიშის 109:109 გამთანაბრებელი და მატჩის ოვერტაიმში გადამყვანი ბურთი. ბიბიმვე იყოჩაღა დამატებითი ხუთწუთეულის ბოლო წამებზე 113:113 ანგარიშზე.

**ირაკლი ფირაშვილი**


საკრამენტოელ მაიკ ბიბის დიახაც, დაეძებნება „დალასის“ ძლევა

REUTERS



ანდრე აგასი



ჟუსტინ ენენი

# ცამეტი წელი, ვითარცა ერთი კულული
## ანდრემ რომში იდღესასწაულა

რომი. თიხნარი
საპრიზო 2, 828 მილიონი $

**მეოთხედფინალი**

**ანდრე აგასი (9, აშშ) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:2, 6:2; ტომი ჰაასი (7, გერმანია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:3, 6:4; ირჟი ნოვაკი (14, ჩეხეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 3:6, 7:6 (9:7), 6:4; ენდი როდიკი (13, აშშ) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:2)**

**ნახევარფინალი**

**აგასი — ნოვაკი 7:5, 6:4; ჰაასი — როდიკი 6:1, 7:5**

**ფინალი**

**აგასი — ჰაასი 6:3, 6:3, 6:0**

რომაულ ფინალში ანდრე აგასის 13 წლის წინაც ეთამაშა. მაშინ ის 19 წლისა იყო, მტკაველა კულულებს დაატარებდა და გადამწყვეტ შეხლაში, არგენტინელ ალბერტო მანჩინისთან რომ დათმო, მატჩბურთის გაფლანგვაც მოახერხა.

მას შემდეგ მრავალ ცხოვრებისეულ საჯანდრავსა თუ ათას თონესავით გახურებულ კორტზე გამოვლილს რომაული ფინალი ალბათ მხოლოდ სიზმარში თუ ენახვებოდა.

გასულ კვირას ანდრეს ეგ სიზმარიც რეალობად იქცა. ჯადო-არმენოამერიკელმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დიად ადამიანებს ისე-რათაგან სწორედ ნაოცნებარის სინამდვილედ ქცევის უნარი განასხვავებს!

„ჰო, ამ დღეს მართლაც დიდ ხანს ველოდი — ამბობდა იგი — ამ ტურნირს დიდი ისტორია აქვს და აქ გამარჯვება ჩემს ყველაზე სახელოვან წარმატებათა სიას შეავსებს".

ეს სია კი, ეგებ ვინმეს მიავიწყდა და, ამტიტულიანად უკვე 52 ჯილდოს მოითვლის. და მერე რა, რომ ამათგან მხოლოდ ექვსია სათიხნარე და რომ ასეთ საფარზე ანდრეს 1999 წლის როლან გაროსის შემდეგ აღარ ემარჯვა?! იგი ახლა უჩაუქეს ფორმაშია და საფრანგეთის მოახლოვებული ღია პირველობის უმთავრეს ფავორიტადაც მიიჩნევა.

საკუთრივ საკვირაო ფინალმა კი დასტურ ცალკორტად ჩაიარა. 24 წლის გერმანელს, ვისაც ფინალამდე კინკილა სეტიც არ წაეგო, აგასიმ მატჩის მსვლელობისას 7 გეიმი აართვა და საერთოდაც ისეთი გამიზნულები ურტყა, რომ ჩარხის სამისოდ შეტრიალების ფიორა შანსიც არ დაუტოვა.

ამიტომაც იყო, ნამატჩევს ჰაასს მისთვის გუნდრუკის კმევის მეტი არაფერი რომ არ სურდა და — ჯერ კიდევ ბიჭი ვიყავი, მაგის თამაშით რომ ვტკბებოდი და რა კერპიც მაშინ იყო ჩემთვის, დღემდეც იმგვარადვე რჩებაო, აი, ასეთებს იძახდა.

სხვათა შორის, ჰაასის კერპს ჰალალი რომაული ჯომარდობა მსუყე 372-ათასიანი ჩეკით დაუფასდა. თავად ანდრემ გამარჯვებაც და მისი თანმხლები რამე-რუმეებიც დედა ელიზაბეთსა და მეუღლე შტეფის, მის ცხოვრებაში „ორ ყველაზე მნიშვნელოვან ბანოვანს" მიუძღვნა. 12 მაისი ამერიკელთათვის დედის დღე გახლავთ და ამაზე კარგ საჩუქარს, აბა, რომელი შვილი თუ ქმარი მოიფიქრებდა!

სხვაფრივ, ეს აგასისთვის წლეულს მოპოვებული მესამე ტიტულია. რომამდე, ვინძლო შესახსენებელიც არ იყოს, მან სკოტსდეილსა და მაიამშიც იხეირა. მაიამურ სამასტერსო ნადავლთან რომაულის შერწყმამ მისი მასტერსტიტულების რიცხვი 14-მდე აიყვანა, რაც უახლოეს მდევართა მონაგარს უკვე ორით აღემატება. ამას გარდა, ანდრე პირველი მეჩოგნე გახდა, ვისაც 6 რაგინდარა მასტერსტურნირზე გამარჯვება მოუხერხდა.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არც ის უნდა იყოს, რომ ჩემპიონთა რბოლაში ის ახლა მხოლოდ ტომას იოჰანსონს და ისიც 4 ქულით ჩამორჩება, ხოლო 12-თვიან „მცოცავ" კლასიფიკაციაში, რომლის მიხედვითაც ტურნირებზე განთესილი ჩოგნები რიგდება, ამ კვირიდან ისევ უზენაეს სამეულში იბოგინებს.

რაც შეეხება ჰაასს, მან თავის პირველ საამსეზონო ფინალში ითამაშა. უმთავრეს წარმატებად მას წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში მარატ საფინთან დამარცხება ეთვლება. რომიდან კი ფინალში გასვლის გარდა იმ სასიამოვნო მოგონებებსაც გაიყოლებს, რაც მის მიერ — სხვა თუ არავისი — მეოთხედფინალში კარლოს მოიას, ხოლო ნახევარფინალში ენდი როდიკის 2-2-სეტიან მატჩებში გვემას შეეხება.

ბერლინი. თიხნარი
საპრიზო 1,185 მილიონი $

**მეოთხედფინალი**

**ჟუსტინ ენენი (5, ბელგია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:0, 6:4; სირენა უილიამსი (4, აშშ) — ამელი მორესმო (7, საფრანგეთი) (მორესმო ზურგის ტრავმის გამო არ გამოცხადდა); ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) — სანდრინ ტესტუ (8, საფრანგეთი) 6:3, 5:7, 6:4; ანა სმაშნოვა (ისრაელი) — დანიელა ჰანტუხოვა (11, სლოვაკეთი) 1:6, 6:2, 6:3**

**ნახევარფინალი**

**ენენი — კაპრიატი 5:7, 6:2, 6:1; უილიამსი — სმაშნოვა 6:3, 6:2**

**ფინალი**

**ენენი — უილიამსი 6:2, 1:6, 7:6 (7:5)**

გერმანიის წლევანდელ ღია პირველობამდე სერენა უილიამსს არც ერთი სათიხნარე ტურნირის ნახევარფინალში არ ეთამაშა. ჩვენს შორის თუნდ ნუ დარჩება, ფინალისთვის თამაში მას არც ამჯერად გამოუვიდა — შარშანდელ ჩემპიონ ამელი მორესმოს უეცრად მისი ჯანიანი ზურგი ასტკივდა და ფინალისკენ მიმავალი გზა სერენას ჩოგნის გაუქნევლად დაუცალა.

მოკლედ, უმცროს შავდას სათიხნარე ნავსი იმგვარად გაუტყდა, რომ მეოთხედფინალიდან უმალ გადამწყვეტ შეხლაში აღმოჩნდა. იქ კი თითქოს ყველაფერი მის მხარეზე იყო, წლევანდელი ღონიერი გარჯაც (17 მოგება 20 შეხვედრაში) და ამის შედეგად სკოტსდეილსა თუ მაიამის მაგარსაფრებზე მომკილი ტიტულებიც!

ერთადერთი, რაც მას უნდა დაპირისპირებოდა, მასზე ერთი წლით უმცროსი, 19 წლის სიფრიფანა ბელგიელის ჟუსტინ ენენის შემართება, იმ ენენისა, ვისაც სერენას უფროსმა შავდამ შარშანდელი უიმბლდონის ფინალშიც აჯობა და წლეულს აქა-იქ ნათამაშებ კიდევ სამ ფინალშიც.

თუმცა ნახევარფინალში თავად ჯენიფერ კაპრიატის მძლეველ ენენს საამმატჩოდ საკუთარი ოსტატობისა და ჯიგრის გარდა კიდევ ერთი რამის იმედიც უნდა ჰქონოდა — სერენა, თავისი დისა არ იყოს, შესანიშნავ მომგებიან ბურთებს კი ჰყრის, მაგრამ სანაცვლოდ აურაცხელ უნებლიე შეცდომებს უშვებს და პირველ ჩაწოდებაზეც უხშირესად სცდება.

ამ მატჩის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა.

პირველ სეტში ენენმა მეტოქეს ორი გეიმი გაუტეხა და პირველი ჩაწოდებიდან უკვე 29 წუთში 6:2 მოუგო. მეორეში სერენა აიჯაგრა და ისეთი ხათქა-ხუთქი ატეხა, ბელგიელს საკუთარი ჩოგანი აღარ უჯერებდა. „სწორედ მაშინ გადავწყვიტე, მის გეიმებზე ჭიდაობისთვის თავი დამენებებინა და მთლიანად საკუთარ დავნდობოდი" — იგონებდა მერე ენენი.

ყველაფერი კი ტაიბრეიკზე გადაწყდა, სადაც ბელგიელმა ორი მატჩბურთის გაცუდება კი მოახერხა, მაგრამ მესამე უყოყმანოდ ჩააგლაჯუნა. „ვიგრძენი, რომ ჩემზე მეტად იყო დაღლილი" — დასძენდა იგი.

სერენა კი საკუთარ იალლიშებს მისტიროდა, ოღონდ კითხვაზე, ამდენ პირველ ჩაწოდებას რომ აფუჭებთ, ეგებ ფსიქოთერაპევტს ჩვენებოდითო, სიცილით უპასუხა, რის-რის, მაგრამ ჩოგბურთის გამო ფსიქოექიმთან არასოდეს მივალო. ისე კი, უკმაყოფილო სულაც არა ვარ, მთავარია, რომ ყველას დავანახე, მე თიხაზეც ისევე შემიძლია, როგორც სხვაგანო, ამბობდა და — ზედ როლან გაროსის წინ კი ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იქ მოგება ხომ ჩემი უდიდესი ოცნებააო, სულ ბოლოს აი, ეგრეც ამატებდა.

სხვაფრივ — ეს ტიტული ენენის ნორჩ კარიერაში აქამდე ნაალაფევთაგან უბობოლესია. გამარჯვებულისთვის კუთვნილი 182 ათასი დოლარი ამიტომაც — ალალ მისი!

ვარშავა. თიხნარი
საპრიზო 170 ათასი $

**ფინალი**

**ელენა ბოვინა (რუსეთი) — ჰენრიეტა ნაგიევა (სლოვაკეთი) 6:3, 6:1**

სლოვაკ ჰენრიეტა ნაგიევას 2000 წელს ვარშავაშივე გამარჯვების შემდეგ ერთი ქეციანი ტურნირიც აღარ მოეგო. ამიტომაც იყო, 19 წლის რუს ელენა ბოვინასთან გასამართ ამ ფინალს გამორჩეული იმედებით რომ ხვდებოდა.

აპრუწუწუნ! გამოცდილსა და 8 ტიტულის მომგებ ნაგიევას ამჯერად ჩოგანი ნაცარში ჩაუვარდა — რუსგოგომ მას კორტწმინდად გადაურა და მეპირველისთვის დაწესებული 25 ათასი დოლარიც დედარუსეთისკენ გაიყოლა. ეს, ეგებ ვინმე მაინც დაინტერესდეს და, ბოვინას პირველი ტიტული გახლდათ.

**ლევან ძელაურაძე**



# ვარდისფერი ვეფხვი
## სამოსელი პირველი, სამოცელი ფაქაფუქანელი

11 მაისი. პროლოგი

**გრონინგენი 6,5 კმ**

ჩრდილოჰოლანდიურ გრონინგენში გასარბოლი პროლოგის უცილობელ ფავორიტად შარშანდელ მეპროლოგეს, ბელგიელ რიკ ვერბრიუგეს მიიჩნევდნენ. ბელგიელმა მართლაც ჩაუქად ირბოლა, ოღონდაც საპირველოდ ერთი წამი მაინც ისაკლისა. გრონინგენის მთავარუბნებში შემოხაზული 6,5 კმ-იანი წრე მასზე წამით სწრაფად ესპანელმა ხუან კარლოს დომინგესმა დაავლოვა.

ვერბრიუგეს იტალიელი პაოლო სავოლდელი და ავსტრიელი მათიას ბუქსჰოფერი მიჰყვნენ. რბოლის უმთავრესმა ჯილებმა — სტეფანო გარცელიმ, დარიო ფრიგომ და ფრანჩესკო კასაგრანდემ საჩქაროსნო ლტოლვა ახლო-მახლო, ჰა-ჰა, თითო-თითო წამის ინტერვალით გაასრულეს.

ჯიროს შარშანდელმა გამარჯვებულმა ჯილბერტო სიმონიმ ოდენ 8 წუთი და 46 წამი აჩვენა, ხოლო განთქმულმა მარკო პანტანიმ პროლოგს 8 წუთი და 58 წამი მოანდომა.

ნარბოლევს დომინგესი თავის წარმატებას მარშრუტის ზედმიწევნითი ცოდნითა და რბოლის დროს გადამეტებული რისკიანობით ხსნიდა. თანაც არც ერთ მოსახვევში შეცდომა არ დამიშვიაო, ამასაც დასძენდა.

პროფესიულ ველორბოლებში იგი 1995 წლიდან მონაწილეობს, აქა-იქ 20 ეტაპზე უმარჯვია და მსოფლიოში 46-ე ველომხედრად ითვლება. თავისი ბოლო გამარჯვება კი გვიანმარტში, „კატალონიის კვირეულის" საჩქაროსნო რბოლისას მოიპოვა.

„ჰო, აქამდე რაღაცები მართლაც მომიგია, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი — არასოდეს — თქვა მან ჯილდოს მიღებისა და გრონინგენელ ლამაზმანებთან მტლაშა-მტლუშის მერე — როცა აქტიურ სპორტს შევეშვები, სხვა თუ არაფერი, საამაყოდ ეს მაინც მეყოფა".

როგორც ჩანს, დომინგესს წლევანდელ ჯიროში მეტი აღარაფრისა ეიმედება. სამაგიეროდ, იმედებითა და ძალღონითაა სავსე იტალიელი მარიო ჩიპოლინი, ვისაც დასტურ საამჯიროოდ შეკერილი ფსევდოვეფხისტყაოსანი სამოსის ლიდერისთვის კუთვნილ ვარდისფერ კვართზე გადაცვლა უკვე პროლოგის შემდეგ ეწადა.

თუმცა სუპერმარიოს ამჯერად ვერ მიერთვა — ისე ზლაზვნით იპედლავა, რომ 6,5 კილომეტრი მხოლოდ 13 წუთსა და 15 წამში დაფარა.

**1. ხუან კარლოს დომინგესი (ესპანეთი, „ფონაკი") 8 წუთი, 12 წამი**
**2. რიკ ვერბრიუგე (ბელგია, „ლოტო") +1 წმ**
**3. პაოლო სავოლდელი (იტალია, „ინდექს-ალექსია") +4**
**4. მათიას ბუქსჰოფერი (ავსტრია, „ფონაკი") +8**

12 მაისი. პირველი ეტაპი

**გრონინგენი — მიუნსტერი 211 კმ**

პირველ დღეს აუსრულებელი 35 წლის ვეტერანმა მარიო ჩიპოლინიმ მეორე დღეს მაინც ჯიქურ აისრულა — მასზე ჭაბუკებს ბოლომდე თანაბრად სდია და ფინიშის სწორზე ისეთი დასპრინტა, მხოლოდ მან რომ იცის.

თუმცა ეგ იყო, რბოლის მახვშებმა ბოლო მეტრებზე მის ერთ გუნდელს ავსტრალიელი რობი მაკიუენისთვის უნამუსოდ ხელის შეშლა დასწამეს და 125-დოლარიანი ჯარიმის გარდა მე-11 ადგილიდან 28-მდე დაქვეითებითაც დასაჯეს. ამიტომ სისინებდნენ მერე, აი, მაკიუენისთვის რომ არ შეეშალათ და...

ასეა თუ ისე, ეს უკვე მეექვსედ მოხდა, რაც სუპერმარიომ სალიდერო ვარდისფრით შემოსვა მოახერხა. ახლა იგი საერთო ჩათვლასაც მოთავეობს და, მართალია, მაინცდამაინც გაჩემპიონებას მას აღარავინ აღუთქვამს, მაგრამ ის კი უკვე ფაქტია, რომ თავისი ეშხიანი რბოლითა და ჩაუმცხრალი ჯიგრით ის წლევანდელი ჯიროს მშვენება იქნება.

მეპროლოგე ხუან კარლოს დომინგესმა გრონინგენიდან მიუნსტერამდე გადაჭიმული 211 კმ-იანი ტრასა, რომლის აქეთ-იქითაც დაახლოებით მილიონამდე მოსეირე გამოფენილიყო, ჩიპოლინიზე 25 წამით გვიან აითვისა. არადა, ესპანელი მთელი გზა ავანგარდთან ერთად მიჰქროდა და, რომ არა ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე მომხდარი ველოშეხლა, რამაც პელოტონი ორ ნაწილად გააპო, იგი გამარჯვებულისდარი მაჩვენებლით დაამთავრებდა.

სხვათა შორის, ამ შეხლისას სერიოზულად დაშავდა მიკელე ბარტოლი (ფასა ბარტოლო), ვისაც მარჯვენა ბარძაყის ძვალი დაემტვრა...

ეს გამარჯვება ჩიპოლინის 14-წლიან კარიერაში 172-ე გახლდათ, ჯიროზე მას უკვე 35 მოგება დაუგროვდა და მხოლოდ 6-ით ჩამორჩება 20-იანი წლების ლეგენდარულ მრბოლ ალფრედო ბინდას.

„წელს არა, მაგრამ გაისად ნაღდად უნდა დავეწიო — იქადნიდა ჩიპოლინი ნარბოლევს — გამარჯვებისგან არასოდეს ილლები. დღევანდელმა ხეირმა გუშინდელი ჩაფლავების სიმწარე განმიქარვა. არადა, საჩქაროსნო რბოლის მოგება ძალიან მინდოდა, მე ხომ ის არასოდეს მომიგია".

პრესკონფერენციის ბოლოს კი ვეტერანი სერიოზულ თემებსაც გადასწვდა: „რაც მახარებს, მოსეირეთა სიმრავლეა. ვფიქრობ, ამდენი ხალხის გამოყვანა სხვა სახეობებს არ შეუძლიათ. მაგრამ რად გინდა — ველოსპორტს განახლება, ახალი ადამიანები, ცინცხალი იდეები სჭირდება. ჩვენ კი ისევ ამ ბებრების ხელში ვართ" — ამბობდა მარიო და მერე სევდიანად იღიმებოდა.

**ძარლო გოგოლი**

**1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, „აკუა ე საპონე") 5 საათი, 37 წუთი, 14 წამი**
**2. გრემ ბრაუნი(ავსტრალია, „პანარია")**
**3. რობი მაკიუენი(ავსტრალია, „ლოტო")**
**4. დანილო ჰონდო(გერმანია, „დოიჩე ტელეკომი")**
**5. სვენ ტოიტენბერგი (გერმანია, „ფონაკი") ყველას ერთი დრო**

### საერთო ჩათვლა

**1. მარიო ჩიპოლინი 5 საათი, 45 წუთი, 23 წამი**
**2. მათიას ბუქსჰოფერი +11 წმ**
**3. ფრანკ ჰუა (დანია, „კოასტი") +12**
**4. რობი მაკიუენი +13**
**5. პაოლო ბეტინი(იტალია, „მაპეი") +20**



ბედი არა მაქვსო, მიკელე ბარტოლის ეთქმის: საცოდავი პირველსავე ეტაპზე მძიმედ დაშავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეექვსე ეტაპი

# ეეჰ, ფერარი...

## შუმახერი ასე ხომ ათგზის ჩემპიონიც გახდება

**უღირდა** კი „ფერარის" საქვეყნოდ თავის მოჭრა? რუბენს ბარიკელოს საკუთარი გუნდის ხელმძღვანელობამ მოგება წაართვა. ავსტრიულ ეტაპამდე ორიოდე დღით ადრე „სკუდერიამ" მასთან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. ასეთი ნდობით ფრთაშესხმულ რუბინიოს გუშინწინდელ რბოლაში არც თავი დაუზოგავს და არც ბოლიდი, ჩინებულად, უშეცდომოდ იასპარეზა და გამარჯვებასაც ყველაზე მეტად იმსახურებდა, მაგრამ „წითლების" შტაბიდან მიღებულ ბრძანებას დაემორჩილა და ზედ ფინიშის წინ მიხაელ შუმახერი წინ გაუშვა. ამით ბრაზილიელი პილოტი უკვე მერამდენედ დაამცირეს და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ ცხადლივ მიანიშნეს, რომ 2004 წლის ბოლომდე მიხაელის ყურმოჭრილი ყმის როლი გარანტირებული აქვს.

რალფ შუმახერი ძმის „შთამბეჭდავ" გამარჯვებას მრავლისმთქმელი, დამცინავი მზერით შეხვდა, ტიფოზებმა კი სტვენით და ყვირილით გამოხატეს აღშფოთება. არც მეტოქე საჯინიბოების წარმომადგენლებს დაუკლიათ კრიტიკა. „უილიამსის" ტექნიკურმა დირექტორმა პატრიკ ჰედმა ამ გადაწყვეტილებას ყველაზე ცინიკური უწოდა, რაც კი თავის 27-წლიან სარბოლო კარიერაში უნახავს. ისიც დაამატა, ჩვენთან, „უილიამსში" მსგავსი რამ არ მოხდება, რადგან ორივე პილოტი ერთნაირ პირობებშია და ასეთ ბრძანებას არავინ გასცემსო.

დაზაფრულსახიანი ფერარელების დაჯილდოება ხომ მთლად კომიკური გამოვიდა — შუმახერმა, ასეთი მოგება არ მინდაო და პოდიუმის მეორე საფეხურზე დადგა, რუბენსი კი პირველზე აუშვა. ასე რომ, გერმანიის ჰიმნი ბრაზილიელის პატივსაცემად ჟღერდა. გამარჯვებულის უზარმაზარი თასიც მიხაელმა იქვე გადასცა თანაგუნდელს, თავად კი მომცრო, სამეორეადგილო დაიტოვა. ასე გამოხატა მან პროტესტი ხელმძღვანელობის ამ დამამცირებელ სვლაზე: „ასეთი მოგებისგან, ცხადია, არავითარი სიამოვნება არ მიმიღია. ალბათ, ეს სხვაგვარად უნდა მოეფიქრებინათ. თავად რბოლა მომეწონა, მაგრამ არა ბოლო ასი მეტრი. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასეთ ბრძანებას გასცემდნენ. რბოლის ბოლოს რადიოთი მაცნობეს, ტემპს მოუმატე, რუბენსი გაგატარებსო. მართალია, სხვანაირი გამარჯვება მერჩივნა, მაგრამ გუნდის ინტერესები ხომ უპირველესია. წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომ სეზონის ფინიშზე ჩემპიონის ტიტულამდე სწორედ ეს ოთხი ქულა დაგვკლებოდა, მაშინ ხომ მართლაც იდიოტებივით ვიქნებოდით".

ზუსტად ასეთივე ავსტრიული ცირკი „ფერარიმ" შარშანაც მოაწყო — ბარიკელომ მაშინაც ბოლოს სვლა შეანელა და მიხაელი გაატარა, ოღონდ ეს მეორე ადგილისთვის ბრძოლისას მოხდა. იმ მანევრს ერთგვარი გამართლება ჰქონდა, რადგან რბოლა მოიგო დევიდ კულჰარდმა, შუმახერის უმთავრესმა მეტოქემ, კონკურენტებს შორის სხვაობა კი სულ ოთხი ქულა იყო. ამჯერად საპირისპირო ვითარებაა, მიხაელი უახლოეს მდევრებს ლამის ორმაგი სხვაობით უსწრებდა და სანერვიულოც, ბუნებრივია, არაფერი ჰქონდა — საწყისი ხუთი ეტაპიდან ოთხში ყველას აჯობა და, საერთო აზრით, მეხუთე ტიტულის მოპოვებაში მისთვის ხელისშემშლელი არავინაა. ოღონდ თუ ასე გაგრძელდა, „წითელი ბარონი" იქნებ რვა-ათგზის ჩემპიონიც გახდეს და კარიერის ბოლომდე ასი დიდი პრიზის დასაკუთრებაც მოასწროს.




მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო პოდიუმზე საცოდავი სანახავები იყვნენ

REUTERS




ტაკუმა სატო ამ ავარიას სასწაულებრივად გადაურჩა

ამ ამბების შემდეგ უშუალოდ რბოლაზე სათქმელიც ბევრი არაფერია. მთიან ავსტრიაში მოწყობილი აღმართ-დაღმართიანი რელიეფის „A1-რინგი" მთელ ფორმულაში უმოკლესთაგანი და ამასთან, ერთ-ერთი უსწრაფესი ტრეკია. კვალიფიკაცია, მეხუთე კარიერაში და 153-ე „ფერარისთვის", ბარიკელომ მოიგო სარეკორდო შედეგით — 1წთ; 08,082წმ (228,7კმ/სთ საშუალო სიჩქარე) და თანაგუნდელის შარშანდელი მიღწევა წამნახევრით (!) გააუმჯობესა. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მიხაელმა რბოლაში რევანში აიღო, უსწრაფესი წრე გაახერხა და კულჰარდის რეკორდს ასევე წამნახევარი ჩამოაკლო.

სტარტზე ბარიკელოს გვერდით რალფი იდგა, მათ უკან — მიხაელი და ხუან მონტოია, მესამე-მეოთხე რიგები კი „ზაუბერ"-„მაკლარენის" პილოტებმა ნიკ ჰაიდფელდმა და კიმი რაიკონენმა, ფელიპე მასამ და კულჰარდმა დაიკავეს.

ბარიკელო სასტარტო ნიშნისთანავე შეუფერხებლად დაიძრა და ლიდერობა თავიდანვე არავის დაანება. რალფმა ძმისკენ გაიწია, მაგრამ ტემპი დაკარგა და მის უკან აღმოჩნდა. ძმური არეულობით მშვენივრად ისარგებლა ჰაიდფელდმა და ორივე უილიამსელს გაასწრო, თუმცა მხოლოდ ორიოდ წუთით, რალფმა და ხუანმა მალე დაიბრუნეს პოზიციები.

დაწინაურებული ფერარელები ყოველ წრეზე თითქმის ორ წამს უგებდნენ უახლოეს მდევრებს და მეათე წრისთვის რალფთან სხვაობამ 17 წამს მიაღწია, ხოლო მეექვსე ადგილზე მყოფი ერთ დროს მრისხანე კულჰარდი უკვე ნახევარი წუთით ჩამორჩა. დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ ინტერვალები კი გაორმაგდა, მაგრამ 23-ე წრეზე ოლივიე პანის ავარიის გამო ტრასაზე უსაფრთხოების „მერსედესის" გამოჩენით შუმიკელოს ტანდემის უზარმაზარი უპირატესობა ნულამდე დავიდა და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

28-ე წრეზე კი კინაღამ საბედისწერო შემთხვევა მოხდა: ჰაიდფელდს მოსახვევის წინ ზეთის ლაქაზე მოუცურდა მანქანა და გზიდან ტყვიასავით გავარდნილი საშინელი ძალით მიეხეთქა ტაკუმა სატოს „ჯორდანს". გერმანელი არ დაშავებულა, დალეწილი ბოლიდიდან სატოს ამოსაყვანად კი კოკპიტის გაჭრა მოუხდათ. 25 წლის იაპონელი, ვისთვისაც ეს კარიერაში მხოლოდ მეექვსე რბოლა იყო, ვერტმფრენით გრაცის კლინიკაში გააქანეს. საბედნიეროდ, ასეთ ფათერაკს ტაკუმა იოლად, მხოლოდ ტვინის შერყევით და დაჟეჟილი თეძოთი გადაურჩა.

გზიდან პეისკარის მეორედ გაუჩინარების შემდეგ ბარიკელომ ისევ მოახერხა საგრძნობი უპირატესობით დაწინაურება, მაგრამ...

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ავსტრიის დიდი პრიზი**
12 მაისი. შპილბერგი
დისტანცია — 71 წრე — 307,146კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:33.51,562 (196,344 კმ/სთ) |
| 2. ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 0,182 |
| 3. მონტოია (უილიამსი) | 17,730 |
| 4. რ. შუმახერი (უილიამსი) | 18,448 |
| 5. ფიზიკელა (ჯორდანი) | 49,965 |
| 6. კულჰარდი (მაკლარენი) | 50,672 |
| 7. ბატონი (რენო) | 51,229 |
| 8. სალო (ტოიოტა) | 1.09,425 |
| 9. მაკნიში (ტოიოტა) | 1.09,718 |
| 10. ვილნევი (BAR) | 1 წრით |
| 11. ფრენცენი (ეროუსი) | 2 წრით |
| 12. ვებერი (მინარდი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ტრული (რენო) | გაიარა 44 წრე |
| იონგი (მინარდი) | 42 |
| ირვინი (იაგუარი) | 38 |
| ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 27 |
| სატო (ჯორდანი) | 26 |
| პანი (BAR) | 22 |
| მასა (ზაუბერი) | 7 |
| რაიკონენი (მაკლარენი) | 5 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 2 |
| დე ლა როსა (იაგუარი) | 0 |

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი 1.09,298 (224,733 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ.ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი, ფერარი, გერმანია | 10 | 4 | 10 | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | | 54 |
| 2 მონტოია, უილიამსი, კოლუმბია | 6 | 6 | 2 | 3 | 6 | 4 | | | | | | | | | | | | 27 |
| 3 რ. შუმახერი, უილიამსი, გერმანია | – | 10 | 6 | 4 | – | 3 | | | | | | | | | | | | 23 |
| 4 ბარიკელო, ფერარი, ბრაზილია | – | – | – | 6 | – | 6 | | | | | | | | | | | | 12 |
| 5 კულჰარდი, მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | – | – | 4 | 1 | 4 | 1 | | | | | | | | | | | | 10 |
| 6 ბატონი, რენო, დ. ბრიტანეთი | – | 3 | 3 | 2 | – | – | | | | | | | | | | | | 8 |
| 7 ჰაიდფელდი, ზაუბერი, გერმანია | – | 2 | – | – | 3 | – | | | | | | | | | | | | 5 |
| 8 რაიკონენი, მაკლარენი, ფინეთი | 4 | – | – | – | – | – | | | | | | | | | | | | 4 |
| 9 ირვინი, იაგუარი, დ. ბრიტანეთი | 3 | – | – | – | – | – | | | | | | | | | | | | 3 |
| 10 მასა, ზაუბერი, ბრაზილია | – | 1 | – | – | 2 | – | | | | | | | | | | | | 3 |
| ვებერი (მინარდი), სალო (ტოიოტა), ფიზიკელა (ჯორდანი) — 2, ფრენცენი (ეროუსი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 10 | 4 | 10 | 16 | 10 | 16 | | | | | | | | | | | | 66 |
| 2 უილიამსი | 6 | 16 | 8 | 7 | 6 | 7 | | | | | | | | | | | | 50 |
| 3 მაკლარენი | 4 | – | 4 | 1 | 4 | 1 | | | | | | | | | | | | 14 |
| 4 რენო | – | 3 | 3 | 2 | – | – | | | | | | | | | | | | 8 |
| 5 ზაუბერი | – | 3 | – | – | 5 | – | | | | | | | | | | | | 8 |
| იაგუარი — 3; მინარდი — 2; ტოიოტა — 2; ჯორდანი — 2; ეროუსი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ICE HOCKEY IIHF World Championship SWEDEN

მსოფლიოს ჩემპიონატი. შვედეთი.

ფინალი 11 მაისი

# ბონდრევოლუცია

## სლოვაკები მოვიდნენ!



სლოვაკთა ლიდერი პეტერ ბონდრა ჩემპიონთა თასით

*11 მაისს ჰოკეიში მიწა იძრა — მსოფლიოს ჩემპიონი სლოვაკეთი გახდა, ჰოკეის ისტორიაში პირველად. პეტერ ბონდრამ მატჩის დასრულებამდე 100 წამით ადრე გაიტანა. ამ გოლმა რუსები გააწბილა, პატარა, მაგრამ პატივმოყვარე ქვეყანას კი უდიდესი სიხარული მოუტანა.*

**სლოვაკეთი 4:3 რუსეთი 2:0 1:1 1:2**

**1:0 ვისნოვსკი (1), 2:0 ბონდრა (13), 2:1 სუშინსკი (24), 3:1 შატანი (27), 3:2 ანტიპოვი (43), 3:3 სუშინსკი (55), 4:3 ბონდრა (59)**

ამ მომენტს რუსების მეკარე მაქსიმ სოკოლოვი ვერასდროს დაივიწყებს — ზიგმუნდ პალფი შედის მეტოქის ზონაში, პასს აწვდის მარცხნივ მყოფ პეტერ ბონდრას. „სლოვაკი მსროლელი" რალას დააყოვნებდა და... ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე ველარ ასწრებს, 11 000-იან „სკანდანავიუმს" ლამის ანგრევს სლოვაკი ქომაგობა. აი, უაღრესად საინტერესო და დაძაბული მატჩის დრამატული და მოულოდნელი ფინალიც, რომელმაც ბრწყინვალედ დააგვირგვინა ჩემპიონატი და ყველა დაარწმუნა, რომ ოქროსთვის მართლაც რომ ღირსეული გუნდები იბრძოდნენ.

„ვერ ვიჯერებ, რომ ოდესლაც უძლეველი რუსები დავამარცხეთ. ჩვენ ხომ მათგან ვისწავლეთ ჰოკეი" — ბედნიერი ბონდრა გულუხვად აფრქვევდა ქათინაურებს მეტოქის მიმართ.

ეს ბოლო წლების საუკეთესო ფინალი იყო. ვითარება ისე ხშირად იცვლებოდა, რომ ორივე გუნდს გამარჯვების თანაბარი შანსი ჰქონდა. თუმც სლოვაკებმა უკეთ დაიწყეს. რაკი მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში დაცვითმა ტაქტიკამ გაამართლა, რუსთა თავკაცი ბორის მიხაილოვი არაფრის შეცვლას არ აპირებდა. ალბათ, რამდენჯერ გააფრთხილა თავისი შეგირდები, მაგრამ სლოვაკთა ნჰლ-ელებმა პირველივე წუთებიდან გააოგნეს მეტოქე. იოზეფ შტუმპელის პასის შემდეგ მცველმა ლიუბომირ ვისნოვსკიმ შაიბა მარცხენა ცხრიანში ჩაჭედა და თავგზა აუბნია რუსებს. სლოვაკებმა ამით ისარგებლეს და შესვენებამდე კიდევ ერთხელ იხეირეს.

რუსებმა მეორე პერიოდი ცოცხლად დაიწყეს. მალე მაქსიმ უშინსკიმ რიცხვმრავლობა გამოიყენა და მატჩს ინტრიგა შემატა. თუმც სლოვაკებმა როდი აცალეს სიხარული რუსებს — ახლა შატანმა შეასრიალა შაიბა კარში.

რუსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დაძლიეს ეს შოკი. მესამე პერიოდში აშკარა იყო მათი უპირატესობა, სლოვაკებს კი დაღლა დაეტყოთ და როცა სუშინსკიმ (მეტსახელად „სუ-15") გაათანაბრა ანგარიში, ალბათ ყველაზე ოპტიმისტმა სლოვაკმა ქომაგმაც ყურები ჩამოყარა, თუმც როგორ დასრულდა ყველაფერი, უკვე იცით.

ამიერიდან მსოფლიოს ჰოკეის ელიტა 7 გუნდამდე გაიზარდა. რუსები და კიდევ ხუთი გრანდი ოდნავ ქვემოთ ჩაიწევენ — სლოვაკები მოვიდნენ! ქება და დიდება მათ ლიდერებს, რომლებიც უკლებლივ ჩავიდნენ შვედეთში და უაღრესად სახელიანი თავდასხმა შექმნეს. მაგრამ მარტო სახელები რა ბედენაა. ბონდრამ, შატანმა, პალფიმ და სხვებმა სამშობლოს თავიანთი დიდი სიყვარული და თავგანწირვა დაუმტკიცეს და მას ჰოკეის ისტორიაში მიუჩინეს ადგილი.

მატჩი მესამე ადგილისთვის

**შვედეთი 5:3 ფინეთი 0:2 3:1 2:0**

**0:1 კალიო (5), 0:2 ჰაგმანი (9), 0:3 რინტანენი (22), 1:3 დავიდსონი (24), 2:3 ვეიჰანდლი (35), 3:3 როდინი (39), 4:3 როდინი (54), 5:3 ფალკი (60)**

გუნდები, რომლებიც გაცილებით მეტს მოელოდნენ, მესამე ადგილისთვის ჩვეულებრივ უგულოდ თამაშობენ. თავიდან უფრო მოწყენილნი შვედები ჩანდნენ, რაკი საკუთარ ყინულზე მოგების შანსი კვლავ ხელიდან გაუშვეს. და როცა კიმო რინტანენმა საუცხოო დარტყმით ფინელთა სრული უპირატესობა მესამე გოლით გაამყარა, ყველას საქმე მოთავებული ეგონა. მაგრამ დროზე მიხვდნენ მასპინძლები, რომ დამარცხება ძალიან შელახავდა მათ თავმოყვარეობას. თან მეტოქეც წაეხმარათ. მესამე ადგილისთვის თამაში ყოველთვის მშვიდი და კორექტულია და სრულიად ზედმეტი იყო კიმო ტიმონენის ძალისმიერი ილეთი იოჰან აქსელსონის წინააღმდეგ. შვედმა ტრავმა მიიღო. მასპინძლებიც გაბრაზდნენ და... ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს.

### საუკეთესო მოთამაშეები

მეკარე **მაქსიმ სოკოლოვი** *(რუსეთი)*

მცველი **დანიელ ჩერნკვისტი** *(შვედეთი)*

თავდამსხმელი **ნიკლას ჰაგმანი** *(ფინეთი)*

### სიმბოლური ნაკრები

**მაქსიმ სოკოლოვი** *(რუსეთი)*; **რიხარდ ლინტნერი** *(სლოვაკეთი)* — **ტომას როდინი** *(შვედეთი)*; **მიროსლავ შატანი** *(სლოვაკეთი)* — **ნიკლას ჰაგმანი** *(ფინეთი)* — **პეტერ ბონდრა** *(სლოვაკეთი)*.

### ბომბარდირები

**შატანი** *(სლოვაკეთი)* 13 (5+8), **ჰუსელიუსი** *(შვედეთი)* 11 (5+6), **ბონდრა** *(სლოვაკეთი)* 9 (7+2), **იაგრი** *(ჩეხეთი)* 8 (4+4), **ლინტნერი** *(სლოვაკეთი)* 8 (4+4), **პიარსინენი** *(ფინეთი)* 8 (3+5), **ბენდა** *(გერმანია)* 8 (1+7)



ფინალის მერე მთელი ბრატისლავა ქალიან-კაციანად გარეთ გამოეფინა

NHL სტენლის თასი

მეორე წრე, ოთხ მოგებამდე



კაროლინელი არტურს ირბე მონრეალელებს კედლად დაუხვდა

# ყზები

## ზვიგენებმა ფანტასტიკაც მოინელეს

10-12 მაისი

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 4 |
| სენტ ლუისი | 1 |

**დეტროიტი 4:0 სენტ ლუისი 0:0 2:0 2:0**

**1:0 ფიშერი (25), 2:0 ჰოლმსტრიომი (30), 3:0 შენაჰანი (57), 4:0 შენაჰანი (60)**

სენტ ლუისმა სერიის მეოთხე მატჩში ერთობ შეუწყო ხელი მეტოქის კაპიტან სტივ აიზერმანს, 37 წელი ღირსეულად აღენიშნა. ჰოდა, ეს ძვირადაც დაუჯდა — პრონგერმა აიზერმანის ძალისმიერ მეთოდს ასევე რომ უპასუხა, ტრავმაც გაიმიზეზა და ორწუთიანი ჯარიმაც მიიღო, რომელიც დეტროიტმა უმალ გამოიყენა. მერე ბრეტ ჯონსონი შეცდა, შაიბას ვითომ ზონიდან აგდებდა, აიზერმანს კი მოარტყა და რიკოშეტით სენტ ლუისის კარში შესრიალდა. სერიაში 1:3 ჩამორჩენის შემდეგ სენტლუისელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა საპლეიოფო აღარ იყო და სახელოვანმა დეტროიტმა მეხუთე მატჩში იოლად გაიმარჯვა. სენტ ლუისი საბოლოოდ მაშინ დაიღუპა, როცა ტაისონ ნეში და რიკ ჯეკმენი ერთდროულად გაუძევეს. დეტროიტმა 9 წამში გამოიყენა ორკაციანი უპირატესობა, ბრენდან შენაჰანის (2 გოლი და 2 პასი) დარტყმას ტომას ჰოლმსტრიომმა შეუცვალა მიმართულება და ანგარიში 2:0 გახდა, რის შემდეგაც ბრძოლა პრაქტიკულად დასრულდა, ხოლო დომინიკ ჰაშეკმა, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა სერია (მესამე მატჩის გარდა), მე-10 შათაუტი მიითვალა.

| | |
|---|---|
| კოლორადო | 2 |
| სან ხოსე | 3 |

**კოლორადო 3:5 სან ხოსე 0:0 3:2 0:3**

**0:1 შტურმი (33), 1:1 ფორსბერგი (34), 2:1 კინი (35), 2:2 სუნდსტრიომი (36), 3:2 საკიკი (39), 3:3 რიჩი (46), 3:4 სელიანე (50), 3:5 ნოლანი (60)**

როცა მეორე პერიოდის ფანტასტიკური 7-წუთიანი მონაკვეთი კოლორადოს სასარგებლოდ დასრულდა, ბევრმა ეს სან ხოსეს მარცხად ჩათვალა. ამ დროს სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ პატრიკ რუასა და მეტოქის დაცვას ვერაფერს უხერხებდნენ. მაგრამ ბოლო მესამედში „ზვიგენებმა" კიდევ უფრო მოუმატეს და ნაყოფიც მოიმკეს. ისევე როგორც სერიის პირველ მატჩში, ტეემუ სელიანეს გასროლა გამოდგა რუასთვის საბედისწერო. ეს „ფინური ელვის" მეხუთე გოლი გახლდათ წლევანდელ პლეი ოფში და უკლებლივ ყველა კოლორადოს კარში გავიდა. „ფინიქსთან" სერიაში სამჯერ თუ ოთხჯერ უნდა გამეტანა, მაგრამ შაიბა ჯიუტობდა და მეც ცოტა არ იყოს, მაშინ თავდაჯერება დავკარგე" — თქვა სელიანემ ნამატჩევს.

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ტორონტო | 3 |
| ოტავა | 3 |

**ტორონტო 2:4 ოტავა 1:1 0:1 1:2**

**0:1 რედენი (8), 1:1 რობერტსი (20), 1:2 ჰოსა (28), 2:2 მაკოლი (53), 2:3 ალფრედსონი (58), 2:4 ბონკი (60)**

**ოტავა 3:4 ტორონტო 2:2 1:1 0:1**

**1:0 ჰოსა (2), 2:0 ალფრედსონი (5), 2:1 მაკეიბი (14), 2:2 რობერტსი (18), 2:3 რობერტსი (34), 3:3 უაიტი (40), 3:4 მოგილნი (45)**

სანამ მათს სუნდინის დაბრუნების შანსი არსებობს, ტორონტო ლომივით იბრძოლებს. მეხუთე მატჩში ოტავამ თითქოსდა უფსკრულის პირას მიაყენა მეტოქე — დანიელ ალფრედსონის სუფთა ძალისმიერი ილეთის შემდეგ დარსი ტაკერი ყინულზე გაიშხლართა და სანამ წამოდგებოდა, ოტავას შვედმა კაპიტანმა გოლი გაიტანა. ტორონტოელთა პროტესტი ამაო გამოდგა. ამის შემდეგ უკვე ოტავაში გამართულ მეექვსე თამაშში თავიდანვე იძალეს „სენატორებმა" და უკვე მე-5 წუთისთვის 2:0 იგებდნენ. თითქოს ყველაფერი გადაწყდა, მაგრამ ტორონტო მაინც აღდგა. რიკარდ პერსონმა სცადა, კაპიტნისთვის მიებაძა და ტაი დომი გამოიჭირა, მაგრამ გაცილებით უხეშად გამოუვიდა და 5-წუთიანი ჯარიმა მიიღო. ტორონტომ ორჯერ გამოიყენა რიცხვმრავლობა და „სიკვდილს" გადარჩენილი გუნებაზე მოვიდა. საბოლოოდ ოტაველ მცველთაგან კართან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა „ალექსანდრ მრისხანემ" (ალექსანდრ მოგილნი) კიდევ ერთი თამაშით გაახანგრძლივა სერია.

| | |
|---|---|
| კაროლინა | 3 |
| მონრეალი | 2 |

**კაროლინა 5:1 მონრეალი 1:0 1:0 3:1**

**1:0 ცელინა (4), 2:0 ბრინდამორი (23), 3:0 ფრენსისი (44), 4:0 ვესტლუნდი (52), 4:1 დაიგაუსი (55), 5:1 ბატალია (57)**

ტორონტო გადარჩა, აი, მონრეალი კი ჯერაც ვერ გამოვიდა წინა მატჩში მიღებული შოკიდან. სერიის მეოთხე შეხვედრაში კანადელებმა სამშაიბიანი სხვაობა გაფლანგეს და მეტოქეს ფსიქოლოგიური უპირატესობა დაუთმეს. საინტერესოა, რომ ამჯერად მონრეალი მეტს უტევდა და კაროლინას დარტყმების რაოდენობით პირველად გაუტოლდა, მაგრამ სტუმართა იერიშებს თავდაჯერება აკლდა. თან კვლავ კარში ჩამდგარი არტურ ირბეც შეუდარებელი იყო, რაც მის მონრეალელ კოლეგა ჟოზე თეოდორზე ნამდვილად არ ითქმის.

**სამველ ღარიბიანი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge